აფხაზეთის მთავრობა ახალი სტრუქტურითა და ახალი გუნდით A2

"პოლიცია კრიმინალების მიმართ უძლურია" A7

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 2004 წელი. №292 (841) — ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### ავსტრიელი ექიმები ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის ფაქტს ადასტურებენ





A5

## საზოგადოება

### თავისუფლებააყრილი დედები და უდედოდ დარჩენილი შვილები



ექვსი წელია, ვზივარ. ჩემს სამ შვილს ბებია ზრდის", - ამბობს პატიმარი ქალი.

A6

იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 9/12 | 10/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 7 |
| ქუთაისი | 12 | 10 |
| ბათუმი | 14 | 12 |
| სოხუმი | 7 | 6 |
| ფოთი | 12 | 11 |
| თელავი | 8 | 5 |
| ზუგდიდი | 11 | 9 |
| გორი | 7 | 5 |
| ახმეტა | 8 | 5 |
| ჭიათურა | 9 | 7 |
| გაგრა | 4 | 3 |
| სამტრედია | 12 | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.3929 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4699 |
| რუბლი | 0.0642 |

# პრეზიდენტის პასუხისმგებლობა

## საქართველოს ხელისუფლება ბეჭდვითი პრესისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მინიჭებას აპირებს

სოფო ბუკია

**"ფულის კეთება პრესის ხარჯზე არ შეიძლება,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს პრესისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მომზადება დაავალა.

**"სამწუხაროდ, საქართველოში სარეკლამო ბაზარი არ არის განვითარებული ისე, რომ პრესამ რეკლამების ხარჯზე იარსებოს. ამიტომ ხშირად პრესა ვილაცაზე დამოკიდებული ხდება. ჩვენი, როგორც დემოკრატიული ხელისუფლების ინტერესებში შედის ის, რომ საქართველოში თავისუფალი, არავისზე დამოკიდებული პრესა არსებობდეს. ჩვენ პრესას ეკონომიკურ თავისუფლებას ვაძლევთ, რათა მან პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვოს,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის დავალებით, ფინანსთა მინისტრი ბეჭდვითი გამოცემების რედაქტორებს შეხვდება და ამ საკითხს მათთან ერთად განიხილავს. პრეზიდენტის თქმით, აღმასრულებელი ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით ორ დღეში უნდა ჩამოყალიბდეს.

პარლამენტში კი ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო პროცედურების ხელმძღვანელობა პარლამენტარ მარიკა ვერულაშვილს დაევალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დეპუტატების თავზე სახარებას კითხულობენ

## ისინი კი ექსკურსიებზე იწევენ

გიორგი ასანიშვილი

*ახალი საგადასახადო კოდექსისა და "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის საკვანძო მუხლებზე მთავრობა და პარლამენტი ვერ თანხმდებიან; "ფინანსური ამნისტია" მეორე მოსმენით განხილვისას "გაიჭედა"; 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი (ასევე მეორე მოსმენით) საერთოდ აღარ ჩანს... საშემოდგომო სესიის ფინიშის სწორზე პარლამენტში ავარიული მდგომარეობაა შექმნილი.*

როდესაც "დიდი საქმეები" ვერ გვარდება, აქცენტის გადატანა ნაკლებად აქტუალურ კანონპროექტებზე შეიძლება, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო ამასაც ვერ ახერხებს: სამშაბათის პლენარულ სხდომაზე, სულ რაღაც ორ საათში, დეპუტატებმა ორ დღეზე გათვლილი კანონპროექტები "გადაღეჭეს" და ამიტომ, გუშინდელი დღისთვის "მშრალზე დარჩნენ". პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გამოსავალი იმაში ნახა, რომ ოთხშაბათს პლენარული სხდომის გამართვაზე უარი თქვა და ეს დღე კომიტეტებს გადაულოცა.

არ იფიქროთ, რომ ამან საკომიტეტო განხილვების ბუმი გამოიწვია: გუშინ დეპუტატების უმეტესობამ დასვენება მოიწყო. სხდომა მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ჩატარდა, რომელზეც მესამეხარისხოვან კანონპროექტებზე იყო მსჯელობა ("სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა, "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის მოწმობებისა და საქართველოს მოქალაქეთა პასპორტის გაცემის წესის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა და სხვა).

გაგრძელება A2 გვერდზე

# დღეს რუსეთი წარსულსაა ჩაბღაუჭებული

## ეს გზა კი მას სასტიკ მარცხამდე მიიყვანს

B1



*ინტერვიუ ცნობილ ექსპერტთან, ვაშინგტონში არსებული საქართველოს ფორუმის პრეზიდენტთან, ელჩთან დევიდ სმიტთან.*

# "კონტრაბანდული" პრობლემა, რომელიც ეთნიკურ შეფერილობას იძენს

თამარ მჭედლიშვილი

ორი დღის წინ აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის სპიკერი გაგვინაწყენებია. მურთუზ ალესკეროვს საქართველოს ხელისუფლებისთვის უსაყვედურია - საქართველოში 500 ათასამდე აზერბაიჯანული წარმოშობის მოქალაქე ცხოვრობს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე კი მათი დასაქმება არ ხდებაო. თანაც, როგორც აზერბაიჯანულმა საინფორმაციო სააგენტო "ტრენდმა" გვამცნო, ალესკეროვს ისიც უთქვამს, რომ ჩვენ, ანუ "საქართველომ უნდა იცოდეს, რომ მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, შემოსავლები მომავალში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტებზეო". ამავე დროს, ამ განცხადებაში ერთი საინტერესო დეტალიც ფიგურირებს - ალესკეროვმა საქართველოს ხელისუფლება ირიბად სომხების მფარველობასა და აზერბაიჯანელთა დისკრედიტაციაში დაადანაშაულა, როდესაც განაცხადა, რომ აზერბაიჯანელებს საკომპენსაციო მიწის ფართი არ მიუღიათ, მაშინ, როცა იქ მცხოვრებ სომხებზე ნაკვეთები უკვე განაწილებულიაო. უდავოა - ეს ფრაზა აშკარა პროვოკაციის ელემენტებს შეიცავს. თანაც ალესკეროვი შესანიშნავად იცნობს საქართველოს საშინაო პოლიტიკის თავისებურებებს და ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ მიწის განაწილების საკითხებსა და ეთნიკურ პრობლემებს შორის საერთო არაფერია. ეს კი ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის გარკვეული პოლიტიკური თუ ბიზნესწრეები (რომელსაც თავად ალესკეროვიც გულშემატკივრობს) საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობით, საკმაოდ შეშფოთებულები არიან და ვითარების შესაცვლელად, პროვოკაციაზე უარსაც არ ამბობენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კონსოლიდაციისა და შერიგების აქტი

## "კარგი" საარჩევნო კანონდებლობა, ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის სანაცვლოდ

*უკრაინის თითქმის ყველა პოლიტიკური ჯგუფი აღნიშნავდა, რომ გუშინ უმაღლეს რადაში კომპრომისული შეთანხმება იქნა მიღწეული. უმაღლესი რადას სპიკერის ვლადიმირ ლიტვინის შეფასებით, ეს იყო "კონსოლიდაციისა და შერიგების აქტი".*

უკრაინის უმაღლესმა რადამ რიგგარეშე სესიაზე სამი ანტიკრიზისული კანონპროექტი მიიღო. ე.წ. "დიდ პაკეტს" 402-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი იმ დროს, როცა აუცილებელი მინიმუმი 300 ხმა იყო. ამის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ სამივე კანონს პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოაწერა ხელი.

მაინც რა სახის ცვლილელები მიიღეს გუშინ უმაღლეს რადაში და როგორ აისახება ეს შეთანხმება ქვეყნის მომავლაზე?

თუ მოკლევადიანი პერსპექტივით შევაფასებთ, ვიქტორ იუშენკოს მიერ დათმობაზე წასვლა სრულიად ლოგიკური ჩანს - მიღებული საკანონმდებლო პაკეტი, არჩევნების წინ მისთვის სასარგებლო ცვლილებებს ითვალისწინებს და თითქმის უნაღდებს პრეზიდენტის სავარძლის დაკავებას.

გაგრძელება A5 გვერდზე




A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# "კონტრაბანდული" პრობლემა, რომელიც ეთნიკურ შეფერილობას იძენს

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ისტორია მეორდება - როგორც კი საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მცირე გაუგებრობები ხდება (ამჯერად კი საკითხი საზღვარზე ტვირთების დაკავებას ეხება), იმწუთშივე აზრებაიჯანის პარლამენტი საქართველოს მისამართით საპროტესტო განცხადებებს აკეთებს და, პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დისრედიტაციაზე საუბრობს.

ასე მოხდა, მაგალითად, ორიოდე წლის წინ, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სახელზე აზერბაიჯანის პარლამენტმა საპროტესტო ნოტა გამოგზავნა. ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანულმა ოპოზიციურმა გაზეთმა "ზერკალომ" მაშინ მილი-მეჯლისის ოფიციალური წერილი სწორედ ასე მონათლა. გაზეთის ინფორმაციით, აზერბაიჯანელი დეპუტატები აღშფოთებულნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ ბოლო დროს საქარათველოში, თურმე, გახშირებულა დანაშაულები ეთნიკური აზერბაიჯანელების წინააღმდეგ. "ჩვენი მოთხოვნაა, რომ ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორდეს, რადგან ეს ხელს უშლის აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დამყარებული ურთიერთობების განვითარებას," - ნათქვამი იყო ამ მიმართვაში.

მაშინ "24 საათმა" პატარა ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა. რის შედეგადაც დამტკიცდა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამას გაზეთი "ზერკალო" გვთავაზობდა... "24 საათი" მაინც შეეცადა, გაერკვია, ჰქონდა თუ არა რაიმე საერთო სინამდვილესთან "ზერკალოს" ინფორმაციას საქართველოში აზერბაიჯანელთა უფლებების დარღვევის თაობაზე. ამ მიზნით მივმართეთ ადამაინის უფლებების დამცავ ორგანიზაციებს კითხვით, იცოდნენ თუ არა რაიმე აზერბაიჯანელთა შევიწროების თაობაზე ან შესულა თუ არა მათ ორგანიზაციებში აზერბაიჯანელთა კოლექტიური საჩივრები. პასუხი უარყოფითი იყო.

ამის შემდეგ გაზეთი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ელენე თევდორაძეს დაუკავშირდა. **"მე მომმართავენ საჩივრებით აბსოლუტურად ყველა ეროვნების წარმომადგენლები. მათ შორის, აზერბაიჯანელები, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი კოლექტიური განცხადება რომელიმე ეთნიკური ჯგუფის მასობრივ შევიწროებაზე,"** - გვითხრა მაშინ თევდორაძემ.

სხვათა შორის, ამ პატარა გამოძიების დროს არც თუ მოულოდნელად ამოტივტივდა საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანელი წევრის სახელი, რომელიც, როგორც ჩვენი რესპონდენტები ამტკიცებდნენ, ულტრა-ნაციონალური ორგანიზაცია "გეირათის" წევრია და პერიოდულად ბაქოში ანტიქართული სულისკვეთებით გამსჭვალულ განცხადებებსაც აკეთებს ხოლმე.

**"მე შემიძლია გვარიც დავასახელო - იზუმრუდ ყურბანოვი, იგი ჩვენი კომიტეტის წევრია.. ადრე მან აზერბაიჯანულ გაზეთებს მისცა ანტიქართული სულისკვეთების ინტერვიუები. ამის მერე მასთან მქონდა საუბარი. მან მითხრა, რომ გაზეთში მთლად მისი სიტყვები არ იყო მოყვანილი და ყველაფერი ჟურნალიტებს დააბრალა. სხვათა შორის, ორი-სამი კვირის წინ ყურბანოვზე ჩემთან კვლავ შემოვიდა საჩივარი. ეს იყო 2-3 კვირის წინ",** - განაცხადა მაშინ ელენე თევდორაძემ.

**"მარნეულშია ასეთი ორგანიზაცია - "გეირათი". რაიმე როცა ხდება, იმ წუთშივე ამას ნაციონალურ დისკრიმინაციას არქმევენ და ინფორმაციას ბაქოში აგზავნიან. იქ არის ოპოზიციური გაზეთები: "ექო", "ზერკალო" და იმ წუთშივე იწერება რაიმე წერილი. მე ასე ვიტყოდი - რუსეთის სპეცსამსახურების ხელდასმით, ისინი ცდილობენ ვითარების გამწვავებას. ჩვენ კი მათ არ ვუსმენთ. მე ვარ ბოლნისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფლის გამგებელი და ჩვენთან არც ერთი ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი არ არის. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, ვინ არიან ისინი. იზუმრუდ ყურბანოვთან ძალიან ცუდი ურთიერთობები მაქვს. იგი თავიდანვე იყო "გეირათთან" დაკავშირებული, ახლაც კვლავ გეირათთან არის და წყალს ამღვრევს,"** - ეს კომენტარი კი მაშინ ბოლნისის ერთ-ერთი სოფლის გამგებელმა ჩინგიზ იაგუბმა მოგვცა, რომელიც მილი-მეჯლისის ერთ-ერთი დეპუტატის ძმაა.

საბოლოოდ კი, ყველაფერი ფინანსთა სამინისტროს გადაწვეტილებას დაუკავშირდა, რომელმაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საკადრო ცვლილებები განახორციელა, რის შედეგადაც თანამდებობას გამოემშვიდობა რამდენიმე ადამიანი, რომელიც კონტრაბანდის გადაზიდვაში იყო შემჩნეული.

როგორც უკვე ვთქვით, ახლაც, ყველა ნიშნის მიხედვით, მილი-მეჯლისის გააქტიურება სწორედ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე წარმოქმნილ სკანდალს უკავშირდება. თუმცა, ნამდვილად გაუგებარია მილი-მეჯლისის პოზიცია, რომელიც ამ კონკრეტული შემთხვევის განზოგადებასა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აზერბაიჯანელი მოქალაქეების შევიწროებაზე აქცენტის გამახვილებას ცდილობს.

თანაც, ალესკეროვის თქმით, შექმნილი მდგომარეობა აზერბაიჯანული მხარის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. **"აღნიშნულ საკითხებზე შეიქმნება მილი-მეჯლისის კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი პარლამენტარი შევა. კომისია გაემგზავრება საქართველოში და მოამზადებს ანგარიშს, რომელიც შემდეგ წარედგინება როგორც მილი-მეჯლისს, ასევე ორი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებს,"** - თქვა მან.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, მილი-მეჯლისის სპიკერის ასეთი განცხადება სულაც არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება ამ პოზიციას სავსებით იზიარებს. ეს კონრეტული პოლიტიკოსის მოსაზრებაა და თუკი იგი პროვოკაციის ელემენტებს შეიცავს, ამის მიზეზი, შესაძლოა, სულ სხვა გარემოება იყოს.

ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მილსადენები საჩუქარი არ არის და მათი ამოქმედება ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებში შედის.

ასე რომ, საზღვარზე წარმოქმნილი პრობლემის განზოგადება და საქართველოს ხელისუფლების მიერ აზრებაიჯანელი მოქალაქეების დისკრედიტებაზე საუბარი სრულიად უადგილოა.

დაბოლოს: უახლოეს დღეებში საქართველოს პარლმენტი ალესკეროვის განცხადების შესწავლას გეგმავს.

P.S. გუშინ ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელშიც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და დაცვას ითხოვენ.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ "საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები უხეშ ზეწოლას ახორციელებენ აზერბაიჯანელებზე. ამის კიდევ ერთი გამოხატულება იყო მარნეულის რაიონში მომხდარი დაპირისპირება, რომლის დროსაც ცხენთსაშენის ხელმძღვანელმა ცეცხლი გაუხსნა აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, რის შედეგადაც ერთ-ერთი ქალბატონი სასიკვდილოდ დაიჭრა".

არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ფაქტის სასწრაფო და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ. მათივე აზრით, აზერბაიჯანელებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს მიწის პრივატიზაციის პროცესშიც. "თქვენს წინასაარჩევნო განცხადებებში აღნიშნავდით, რომ მიწასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდებოდა, რამაც აზებაიჯანელებს იმედი ჩაუსახა. უკვე ერთი წელი გავიდა, თუმცა ეს პრობლემები კვლავ გადაუჭრელია," - ნათქვამია მიმართავში.

როგორც უკვე ვთქვით, აზერბაიჯანული მხარე, კონკრეტულად კი, მილი-მეჯლისის სპიკერის გუნდი და მისი გარემოცვა სკანდალის აგორებას გეგმავს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგივე პოზიციას იზიარებს ამ ქვეყნის ხელისუფლება.

# დეპუტატების თავზე სახარებას კითხულობენ

## ისინი კი ექსკურსიებზე იწევენ



გაჩნდა იდეა, რომ შეიძინონ ყულაბა, რომელსაც უდისციპლინო პარლამენტარები გაავსებენ და შემდეგ, ამ თანხით... ექსკურსიაზე წავლენ.

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

ვინაიდან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები ხედავენ, რომ სხვებთან შედარებით, უფრო აქტიურები არიან, ამისთვის მეტ "დაფასებას" ითხოვენ. კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარესთან უნდა დაისვას საკითხი საპრემიო თანხების გამოყოფის შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, "იურისტებს" თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი ნაკლებად აქვთ და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კომიტეტის სხდომების გამცდენი დეპუტატების დაჯარიმების გზით ცდილობენ: გაჩნდა იდეა, რომ შეიძინონ ყულაბა, რომელსაც უდისციპლინო პარლამენტარები გაავსებენ და შემდეგ, ამ თანხით... ექსკურსიაზე წავლენ.

ვიდრე ამ იდეას ხორცი შეესხმება, პოტენციური "ინვესტორები" თავად დადიან "ექსკურსიებზე", - ისინი სამსახურში მაშინაც კი არ ცხადდებიან, როდესაც პარლამენტში უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების განხილვა მიმდინარეობს. მაგალითად, სამშაბათს, საგადასახადო კოდექსის განხილვისას, სხდომათა დარბაზში დაახლოებით 20-30 დეპუტატი იჯდა.

ამან სხდომის წამყვანის, მიხეილ მაჭავარიანის აღშფოთება გამოიწვია.

**"როდესაც პრეზიდიუმში ვზივარ, ყოველთვის მიჩნდება სურვილი, რომ დეპუტატების დასწრება მათ ხელფასებს მიებას. სხდომაზე დასწრება სულაც არ არის ჰეროიზმი, ეს პარლამენტარის მოვალეობაა. თუ ზოგიერთს დეპუტატობა არ უნდა, ძალიან ნუ ინერვიულებს - იოლად შეველევით და პარტიულ სიას წინ ჩავაჩოჩებთ",** - კოლეგების თავზე სახარებას კითხულობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

# პრეზიდენტის პასუხისმგებლობა

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

"რუსთაველის გამზირზე რომ ვინმემ რამე დაიძახოს, მის ხმას უფრო მეტი ადამიანი გაიგონებს, ვიდრე დღევანდელი ქართული გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილ ინფორმაციას," - ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა ორიოდე თვის წინ გააკეთა.

მაშინ ბევრმა ჩემმა კოლეგამ დანანებით იკითხა, ნუთუ პრეზიდენტი მართლა ვერ ხედავს განსხვავებას რუსთაველის გამზირზე დაძახებულ და გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციას შორისო.

პირველი, რაც საქართველოს მესამე პრეზიდენტის ამ განცხადების მოსმენისას გამახსენდა, ამერიკის მესამე პრეზიდენტის ტომას ჯეფერსონის ცნობილი სიტყვები იყო: "გვყავდეს ხელისუფლება გაზეთის გარეშე, თუ გვქონდეს გაზეთი და არ გვყავდეს ხელისუფლება - თუ ოდესმე ასეთი არჩევანის წინაშე დავდექი, მე უყოყმანოდ მეორე ვარიანტს ავირჩევ," - აღნიშნავდა ჯეფერსონი მეცხრამეტე საუკუნეში.

გუშინ კანცელარიაში გაჟღერებული, პრეზიდენტის ახალი ინიციატივის შემდეგ კი თამამად შეიძლება სააკაშვილის ორიოდე თვის წინ გაკეთებულ განცხადებასა და ჯეფერსონის მეცხრამეტე საუკუნეში ნათქვამ სიტყვებს შორის ტოლობის ნიშანი დავსვათ.

საქართველოს კონსტიტუციაში არც ერთი სიტყვა არ წერია იმის შესახებ, რომ პრესა რაიმეზე პასუხისმგებელი უნდა იყოს. კონსტიტუციის მიხედვით, პასუხისმგებლობა მხოლოდ ხელისუფლებას მოეთხოვება. ხელისუფლება ვალდებულია, ქვეყანაში არსებობდეს პრესა.

პრესა, პირველ რიგში, მკითხველია. თუ დილით პრესის ჯიხურთან თქვენს გაზეთს არავინ მოიკითხავს, მაშინ თქვენ გაზეთი არ ხართ.

დღეს ცხადი ხდება, რომ ორიოდე თვის წინ პრეზიდენტს სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობა ალაპარაკებდა.

# აფხაზეთის მთავრობა ახალი სტრუქტურითა და ახალი გუნდით

გუშინ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ახალი მთავრობა დაამტკიცა. როგორც მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ "24 საათს" განუცხადა, ახალი გუნდის ჩამოყალიბებას წინ სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები უძღოდა.

**"ჩვენი ძირითადი და პრიორიტეტული მიმართულება იქნება აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, ხოლო შემდეგ ტაქტიკური მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ საკითხების მოგვარებაში დაგვეხმარება ე. წ. მრჩეველთა საბჭო, რომელიც არასამთავრობო სექტორისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებისაგან ჩამოყალიბდება. მომდევნო ეტაპი იქნება აფხაზური მხარისთვის შესათავაზებელი დოკუმენტის შექმნა. იგი შეეხება ქართველების და აფხაზების თანაცხოვრების ფორმებს, იმ ნაბიჯებს, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღსადგენად უნდა გადაიდგას. მესამე ეტაპი ამ დოკუმენტის ცხოვრებაში გატარება იქნება,"** - აღნიშნა ალასანიამ ჩვენთან საუბრისას.

ირაკლი ალასანიას თქმით, მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, აფხაზეთის მოსახლეობასთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებას. პროცესებში ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი თანამეგობრობის ქვეყნები.

როგორც საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ტაბლიაშვილმა "24 საათს" განუცხადა, დეპარტამენტის უმთავრესი ფუნქცია იმ დეზინფორმაციული ნაკადის განეიტრალებაა, რომელიც ახლო საზღვარგარეთიდან მოედინება: "ფართომასშტაბიანი მუშაობა უნდა დავიწყოთ გლობალურ საინფორმაციო ინტერნეტ-ქსელში. ქვეყნისთვის სასარგებლო და, იმავდროულად, ობიექტური საინფორმაციო პოლიტიკის წარმოება ჩვენი დეპარტამენტის უმთავრესი ფუნქცია გახლავთ," - დასძინა ტაბლიაშვილმა.

ოპტიმიზაციის შედეგად, აფხაზეთის მთავრობაში 13 სამინისტროდან მხოლოდ ოთხი დარჩა. სტრუქტურული ცვლილებების თანახმად, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი პირი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეა. ამ პოსტზე კი ირაკლი ალასანია დაამტკიცეს.

*24 საათი*

# პრეზიდენტი საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, "გადაუდებელი საკადრო ცვლილებების აუცილებლობა ამ ეტაპზე არ არის". პრეზიდენტმა გუშინ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი სრულიად უადგილოდ ცნო.

**"საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გარეშე, მე ამგვარ გადაწყვეტილებებს არ მივიღებ,"** - განაცხადა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა.

ამავე დროს, პრეზიდენტი ნაწილობრივ ადასტურებს იმას, რომ გარკვეული ცვლილებების განხორციელება და გარკვეული მიმართულებების გაძლიერება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას მართლაც სჭირდება. კონკრეტულად რას გულისხმობდა პრეზიდენტი, ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული დაუდასტურებელი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები გაერთიანდება და ამ უწყებას სათავეში უშიშროების ამჟამინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ჩაუდგება. შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტს დაიკავებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ძალოვანი მინისტრების შესაძლო გადაადგილების შესახებ ჭორი თავად საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გავრცელდა.

"პრეზიდენტმა აღნიშნული ჭორის გავრცელებით ჟვანიას განუცხადა, რომ იგი არ ენდობა თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს და ჟვანიას სხვა კადრებს," - თვლის ბერძენიშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველოს მთავრობაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან ერთად მიიღებს.

ჟვანიას განცხადებით, ორ კვირაზე მეტია, იხილება საქართველოს აღმასრულებელ სტრუქტურაში განსახორციელებელი საკადრო ცვლილებები, რაც აუცილებლად მოხდება, მაგრამ ისინი "დრამატული ნამდვილად არ იქნება."

იგი ადასტურებს ქართულ პრესაში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, მაგრამ ზოგიერთ ვერსიას "თითიდან გამოწოვილს" უწოდებს.

პრემიერ-მინისტრი საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანების შესაძლებლობას საკამათოს უწოდებს, მაგრამ ადასტურებს, რომ ამგვარი ვარიანტი ხელისუფლებაში იხილება და იგი სამუშაო პროცესში იმყოფება.

ამერიკაში მყოფმა ჟვანიამ ასევე თავი შეიკავა ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის შესაძლო გათავისუფლების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისგან.

მისი განმარტებით, მთავრობაში ასევე სერიოზულად განიხილება მთლიანად ეკონომიკურ გუნდში და არა მარტო ეკონომიკის სამინისტროში გასატარებელი ცვლილებები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე შეზღუდვები გააუქმა და მოსკოვი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა აღადგინა.

ამის შესახებ გუშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ გენადი გუკაევმა განაცხადა.

გუკაევის განმარტებით, გადაწყვეტილება შეზღუდვების გაუქმების შესახებ რუსეთის მთავრობისადმი აფხაზეთის ხელისუფლების მიმართვისა და აფხაზეთში ვითარების ნორმალიზაციის შედეგად მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის რეზერვისტთა მოსამზადებელმა ბანაკმა გუშინ კიდევ ერთი ნაკადი გამოუშვა.

ერთთვიანი სწავლების კურსი ამჯერად 350-მა გორელმა რეზერვისტმა გაიარა. აღნიშნულ დანაყოფს კვლავ 350 გორელი შეცვლის. ისინი სამხედრო წვრთნებს რამდენიმე დღეში დაიწყებენ.

რეზერვისტთა მორიგი ბატალიონის საზეიმო გამოშვებას გუშინ თავდაცვის მინისტრი დაესწრო. ბარამიძის განცხადებით, რეზერვისტთა 17-ათასიანი არმიის საწვრთნელი ეტაპი გაზაფხულზე მთლიანად დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებულ ვერსიებზე პირველ კომენტარს გუშინ თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე აკეთებდა.

ბარამიძის განცხადებით, იგი არსად წასვლას არ აპირებს და თავის პოსტზე რჩება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში 13 იანვრამდე დაგეგმილ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, შესაძლოა, ექსპრემიერმა ანრი ჯერგენიამაც მიიღოს. ამ საკითხის განსახილველად, ჯერგენია გუშინ მოსკოვში გაემგზავრა.

როგორც ანრი ჯერგენიას საარჩევნო შტაბში განაცხადეს, ჯერგენია ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს, საბოლოოდ კი ყველაფერი მოსკოვიდან მისი დაბრუნების შემდეგ გაირკვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის უფლებები მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგეი ბაგაფშმა განაცხადა.

მისი თქმით, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი რაულ ხაჯიმბა, მასთან ერთად საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შეთხვევაში, ძალოვან უწყებებსა და საგარეო პოლიტიკას გაუწევს კურირებას.

**"პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალი იქნება და მონაწილეობას მიიღებს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ ამ მიმართულებების შესრულებას ვიცე-პრეზიდენტი გააკონტროლებს,"** - აღნიშნავს პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი ბაგაფში, რომელიც არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბორჯომი ჰარვარდში

ბორჯომის ჩამოსხმისა და გაყიდვის ექსკლუზიური უფლება 1997 წლიდან საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას (GG&MW CO. N.V.) აქვს მოპოვებული. ამ დროში კომპანიამ ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნების სრულად მოდერნიზება, მენეჯმენტის ახალი პრინციპების დანერგვა, ბორჯომის საბაზრო ხარისხის დახვეწა და, რაც მთავარია, ფალსიფიკატორების მიერ დანგრეული სახელის აღდგენა მოახერხა. მეტიც, ბორჯომი დღეს 26 ქვეყანაში იყიდება.

საერთაშორისო აღიარების მიღწევა კომპანიისათვის არც ისე იოლი იყო. მრავალ ფაქტორთა შორის მთავარი მაინც სწორი მენეჯმენტია. სწორედ ამის გამო აღინიშნა არაერთხელ, რომ GG&MW CO. N.V.-მ და მისმა დამაარსებელმა მამუკა ხაზარაძემ საქართველოში თანამედროვე ბიზნეს პრინციპები დანერგეს. ამ მიდგომების შედეგად ბორჯომმა მსოფლიოში ცნობილი, პოპულარული და სასარგებლო წყლის გარდა, საქართველოს სავიზიტო ბარათის სტატუსიც შეიძინა. სწორედ ამ უნიკალური წყლის მეშვეობით მსოფლიოს 26 ქვეყნის მილიონობით ოჯახი საქართველოს იცნობს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბორჯომი და საქართველო , მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის ლექციის საგანი ვერ გახდებოდა.

1999 წლიდან აშშ-ს ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში, იკითხება ლექცია ბორჯომის ბიზნესის შესახებ. ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა 1908 წელს დაარსდა პრეზიდენტ ჩარლზ ელიოტის მოთხოვნითა და ჰარვარდის უნივერსიტეტის კორპორაციის ძალისხმევით. ის პირველი სასწავლებელია, სადაც კონკრეტულად ბიზნეს ადმინისტრირებას ასწავლიან. დაარსების წელს სკოლას მხოლოდ 33 ჩვეულებრივი და 47 სპეციალური სტუდენტი ჰყავდა 15 ფაკულტეტზე. დროთა განმავლობაში ჰარვარდის ბიზნესსკოლაში სადოქტორო პროგრამები დაიწყო, ფაკულტეტების რიცხვი გაიზარდა, სტუდენტების რაოდენობამ კი ათასებს მიაღწია.

დღეს ჰარვარდის ბიზნესსკოლა ყველა ახალგაზრდის საოცნებო სასწავლებელია. ჰარვარდში იქმნება როგორც ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის ძირითადი პრინციპები, ისე მსოფლიოს ასობით წარმატებული ბიზნესმენეჯერი თუ ეკონომისტი. 1964 წელს ჰარვარდი იქცა პირველ სასწავლებლად, სადაც კომპიუტერი დამონტაჟდა. 1995 წელს ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორმა რობერტ მერტონმა ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკის მეცნიერების დარგში და ეს ერთ-ერთია იმ პრემიებსა და ჯილდოებს შორის, რომელიც ჰარვარდის ლექტორებსა თუ კურსდამთავრებულებს მიუღიათ. ჰარვარდის ბიზნესსკოლის კურსდამთავრებულია, ასევე, აშშ-ს მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. 2002 წელს ჰარვარდის ბიზნესსკოლამ გახსნა კვლევითი ცენტრები იაპონიასა და ევროპაში. დღეისათვის ჰარვარდის ფილიალები აზიასა და ოკეანიაშიც არსებობს.

სტუდენტებს არა მხოლოდ საქართველოსა და ბორჯომის ისტორიას აცნობენ, ყველა ეკონომიკური მონაცემებით, არამედ ესაუბრებიან GG&MW CO. N.V.-ს როგორც წარმატებული ბიზნეს სუბიექტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, იმ პირებზე, ვინც ეს კომპანია შექმნა, ასევე მათზე, ვინც მსოფლიო მინერალური წყლების ბაზარზე ამინდს ქმნის. ლექცია ანუ იგივე - ჰარვარდის „ქეისი" - საუბრობს ყველა იმ დეტალზე, რომელიც GG&MW CO. N.V.-ს ქართველ თუ უცხოელ ინვესტორს გადახდა კომპანიის ფორმირების პროცესში.

ქართველისათვის ისევე, როგორც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის, საინტერესო იქნებოდა ამ ლექციის შინაარსი. განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი ეხება უცხოელების თვალით დანახულ ქართულ კომპანიასა და ბიზნესს - იმ მეთოდებს, რომლებითაც ინვესტორებმა შეძლეს პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კორუფციის, კრიმინალისა და მექრთამეობის დაძლევა, თანამედროვე საბაზრო პრინციპებისთვის მისაღები კომპანიის ჩამოყალიბება და მსოფლიო ბაზარზე ახალი სიტყვის წარმოთქმა.



GG&MW CO. N.V.-ის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე.



GG&MW CO. N.V.-ის აღმასრულებელი მენეჯერი ჟაკ ფლერი.





## ნაწყვეტები ჰარვარდის ლექციიდან

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია

**GG&MW CO. N.V.** ოცდაათი წლის ქართველმა მეწარმემ მამუკა ხაზარაძემ ჩამოაყალიბა 1995 წელს. მიუხედავად საქართველოში არსებული მძიმე კრიმინოგენული თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, ხაზარაძეს უკვე სერიოზული ბიზნესგამოცდილება ჰქონდა. იგი უკვე კარგად იცნობდა ბიზნესის თანამედროვე პრინციპებს. თუმცა, კომპანიას, ზოგადი მიდგომების გარდა, სფეციფიკური მენეჯმენტი ესაჭიროებოდა. კომპანიის საქმიანობას საქართველოს თხევადი განძის - ბორჯომის ხეობის წყლის - მოპოვება და ჩამოსხმა წარმოადგენდა. ამასთან, ხაზარაძე მშვენივრად უწყოდა იმასაც, რომ ბორჯომი მხოლოდ საქართველოთი ვერ შემოიფარგლებოდა, არც სრულიად პოსტ-საბჭოური პოპულარობა იყო საკმარისი სივრცე. ბორჯომი გაცილებით მეტს იმსახურებდა. მაგრამ მსოფლიოში გასვლას და საკუთარი ნიშის მოპოვებას ერთი დეტალი აკლდა. ხაზარაძემ გადაწყვეტილება მიიღო და საქმიანი წინადადებით გამოცდილ, საერთაშორისო დონის პროფესიონალებს მიმართა.

**GG&MW CO. N.V.**-ის აღმასრულებელ მენეჯერად 1997 წლის 13 აპრილს ჟაკ ფლერი დაინიშნა. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ საწყისი ეტაპისთვის კომპანია მინიმუმ 3 მილიონი დოლარის ინვესტიციას მოითხოვდა. თანხებს ყველა მიმართულება საჭიროებდა, მაგრამ მთავარ პრიორიტეტად საერთო შეთანხმებით პროდუქციის ხარისხი დამტკიცდა. თუმცა, ფლერი იმასაც მშვენივრად აცნობიერებდა, რომ აქციონერები მხოლოდ ამას არ დასჯერდებოდნენ.

**GG&MW CO. N.V.**-ის წინაშე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც იდგა - კონკურეცია. კონკურენცია, რომელიც არაერთგვაროვანი იყო. ბორჯომის ჩამოსხმის პრეტენზია გააჩნდა როგორც უშუალოდ მინერალური წყლების მომპოვებლებს, ისე გამაგრილებელი წყლების მწარმოებლებს. მიუხედავად იმისა, რომ **GG&MW CO. N.V.**-ს ბორჯომის სავაჭრო მარკაზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდა მოპოვებული, ზოგიერთი კონკურენტი, ფაქტობრივად, იდენტურ ნაწარმს აწარმოებდა. ამათ ემატებოდა ფალსიფიკატორები. შესაძლოა, მათ ამბიციასაც ჰქონოდა საფუძველი, თუმცა აშკარა იყო, რომ ე.წ. წვრილი მეწარმეები უნიკალურ ბორჯომის წყალს სასტიკ ანტისანიტარიულ პირობებში ასხამდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ბოთლში ონკანის წყალს ასხამდნენ და მას ხელოვნურად, მინერალური დანამატებით ამდიდრებდნენ ბორჯომის გემოს მისაცემად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ ამ პირობებში რთული იქნებოდა წარმატებული სტრატეგიის დანერგვა. ისინი ასევე უწყოდნენ, რომ მიუხედავად თანამედროვე ბიზნესპრონციპებისა, საქმე მაინც ქართულ კომპანიას ეხებოდა. ანუ, ნაცადი ევროპული თუ ამერიკული მეთოდებისა და ხერხების ნაწილი ამ შემთხვევაში გამოუსადეგარი იქნებოდა. ფლერიც აცნობიერებდა იმას, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მუშაობა ნიშნავდა მოქმედებას გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა. მართალია საქართველომ საბაზრო ეკონომიკის დამყარებაში წარმატებას მიაღწია, მაგრამ იურისპრუდენციაში გამოცდილება მაინც ძალიან მწირი იყო. დადგა მყარი სამართლებრივი ჩარჩოების ჩამოყალიბების აუცილებლობა. ყოფილი სახელმწიფო საწარმოებისგან განსხვავებით, აქ ახალი, მკაცრი და მტკიცე მენეჯმენტის აუცილებლობა იგრძნობოდა, რასაც **GG&MW CO. N.V.** მალე შეეგუა.

## ძველი ბრენდი ახალ ხელში

ბორჯომის მინერალური წყალი მოიპოვება ბორჯომის ხეობაში, საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ორი საათის სავალზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს ბორჯომი საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენდა. ყოველწლიურად მოხმარებაში იყო 400 მილიონი ნახევარლიტრიანი ბოთლი. მას შემდეგ წყლის მისაღები და ბოთლებში ჩამოსასხმელი დანადგარები გაუარესდა, წარმოებაც მკვეთრად შემცირდა და გაიზარდა ყალბი პროდუქციის გამოშვება. 1994 წელს მაშინდელმა კომპანიამ 5 მილიონი ბოთლიც ვერ გაყიდა, ხოლო 1995 წელს, წლიურ ნორმასთან შედარებით, წარმოება ერთი მილიონით დაეცა. თუმცა, მარკა მთელ საბჭოეთში ძალიან ცნობილი და პოპულარული იყო.

ბორჯომის წყალს, როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში ვარაუდობდნენ, სამკურნალო თვისებები გააჩნდა - ის არჩენდა სხვადასხვა პრობლემებს კუჭ-ნაწლავში. სასარგებლო წიაღისეულის მაღალმა დონემ მას განსაკუთრებული გემო მისცა, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა დასავლეთის მინერალური წყლებისგან, რის გამოც მომხმარებელს სჯეროდა მისი წამლისებრი გამოყენებისა.

## მამუკა ხაზარაძე

მამუკა ხაზარაძე - დაიბადა თბილისში 1967 წელს. ხაზარაძე ყოველთვის ენერგიით სავსე იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან შესაძლებლობების ძებნა პოლიტიკის მიღმა დაიწყო. 1991 წელს ბიზნესი ამერკული ლუდის და რუსეთში გაყიდვით დაიწყო.

სანკტ-პეტერბურგში ხაზარაძე ჰოლანდიელ მეწარმე ბობ მეიერს შეხვდა, რომელიც ძველი ავტომობილების კოლექციონერად იყო ცნობილი. მეიჯერმა, რომელიც ევროპაში ტურისტულ მოგზაურობაში თავისი ძველი „ბუგატით" სეირნობდა, რუსეთიც მოინახულა. ხაზარაძის შესახებ სწორედ იქ აცნობეს საქმიანმა პარტნიორებმა. ახალგაზრდა ქართველმა მეიერი დააინტერესა და მალე მეგობრობაც შესთავაზა. მეიერი ხაზარაძეს საქართველოში სტუმრობას დაჰპირდა. 1993 წელს მეიჯერმა პირობა შეასრულა და გადაწყვიტა, ინვესტიციები ხაზარაძის ორ ქართულ საწარმოში-სარეკლამო კომპანიასა და სუპერმარკეტების პატარა გაერთიანებაში დაებანდებინა.

1995 წელს ხაზარაძემ, მეიერმა და სხვა ევროპელმა პარტნიორებმა, მათ შორის „პერიეს" ყოფილმა ხელმძღვანელმა ფრედ ზიმერმა, რომელსაც არსებითი გამოცდილება ჰქონდა მინერალური წყლების ბიზნესში აშშ-სა და ევროპაში, ჩამოაყალიბეს **GG&MW CO. N.V.**. 2,6 მილიონ დოლარიდან, რომელთა ნაწილს ფრანგი და ჰოლანდიელი ინვესტორები იხდიდნენ, მათ 1 მილიონად შუშის ქარხანა იყიდეს, რასაც დაერთო 1,5 მილიონი ქარხნის ვალი. დამატებითი 900 ათასით უნდა აღედგინათ და განეახლებინათ დანადგარები.

**GG&MW CO. N.V.**-მ იცოდა, რომ საქმიანობა უდავოდ მომგებიანი იქნებოდა და საჭირო იყო ნებისმიერ ნაბიჯზე წასვლა. ითვალისწინებდა რა სახელწოდების - ბორჯომი - გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, საბოლოოდ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ქარხნების შეზღუდული პრივატიზაცია. ანუ, კერძო კომპანიას მიეცემოდა ქარხნების მართვისა და წყლის ჩამოსხმის ექსკლუზიური უფლება, თუმცა დროებით.

**GG&MW CO. N.V.**-ის სჭირდებოდა დამატებითი კაპიტალი, რათა გაეუმჯობესებინა წარმოების წესები. მათ მიმართეს ჰოლანდიის საინვესტიციო ბანკს, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპაში ახალი შექმნილი ჰქონდა საკრედიტო ხაზი. 1996 წელს მან 2-მილიონიანი ინვესტიცია დააბანდა.

პარალელურად, **GG&MW CO. N.V.**-მ დაიწყო მთავარი მენეჯერის ძებნა. 1997 წლის თებერვალში საქართველოში ჩამოიყვანეს ჟაკ ფლერი. ფლერმა წარადგინა ანგარიში კომერციული მოღვაწეობის შესახებ ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში, თუმცა არასდროს ყოფილა საქართველოში. ის იხსენებდა საწყის გამოცდილებას:

*"მე მოხიბლული ვარ ამ ლამაზი ქვეყნით და მისი ისტორიით. ჩამოსვლის მეორე დღესვე მოვინახულეთ ჯვარი, ეს არის მეხუთე საუკუნის ძეგლი, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც აგებულია ბორცვიან წვერზე. რა თქმა უნდა, აქ ცხოვრებას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ჩემი ოჯახი პარიზში ცხოვრობს. ასე რომ, მას ისე ხშირად ვერ ვხედავ, როგორც მსურს..."*

ფლერი ხედავდა, რომ ბორჯომის მარკის გადმოტანა, მიუხედავად პოპულარობისა, მაინც სირთულეს წარმოადგენდა. თუმცა, მისთვის ეს იშვიათი და სასურველი შანსი იყო ახალი მწვერვალის დასაპყრობად. ფლერმა პოტენციალი ასე ახსნა:

*„პიკურ პერიოდში ბორჯომმა 400 მილიონზე მეტი ბოთლი გაყიდა წლიურად. თუ ჩვენ შევძლებთ კომპანიის პრობლემების გადაჭრას, საუკუნის ბოლოსთვის ძალიან წარმატებულები გავხდებით."*

ისტორიულმა ტრადიციებმა და საბაზრო კონიუნქტურის კვლევის ახლებურმა მეთოდებმა აჩვენა, რომ მარკამ შეინარჩუნა მაღალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთთან შედარებით საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით დაბალია, ბორჯომი დასავლეთის ისეთი მარკების გვერდით დააყენეს, როგორებიცაა **Vichy, Evian** და **Perrier**.

მიუხედავად ენთუზიაზმისა, ფლერმა იცოდა, რომ მისი ამოცანა იოლი არ იქნებოდა. წარმოების მოდერნიზაცია საჭირო იყო არ მარტო წყლის მოცულობის ზრდისთვის, არამედ ნაწარმის საბაზრო ხარისხის უზრუნველსაყოფად. ბორჯომის მარკის ამაღლება იმ ფაქტმა გაართულა, რომ კონკურენტებმა ფალსიფიცირებული ნაწარმის ჩამოსხმა დაიწყეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბორჯომს ყიდდნენ. **GG&MW CO. N.V.**-ს ექსკლუზიურობა დაირღვა.

ფალსიფიკატორები ორი ფორმით შემოვიდნენ. რამდენიმე მცირე ოპერატორი გამოყენებულ ბოთლებს იყენებდა და წყალს უკანონოდ ასხამდა. ხშირად ჩამოსხმა სანიტარიული ნორმების დარღვევით ხდებოდა. უფრო მსხვილი ფალსიფიკატორები, განსაკუთრებით - რუსეთის შორეულ ოლქებში, უბრალოდ, ონკანის წყალს იყენებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბორჯომი იყო. ეს სტიმული იყო, რადგან ამგვარად ბევრად იაფი ჯდებოდა, თანაც, შეეძლოთ **GG&MW CO. N.V.**-ის ნაწარმის ფასად გაეყიდათ. კომპანიის შეფასებით, 1996 წელს რუსეთში გაყიდული პროდუქციის 90 პროცენტი ყალბი იყო.

რუსეთში კანონიერი კონკურენტი ნარზანისა და ესენტუკის მინერალური წყლების სახით არსებობდა. **GG&MW CO. N.V.** თვლიდა, რომ ბორჯომი ჯერ კიდევ ნომერი პირველი იყო და მოსკოვში 80 პროცენტს ფლობდა. ბორჯომის სავაჭრო მარკა უდავოდ ყველაზე მაღალი რეიტინგით სარგებლობდა. თუმცა, გაყალბებამ დააზიანა არა მარტო ბორჯომის, ასევე ნარზანისა და ესენტუკის წყლების ღირებულებაც.

საბჭოთა ცხოვრების წესის მიხედვით, კორუფცია ნორმალური და ბევრისთვის აუცილებელი წესი იყო, რაც **GG&MW CO. N.V.**-ის მენეჯერთათვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა. უსაფრთხოების ხარჯები წლიურად 200 ათას დოლარს აღწევდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ქურდობა მხოლოდ ბოთლების ან დანადგარების ნაწილების მოპარვით არ შემოიფარგლებოდა...

## მომავლის სადღეგრძელო

ქართული ტრადიციით, სუფრასთან აუცილებლად უნდა შეისვას სადღეგრძელოები. სადღეგრძელოები კი მრავალია და ყოველ მათგანს განსაკუთრებული დანიშნულება თუ მისია გააჩნია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სადღეგრძელოს არჩევანი ფართო არ ყოფილა. სუფრასთდან ისხდნენ ადამიანები, ვისაც ბორჯომსა და **GG&MW CO. N.V.**-ზე უნდა ეზრუნათ; თვალ-ყური ედევნებინათ მინის ქარხნის აღდგენითი სამუშაოებისათვის; შეემუშავებინათ მარკეტინგული პროგრამა, თუ როგორ განესხვავებინა მომხმარებლის გონებას **GG&MW CO. N.V.**-ის პროდუქცია, როგორც ერთადერთი ნამდვილი ბორჯომი, და გადაეწყვიტა, რა გამოსახულებით განეთავსებინა წყალი თუნდაც რუსულ ან ქართულ ბაზრებზე.

ამ დროს ყველას თავში ერთი აზრი ტრიალებდა - რა უფრო პრიორიტეტულია, გარე თუ შიდა ბაზარი? რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიზრუნოთ ჯერ გატანაზე, თუ იმაზე, რომ ნამდვილ ბორჯომად აღიქმებოდეს მხოლოდ **GG&MW CO. N.V.**-ს პროდუქცია. შედეგი ნამდვილად ღირდა რისკად.



# საგადასახადო კოდექსი ლიზინგის განვითარებასაც უშლის ხელს

*საქართველოში ლიზინგის სფეროს განვითარებისათვის აუცილებელი საგადასახადო პირობების შექმნის მიზნით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ამერიკის სავაჭრო პალატა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია (ყოფილი გადამხდელთა კავშირი), საქართველოს ბიზნესის კონფედერაცია, ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID-ს) მიერ დაფუძნებული ორი პროექტი და საქართველოს სალიზინგო ასოციაცია გაერთიანდნენ და რომლის მიზანიც იყო კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები კი, დეტალური განმარტებითურთ, ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტთან მოქმედ საექსპერტო ჯგუფს გადაეცა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.*

ნინო ნარჩემაშვილი

"გაიმიჯნოს საბუღალტრო წესები საგადასახადო წესებისაგან, სალიზინგო გარიგებაში მონაწილე მხარეებმა თვითონ გადაწყვიტონ, საგადასახადო მიზნებისათვის ვინ აწარმოებს საამორტიზაციო გამოქვითვებს და სალიზინგო გადასახდელის საპროცენტო ნაწილი გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან," - ასეთი გახლდათ ფინანსთა სამინისტროსათვის შეთავაზებული საგადასახადო ცვლილებების არსი. IFC-ის პროექტის მენეჯერი ფრენკ ლივერი აღნიშნავს, რომ **"შეთავაზებულ საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს უარის მოტივაცია საკმაოდ ბუნდოვანია. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ცვლილებების მიღებით ლიზინგს, სხვა დარგებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობა ენიჭება და ამან შესაძლებელია, საგადასახადო სისტემის შესუსტება გამოიწვიოს. რეალურად კი - ამ შეღავათით სახელმწიფო უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს, რადგან ლიზინგის ბაზარი გაიზრდება და შესაბამისად გაიზრდება საგადასახადო შემოსავლებიც. გარდა ამისა, საქართველოში, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულია, ხოლო მათი წარმატება წარმოების ადვილად ხელმისაწვდომ საშუალებებზეა დამოკიდებული, თავიანთი საქმიანობის გაფართოებისა და მოგების გაზრდისათვის სტიმული მიეცემათ. აღსანიშნავია ისიც, რომ IFC-ის "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ ლიზინგის განვითარებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა გახლავთ და იმედია, საგადასახადო კოდექსის საბოლოო მიღებამდე ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება."**

საინტერესოა, რა შედეგებს მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ახალ საგადასახადო კოდექსში არ შეიცვალა ლიზინგისათვის განსაზღვრული პირობები. ფრენკ ლივერის შეფასებით, **"საქართველოში ვერ განვითარდება ლიზინგი, ლიზინგის ბაზარზე არ მოხდება კომპანიების შემოსვლა, რაც ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. ლიზინგს უნდა მიეცეს განვითარების საშუალება და მიექცეს ყურადღება, რომ მისი განვითარება შედგეს. ეს არ არის წახალისება, არამედ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი ინდუსტრიისათვის აუცილებელი გარემოს შექმნაა. იმის გამო, რომ ლიზინგი ახალი პროდუქტია, შესაბამისად დაბალია საგადასახადო შემოსავლები ამ სფეროდან, მაგრამ ეს შემოსავლები აუცილებლად გაიზრდება სალიზინგო სექტორის ზრდასთან ერთად. ლიზინგს აქვს შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. საქართველოს სჭირდება სრულყოფილი სალიზინგო ინდუსტრია და ეს შესაძლებლობა არ უნდა დაიკარგოს."**

ინფორმაციისათვის - ლიზინგის პოტენციური ბაზრის კვლევა უჩვენებს, რომ საქართველოში ძირითად საშუალებებზე მოთხოვნა 382 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 110 მილიონი დოლარის მოთხოვნა მცირე ბიზნესის სექტორიდან მოდის. დღეისათვის პრობლემა ის გახლავთ, რომ მცირე საწარმოების 75 პროცენტს და საშუალო საწარმოების 70 პროცენტს არასოდეს მიუმართავს კრედიტისათვის, რისი მიზეზიც მაღალი საპროცენტო განაკვეთი, გირაოს მოთხოვნა და სესხის მოკლე ვადაა. ლიზინგის მეშვეობით ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, რადგან ლიზინგის დროს გირაო არ არის საჭირო და სესხის ვადის ხანგრძლივობა უფრო მეტია, ვიდრე სესხის დროს. როგორც საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები აღნიშნავენ, ლიზინგის ვადა საშუალოდ 30 თვეს შეადგენს, როდესაც იგივე ვადა სესხის დროს 14 თვეა. კონსერვატიული შეფასებით, ლიზინგზე სავარაუდო მოთხოვნა დღეს საქართველოში 15-დან 23 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

ფრენკ ლივერი აღნიშნავს, რომ **"ლიზინგი ახალი და განსხვავებული ფინანსური პროდუქტია. იგი ვერ შეცვლის საბანკო სესხს, მაგრამ იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომლებსაც აქამდე არ შეეძლოთ სესხის მოზიდვა ძირითადი საშუალებების შესაძენად, აძლევს დამატებით შესაძლებლობას, მოიზიდონ ფინანსირება. შესაბამისად, ლიზინგი ხელს უწყობს აქტივების მეორადი ბაზრის განვითარებას, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის."**

დაბოლოს. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები (ჯერჯერობით, საქართველოც განვითარებადი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება) ისეთ საგადასახადო ცვლილებებს იყენებენ, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და, რეალურად, ასეთი შეღავათებით მეტი შემოსავლები მიიღება. საქართველოში ლიზინგისათვის საგადასახადო წესების გამარტივებაც სწორედ ამ მიზნისათვის არის საჭირო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შპს "მტკვარი-ენერგეტიკის" კუთვნილი მე-9 ენერგობლოკი 20-საათიანი მუშაობის შემდეგ გუშინ გამოირთო. კომპანიის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ბლოკის მუშაობა მართვის სისტემაში მომხდარი ტექნიკური დაზიანების გამო შეჩერდა. "მტკვარი-ენერგეტიკის" მესვეურები ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობენ, თუმცა ენერგოობიექტის ამუშავების ზუსტ დროს ვერ ასახელებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "ალეგრატრანსი" (Alegratrans), რომელიც ბათუმის ნავთობტერმინალთან თანამშრომლობს, მიმდინარე წელს მხოლოდ 6,7-6,8 მლნ ტონა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს გადატვირთავს. "ალეგრატრანსი" ბათუმის მიმართულებით მომავალი წლისთვის 7 მლნ ტონა თხევადი ნახშირწყალბადების გადატვირთვას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევრობანკი, ევროკავშირის ბიზნესპროგრამის (BAS) ფარგლებში, საქართველოს ბიზნესკომპანიების საკონსულტაციო მომსახურებისთვის მომავალ წელს 300 000 ევროს გამოყოფს. **პრაიმ-ნიუსი**


ს.ს. "თელასი"
**გაყიდის:**

| N | ა/მ მარკა, მოდელი | გამოშვების წელი | ა/მ ფერი | ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Jeep Grand Cherokee 4.0 | 1998 | [illegible] | $ 9000 |
| 2 | Opel Frontera 2.4 I | 1992 | შავი | $ 4500 |
| 3 | Jeep Grand Cherokee 4.7 | 2001 | [illegible] | $ 20000 |
| 4 | ზილ 431410 (ბორტიანი) | 1986 | ღია ლურჯი | 2000 ლარი |
| 5 | გაზ 5334 | 1983 | მუქი ყვითელი 1/4 | $ 5500 |

**კურსით ლარებში!**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და

**შესყიდვების განყოფილებაში;**
**ტელეფონის ნომრებზე:**
**77 98 55; 77 98 57; 77 98 53; 77 99 29**

**სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მქონე პირთა საყურადღებოდ!**

გაცნობებთ, რომ ა/წ 1 დეკემბრიდან იწყება თქვენი კუთვნილი შეღავათების

დამადასტურებელი საბუთების ხელახალი რეგისტრაცია.

გთხოვთ 2004 წ-ის 31 დეკემბრამდე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით აბონენტთა მომსახურების ცენტრებში, წარმოადგინოთ შეღავათის და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში სს "თელასი" იძულებული გახდება შეაჩეროს თქვენს ბარათზე შეღავათის გატარება 2005წლის 1 იანვრიდან.


# ნავთობსექტორში მოღვაწე უცხოელი ინვესტორები აქტიურდებიან

*"საქნავთობში" ირწმუნებიან, რომ მომავალი წლიდან საქართველოში ნავთობის სექტორის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ამის თქმის საფუძველს "საქნავთობის" ხელმძღვანელობას ამ სექტორში როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორების მოზღვავება აძლევს.*

მარიამ ჭაჭაძე

გუშინ დილით, კომპანია "კანარგო ენერჯი კორპორეიშენის" წარმომადგენლები, ინვესტორთა ოცკაციან ჯგუფთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ მიიღო. შეხვედრაზე მამრაძემ "კანარგოს" დელეგაციას ქვეყანაში დღეს შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა გააცნო და დახმარებასაც დაჰპირდა. კანცელარიის უფროსთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ "კანარგო" უცხოელ პარტნიორებთან ერთად მზად არის, საქართველოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ააშენოს, თუ მათი ბიზნეს-პროექტი მომგებიანი იქნება.

მოგვიანებით, უცხოელი ბიზნესმენები ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმაც მიიღო. როგორც შეხვედრის შემდეგ მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლში, სოფელ კუმისთან, საქართველოსთვის საკმარისი ბუნებრივი აირის მარაგი არსებობს, და თუ საქართველოში გაზის შესყიდვით დაინტერესებული კომპანია გამოჩნდება, "კანარგო" მზად არის, მოპოვებითი სამუშაოები სრული მოცულობით განახორციელოს. გილაურის თქმით, აქედან ამოღებული ბუნებრივი აირის მომხმარებელი შესაძლოა, თბილსრესის ენერგობლოკები გახდეს. **"შევთანხმდით, რომ მომავალი შეხვედრისთვის "კანარგო" და მისი პარტნიორები საქართველოში გაზის მოპოვების სექტორის განვითარების ბიზნესგეგმას წარმოადგენენ,"** - განაცხადა გილაურმა.

გარდა ამისა, როგორც "კანარგოს" წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში, მათი კომპანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად საქართველოში 57 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. ინვესტიციების დიდი ნაწილი, შეერთებული შტატების კომერციული ბანკებიდან ფინანსდება. ახალი ინვესტიციის შესაბამისად, სამუშაოების განხორციელების გრაფიკი უკვე შედგენილია და მომდევნო 18 წლის განმავლობაში სამგორისა და ნინოწმინდის საბადოებზე 15 ახალი ჰორიზონტალური ჭაბურღილი გაიბურღება. თანამედროვე საბურღი მოწყობილობებით დატვირთული 22 ვაგონი კი უკვე საქართველოს დედაქალაქში იმყოფება.

კიდევ ერთი უცხოელი ინვესტორი, რომელიც მომავალი წლიდან საქართველოს ნავთობსექტორში გააქტიურებას აპირებს, ამერიკული კომპანია "ფრონტერა რისურს კორპორეიშენია". ნავთობკომპანია 2005 წლისთვის ქვეყანაში 37 მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს. ეს ინფორმაცია თავად კომპანიის პრეზიდენტმა სტივ ნიკანდროსმა "საქნავთობის" გენერალურ დირექტორთან გურამ ვარშალომიძესთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ დაადასტურა.

როგორც ნიკანდროსმა აღნიშნა, მომავალ წელს მისი კომპანია დედოფლისწყაროს რაიონში ხუთ ახალ ჰორიზონტალურ ჭაბურღილს დადგამს და მოპოვებით სამუშაოებს გააგრძელებს. **"იმედი გვაქვს, რომ ნავთობის მოპოვებაში ზრდა გვექნება და საქართველოში მოპოვებულ ნავთობს ექსპორტზე გავიტანთ,"** - განაცხადა ნიკანდროსმა.

ამერიკული კომპანია საქართველოში ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაში ინვესტიციების განხორციელებითაც არის დაინტერესებული, თუმცა, როგორც კომპანიის პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს საკითხი ამ ეტაპზე მხოლოდ განიხილება.

"საქნავთობის" გენერალურ დირექტორს იმედი აქვს, რომ ნავთობმომპოვებელი კომპანიები საქართველოში ნავთობს დიდი ოდენობით მოიპოვებენ, რაც ქვეყნის ბიუჯეტზე და ეკონომიკაზე დადებითად აისახება. **"ნავთობმოპოვების გაზრდით ბიუჯეტში წლევანდელი 15 მლნ ლარის ოდენობის შემოსავლები გაისად 10 მლნ ლარით გაიზრდება,"** - განაცხადა გურამ ვარშალომიძემ.

# ქართულ საწარმოებში კორპორაციული მართვის პრინციპების დეფიციტია

სოფიკო ოხანაშვილი

*კორპორაციული მართვის კულტურა ქართულ საწარმოებში ძალიან დაბალ დონეზეა, - ასეთი იყო დასკვნა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ საქართველოში კორპორაციული მართვის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "მარიოტ ქორთიარდში" გაიმართა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"IFC -ის კვლევის შედეგებმა მართლაც მძიმე სურათი აჩვენა. აშკარაა, რომ პრობლემები ყველა მიმართულებით არსებობს".*

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ქართული საწარმოების უმრავლესობა არასათანადო ყურადღებას უთმობს კორპორაციული მართვის პრინციპებს, წესრიგში არა აქვთ აქტივების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა, საბუღალტრო აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ აწარმოებენ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ფინანსური ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ხორციელდება, ხშირ შემთხვევაში აღრეულია დირექტორატის, აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, საწარმოების უმრავლესობას წლების განმავლობაში არ გადაუხდია და არც ახლა აპირებს დივიდენდების გადახდას, საწარმოთა 57 პროცენტი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში არ აპირებს ინვესტიციების მოზიდვას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არა აქვს კონტროლის შიდა მექანიზმები და ა.შ - ეს იმ დარღვევების მცირე ჩამონათვალია, რაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ საქართველოს 11 რეგიონში არსებული 152 კომპანიის გამოკითხვის შედეგად მიიღო. კვლევა ოთხი მიმართულებით ჩატარდა: კორპორაციული მართვის პრინციპების მიმდევრობა, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის საქმიანობა, აქციონერთა უფლებები და ფინანსური ანგარიშგება. **"კვლევის შედეგებმა მართლაც მძიმე სურათი აჩვენა. აშკარაა, რომ პრობლემები ყველა მიმართულებით არსებობს,"** - განაცხადა პროექტის მენეჯერის მოადგილემ ირინა გორდელაძემ.

კვლევის მიზანს საქართველოში მოქმედ სააქციო საზოგადოებებში კორპორაციული მართვის არსებული პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენდა. კვლევის შედეგებმა ის პრობლემატიკა და ინტერესის სფეროები გამოავლინა, რომლებზე დაყრდნობითაც IFC შეძლებს საქართველოში კორპორაციული მართვის სფეროში არსებული სიძნელეების დადგენას და ისეთი სტრატეგიისა და გეგმის შემუშავებას, სადაც კომპანიების საჭიროებები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემატურ საკითხებზე IFC-ის კორპორაციული მართვის ჯგუფი ქართული კომპანიების წარმომადგენლებს ტრენინგებს და კონსულტაციებს ჩაუტარებს. ირინა გორდელაძის შეფასებით, კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიმართულებით და დონორი ორგანიზაციებისთვის შემდგომი ტექნიკური დახმარების სფეროების განსაზღვრისათვის. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისათვის საწარმოებში არსებული დარღვევების შესახებ სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად და მათი აღმოფხვრისათვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. **"ჩვენ ასეთი კვლევის ჩატარების საშუალება არ გვქონდა. ეს შედეგები ჩვენთვის სამომავლო მუშაობისა და ტაქტიკის ძირითადი საყრდენი გახდება. თუ ქვეყანაში არ არის კარგი საინვესტიციო გარემო, მაგრამ საწარმოებში კორპორაციული მართვა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, ინვესტორი მზადაა, ასეთ ქვეყანაში კაპიტალი შემოიტანოს,"** - გუშინდელ პრეზენტაციაზე განაცხადა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა და იქვე დაუმატა, რომ კომისია რამდენიმე დღეში სრულყოფილად განიხილავს კვლევის შედეგებს, რაც ცვლილებების სახით აუცილებლად აისახება კომისიის ნორმატიულ აქტებში.

P.S. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ოფიციალური ინფორმაციით, კომისიის წინაშე ამჟამად 1800 სააქციო საზოგადოებაა ანგარიშვალდებული, თუმცა რეალურად ანგარიშს მხოლოდ 800 აბარებს.

# საქართველო აზერბაიჯანისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვს

*დაახლოებით ორი კვირის წინ აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის აზერბაიჯანის მონაკვეთზე დაკავებული ცხრაასამდე სატვირთო ვაგონი დაძრულია და უმეტესობა გამოტარებულია. აზერბაიჯანის მხარის მტკიცების მიუხედავად, რომ საქართველო ორ ქვეყანას შორის დადებულ ხელშეკრულებას არღვევს, საქართველო კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს და ტვირთების მოცდენისათვის აზერბაიჯანს ზარალის ანაზღაურებას მოსთხოვს.*

ორი კვირის წინ, როცა საქართველო აზერბაიჯანის განცხადებებს აპროტესტებდა, "საქართველოს რკინიგზა" "სომხური ტვირთის" არსებობას ადასტურებდა, თუმცა აცხადებდა, რომ გაჩერებული ტვირთების უმეტესობა საქართველოს ბაზრისთვის და ფოთის და ბათუმის ნავსადგურების გავლით სხვა სახელმწიფოებში იმპორტიორებისათვის იყო განკუთვნილი. თუმცა, დღეს "საქართველოს რკინიგზის" ოფიციალური განცხადებით, აზერბაიჯანიდან ტრანზიტით სომხეთში არც ერთი ტვირთი არ მიდის.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ეს ქვეყნები იღებენ ორმხრივ ვალდებულებას, რომ ტრანზიტულ ტვირთს მესამე ქვეყანაში არ გაატარებენ, თუ ეს რომელიმესთვის საზიანოა. აზერბაიჯანის მხარე ტვირთების გაჩერების მოტივად სწორედ ამ შეთანხმების დარღვევას ასახელებდა. თუმცა, "საქართველოს რკინიგზის" აზრით, საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკება არც ამ შემთხვევაში და არც მანამდე არ დაურღვევია.

ამჟამად, "საქართველოს რკინიგზა" ტვირთების მოცდენით მიღებულ ზარალს ითვლის. მათი განცხადებით, ფირმებისთვის მოცდენილი დღეების ასანაზღაურებლად საქართველო აზერბაიჯანს ზარალის ანაზღაურებას მოსთხოვს.

**"საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის აუცილებელია აზერბაიჯანის გავლით ტვირთგადაზიდვების კონტროლის ქმედითი მექანიზმის შემუშავება,"** - ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" საქართველოს ელჩმა აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძემ განუცხადა. **"ჩვენთვის აუცილებელია გარანტირებული მექანიზმის შემუშავება ტვირთგადაზიდვებთან დაკავშირებით, რათა ქართულმა მხარემ შეძლოს სიტუაციის გაკონტროლება და საქართველომ სატრანზიტო ფუნქცია არ დაკარგოს,"** - დაამატა ელჩმა.

ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წლის 9-11 დეკემბერს ბაქოში საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართება. როგორც "24 საათს" დეპარტამენტში განუცხადეს, ვიზიტის მიზანი ორ ქვეყანას შორის სამართლებრივი დოკუმენტების განხილვის ფარგლებში სასაზღვრო და საბაჟო პროცედურების გამარტივებაა. სავარაუდოდ, საუბარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მომხდარ ინციდენტსაც შეეხება.

*24 საათი*

# "ყაზბეგის" ლუდი გრან-პრით და ოქროს მედლით დაჯილდოვდა

## საერთაშორისო ექსპერტებმა წლის საუკეთესო ლუდად "ფშავი" აღიარეს

**კომპანია "ყაზბეგის" ახალი პროდუქტი-ხორბლის ლუდი "ფშავი" მოსკოვში გამართულ ლუდის, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების მერვე საერთაშორისო პროფესიონალურ კონკურსზე 2004 წლის საუკეთესო ლუდად აღიარეს. "ფშავი" კონკურსის საერთაშორისო ჟიურიმ გრან-პრით და ოქროს მედლით დააჯილდოვა. პრიზიორ ბრენდებს შორის კი წლის საუკეთესო ლუდის წოდება სწორედ "ფშავს" მიენიჭა, ეს აღიარება მით უფრო შთამბეჭდავი და საამაყოა, რომ მოსკოვის მერვე საერთაშორისო კონკურსში ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნების ლუდის მწარმოებელი 50 წამყვანი კომპანია მონაწილეობდა.**

საქართველოში პირველად ხორბლის გაუფილტრავი ლუდის წარმოება კომპანია "ყაზბეგმა" შარშან დაიწყო. "ფშავი"-კომპანიის ახალი ბრენდია, რომელიც "ყაზბეგის" რუსთავის ლუდის ქარხანაში მზადდება.

რით არის გამორჩეული ხორბლის გაუფილტრავი ლუდი-ლუდის ჭეშმარიტი მოყვარულები ხორბლის ლუდს რბილი და ხავერდოვანი გემოს გამო ირჩევენ. ხორბლის ლუდი არ იფილტრება და ამიტომაც არის მღვრიე ოქროსფერი, ქაფიც განსაკუთრებული, მკვრივი და მაღალი აქვს.

**"ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე აცხადებს: "ხორბლის ლუდი ტექნოლოგიურად ბევრად რთული დასამზადებელია. "ფშავის" რეცეპტურა ორიგინალურია, ჩვენ ლუდს მხოლოდ ქართული ხორბლისაგან ვამზადებთ, რადგანაც მას საუკეთესო ხარისხი და დაბალი წებოვნება აქვს."**

ხორბლისაგან ლუდის დამზადება საქართველოს მთიანეთში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაა. ხორბლის ლუდს გერმანიის ლუდის ბაზრის 30 % უჭირავს. Mამ უნიკალური ლუდის გასასინჯად, რომელიც ბავარიელებმა პირველად მეთორმეტე საუკუნეში დაამზადეს, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩადიან მიუნხენის ლუდის ფესტივალზე.



ქართულ ბაზარზე "ფშავი" ადვილად და მყარად მისი გამორჩეული გემოს გამო დამკვიდრდა, ლუდის ხარისხზე კი საერთაშორისო კონკურსის აღიარებაც მეტყველებს. კომპანია "ყაზბეგი" ყოველწლიურად 5 მილიონ ბოთლ "ფშავს" ასხამს.

ქართული ლუდის საერთაშორისო აღიარება უკვე საამაყო ტენდენციად იქცა, ბოლო 5 წლის განმავლობაში კომპანია "ყაზბეგის" პროდუქციამ მადრიდის, მოსკოვის, ბრიუსელის ლუდის ყველა საერთაშორისო კონკურსსა და გამოფენაში ოქროს მედალი დაიმსახურა, შარშან მოსკოვის საერთაშორისო კონკურსზე კი წლის საუკეთესო ლუდის მხარშველად "ყაზბეგის" მთავარი ტექნოლოგი ნიკოლოზ მაზმიშვილი დაასახელეს.

ასე რომ, მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართულ ღვინოსთან ერთად საერთაშორისო არენაზე ქართული ლუდიც მკვიდრდება.

# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო
FM 107.4

„თუ ჩვენ ტექნოლოგიების რესურსების კაპიტალიზაციას მოვახდენთ, 10 წელიწადში საშუალო ევროპულ დონეს მივაღწევთ"

„რადიო ტალღა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

**წამყვანები** ლეო ჯიბლაძე, გაგა გობრონიძე, გიორგი ბაბალაშვილი
**სტუმარი** სანდრო თვალჭრელიძე, სამთამადნო კომპანიის "კორდილიერი - 2" პროექტების გენერალური დირექტორი



**სანდრო თვალჭრელიძე:** ჩვენი სამთამადნო კომპანია მუშაობს ზესხოს სპილენძის საბადოს შესწავლასა და დამუშავებაზე. დარწმუნებულები ვართ, რომ სვანეთში, კავკასიონის ქედზე ვქმნით თანამედროვე, უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა, სპილენძის მომპოვებელ ინფრასტუქტურას.

საქართველოში 950 საბადოა. დღეს ამ რესურსის მხოლოდ 0.1 პროცენტი გამოიყენება. სამთო დარგი დავიწყებულია. ინვესტიციები არ ხორციელდება. ჩვენ კი ვახორციელებთ ინვესტიციებს, რომლებიც შეიძლება საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ბაზისი გახდეს. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში 9 თვის განმავლობაში 500 000 აშშ დოლარის ინვესტირება განვახორციელეთ.

თუ ჩვენ ტექნოლოგიების რესურსების კაპიტალიზაციას მოვახდენთ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ორჯერ გაიზრდება და 10 წელიწადში საშუალო ევროპულ დონეს მივაღწევთ. Eესე იგი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მთლიანი Dშიდა პროდუქტი დღევანდელთან შედარებით 10-ჯერ გაიზრდება და 8,.5 ათასი დოლარს... მიაღწევს.


# ავსტრიელი ექიმები ვიქტორ იუშენკოს მოწამვლის ფაქტს ადასტურებენ

ავსტრიის კლინიკა "რუდოლფინერჰაუსის" ექიმები მზად არიან, უახლოეს მომავალში დაასახელონ ნივთიერება, რომლითაც უკრაინის ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშენკო მოწამლეს. ამის შესახებ იუწყება გავლენიანი ბრიტანული გაზეთი "ტაიმსი".

გამოცემის ინფორმაციით, სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი ნამდვილად მოწამლული იყო. როგორც გაზეთს ვიქტორ იუშენკოს მკურნალმა ექიმმა ნიკოლაი კორპანმა განუცხადა, საწამლავი, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს ოპოზიციის ლიდერის წინააღმდეგ გამოიყენეს, უახლოეს დღეებში დადგინდება. ამჟამად, ავსტრიელ ექსპერტებს მათი ბრიტანელი, ამერიკელი და ფრანგი კოლეგები ეხმარებიან. "დარწმუნებული ვართ, რომ დავადგენთ იმ ნივთიერების ტიპს, რომელიც იუშენკომ სხვა ადამიანებისგან მიიღო. ეს ადამიანები გარკვეულ მიზანს ისახავდნენ," - განაცხადა კორპანმა.

კითხვაზე, იყო თუ არა მათი მიზანი იუშენკოს მოკვლა, კორპანმა უპასუხა - "დიახ, რა თქმა უნდა". იუშენკოს მკურნალმა ექიმმა განაცხადა, რომ ავსტრიელი, ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი ტოქსიკოლოგების კვლევის შედეგები უახლოეს ხანში გამოქვეყნდება. თუმცა, საბოლოო დიაგნოზს ისინი მხოლოდ იუშენკოს განმეორებითი გამოკვლევის შემდეგ დასვამენ. ვიქტორ იუშენკო 6 სექტემბერს გახდა ავად. ოთხი დღის შემდეგ, მუცლის არეში ძლიერი ტკივილებით და სახეზე ანთებებით, იგი ვენის "რუდოლფინერჰაუსის" კლინიკაში გაგზავნეს. იუშენკოს ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი და ნაწლავები ჰქონდა გასიებული. საჭმლის მომნებელი ტრაქტი კი წყლულებით იყო დაფარული. ექიმებმა ეს სიმპტომები ვერ ახსნეს. მათი რჩევის მიუხედავად, ერთი კვირის შემდეგ იუშენკო უკრაინაში დაბრუნდა და საპრეზიდენტო კამპანია განაახლა. თუმცა, ორი კვირის შემდეგ ზურგში ძლიერი ტკივილების გამო იძულებული გახდა, ისევ ვენის კლინიკაში დაბრუნებულიყო. მაშინ ავსტრიელმა მედიკოსებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ვერც დაადასტურებენ და ვერც უარყოფენ იუშენკოს წინასწარგანზრახული მოწამვლის ვერსიას.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

### ამერიკულმა "21-ე საუკუნის იარაღმა" გამოცდას ვერ გაუძლო

თვითმფრინავის გამოცდა, რომელზეც აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო საბრძოლო ლაზერის დამონტაჟებას აპირებდა ბალისტიკური რაკეტის განადგურების მიზნით, მარცხით დასრულდა. პენტაგონის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს განცხადებით, "ბოინგ-747"-ის ფრენა დაგეგმილი 2 საათის ნაცვლად, სულ 22 წუთი გაგრძელდა. თვითმფრინავი ბაზაზე მას შემდეგ დაბრუნდა, რაც პილოტის კაბინაში წნევის ვარდნა დაიწყო.

სპეციალისტთა განმარტებით, თვითმფრინავის იმ ნაწილში, სადაც ეკიპაჟია განთავსებული, გაცილებით მაღალია წნევა, ვიდრე იმ ნაკვეთურში, რომელიც მაღალენერგეტიკული ლაზერისათვის იყო განსაზღვრული. ეს განსაზღვრულია პილოტთა უსაფრთხოებისათვის იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო სისტემიდან მომწამვლელი ნივთიერების გაჟონვა მოხდება. თუმცა, საცდელი ფრენის დროს, ლაზერი არ იყო თვითმფრინავში, ამდენად პილოტებს საფრთხე არ დამუქრებია.

პენტაგონმა "ბოინგ-747"-ისათვის განკუთვნილ "21-ე საუკუნის ლაზერულ იარაღზე" მუშაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო. აღნიშნულ რთულ პროექტზე "ბოინგი", "Lockheed", "Martin" და "TRW" ერთობლივ სამუშაოებს აწარმოებენ. ტექნიკური სირთულის მიზეზით პროგრამის გამოცდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. როგორც ვარაუდობენ, სისტემის წარმოება 2010 წლამდე არ მოხდება, ხოლო პროდუქციის წარმოების დაწყებისას თითოეული ლაზერული თვითმფრინავის ფასი 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტში იმედოვნებენ, რომ ზემოაღნიშნული საბრძოლო ლაზერის სისტემა ფრენის საწყის სტადიაში მყოფი რაკეტის გასანადგურებლად იქნება გამოყენებული და ამდენად, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ინტეგრირებული სისტემის ფარგლებს არ გასცდება. მის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებად იქცევიან სამეთაურო პუნქტები კოლორადოსა და ალიასკას შტატებში, სახმელეთო ბაზირების რაკეტა-გზაგადამჭრელები, ალეუტის კუნძულებზე სარადარო სისტემები, დაბალ და გეოსტაციონარულ ორბიტებზე კოსმოსური თანამგზავრების დაჯგუფებები, გამანადგურებლები "იჯის"-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან ერთად და "პარტიოტ"-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. ექსპერტთა შეფასებით, ამგვარი სისტემის შექმნა აშშ-ს 2035 წლამდე 1.2 ტრილიონი აშშ დოლარი დაუჯდება.

### პაკისტანმა "მიწა-მიწის" ტიპის ბალისტიკური რაკეტა გამოცადა

პაკისტანმა "მიწა-მიწის" ტიპის ბალისტიკური რაკეტა გამოცადა, რომელსაც ბირთვული მუხტის გადატანა შეუძლია. შეიარაღებულ ძალთა განცხადებაში ნათქვამია, რომ "პაკისტანმა საკუთარი წარმოების საშუალო მოქმედების რადიუსის "მიწა-მიწა" კლასის "ჰათფ-უ შაჰინ-1"-ის ტიპის ბალისტიკური რაკეტის საცდელი გაშვება წარმატებით განახორციელა". აღნიშნულ რაკეტას 700 კმ-ის მანძილზე სამიზნე ობიექტის განადგურება შეუძლია.

ნოემბერს, ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტამდე, ისლამაბადმა 29 ახლო მოქმედების რადიუსის "ჰაზნავი"-ს ტიპის რაკეტა გამოცადა. ბირთვული საბრძოლო მასალების გადატანა ამ უკანასკნელსაც შეუძლია, თუმცა, გაცილებით შეზღუდული მასშტაბებით. მას სამიზნე ობიექტის განადგურება მხოლოდ 300 კმ-ის რადიუსში ძალუძს. **იტარ-ტასი**

### ერაყში არჩევნებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან

ერაყში მომავალი წლის დასაწყისში დაგეგმილი არჩევნებისათვის აშშ-მ სპეცდანიშნულების რაზმის ოფიცრებისა და ჯარისკაცების დიდი ჯგუფი გაგზავნა. არმიის ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან განსხვავებით, სპეცდანიშნულების ძალების დისლოცირება საიდუმლო რეჟიმში ხდება. თუმცა, როგორც გაზეთ "კოლორადო-სფრინგს"-თვის გახდა ცნობილი, უკანასკნელი თვის განმავლობაში ერაყში გადასროლილ იქნა სპეცდანიშნულების რაზმის მე-10 არმიის დაჯგუფების თითქმის სრული პირადი შემადგენლობა, რომლის ბაზირების ადგილია ფორტ-კარსონი (კოლორადოს შტატი) ზემოაღნიშნული გაზეთის თანახმად, ჯგუფის შემადგენლობაში 1 000 ოფიცერი და ჯარისკაცი ირიცხება.

ფორტ-ბრეგში (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი) აშშ-ს არმიის სპეცოპერაციის სამეთაურო შტაბ-ბინაში დაადასტურეს სამხედრო ნაწილის ერაყში გადასროლის ფაქტი, თუმცა საექსპედიციო ჯგუფის წევრთა რაოდენობის, დისლოკაციის ახალი ადგილისა და ვადების დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავეს.

# ნატო-რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ

დღეს ბრიუსელში, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე ხელი მოეწერება "საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივი ქმედებების ყოვლისმომცველ გეგმას". დოკუმენტს ხელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰუპ სხეფერი მოაწერენ.

როგორც რუსეთში ნატო-ს საინფორმაციო ბიუროს დირექტორი იზაბელ ფრანსუა აღნიშნავს, "გეგმა საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხისა და მისი თავიდან აცილების შესახებ პრევენციულ ზომებსა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო თუ სხვა სახის ღონისძიებებს ითვალისწინებს. სამოქმედო პროგრამაში ჩადებულია ასევე შესაძლო ტერორისტული აქტების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის გზები".

# კონსოლიდაციისა და შერიგების აქტი

პირველი გვერდიდან

გრძელვადიან პერსპექტივაში კი ყველაფერი ასე მარტივად არ არის - სავარაუდოდ, ოპოზიციას მომავალში მთელი რიგი პრობლემები ელოდება მიღებული ცვლილებების შედეგად.

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ქვეყანა ნახევრად საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადადის. პრეზიდენტის ინსტიტუტი - ის, რისი გულისთვისაც ამდენი ხანია, ბრძოლა მიმდინარეობს - აშკარად სუსტდება. ანუ ის, რასაც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებამდე (რამდენიმე თვის წინ კუჩმამ უკვე სცადა "პოლიტრეფორმის" შესახებ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა), საბოლოო გამარჯვების წინ მისაღები დათმობა აღმოჩნდა.

უმაღლესი რადას გუშინდელმა გადაწყვეტილებამ მომავალში, შესაძლოა, სრულიად შეცვალოს უკრაინის პოლიტიკური პროცესების სახე.

თუმცა, ისე არ გავიგოთ, თითქოს მხოლოდ ოპოზიცია წავიდა დათმობებზე. კუჩმას წამოყენებული საკანონმდებლო ინიციატივა თავიდანვე იმაზე იყო გათვლილი, რომ ოპოზიციისთვის ის მიეცა, რასაც ყველაზე მეტად ითხოვდა (საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის ახალ შემადგენლობასაც გულისხმობს) და სანაცვლოდ ასე სასურველი პოლიტრეფორმა მიეღოთ. ამას გარდა, კუჩმამ დამატებით კიდევ ერთი მოთხოვნა შეასრულა, დააკმაყოფილა გენერალური პროკურორის "თხოვნა" გადადგომის შესახებ (ამავდროულად არ შეასრულა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა - არ დაითხოვა მთავრობა, იანუკოვიჩი მხოლოდ შვებულებაში გაუშვა.)

ვინ აღმოჩნდება საბოლოო ჯამში მოგებული, დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელი სათქმელია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კანონი მომავალშიც შეიძლება კვლავ შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რას ამბობენ (თუ ფიქრობენ) დღეს ამ კანონის შემოქმედნი (რადას სპიკერმა ლიტვინმა კატეგორიულად განაცხადა, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტი კონსტიტუციას ამ მიმართულებით აღარ შეცვლის).

თავად ცვლილებების იურიდიულ მხარეს თუ დავუბრუნდებით, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამიერიდან მთავრობის ფორმირებაში საკანონმდებლო ორგანოს ენიჭება უპირატესობა. სწორედ, უმაღლესი რადას წევრთა უმრავლესობას (სხვათა შორის, მათი უფლებამოსილების ვადაც ახალი კანონით 5



*უმაღლეს რადაში გუშინ კონსოლიდაციისა და შერიგების აქტი შედგა*

წლამდეა გაზრდილი) ექნება საშუალება, დააკომპლექტოს მთავრობა - თითქმის იმგვარად, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკებშია მიღებული, სადაც გამარჯვებული პარტია იღებს მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას. თუმცა, უკრაინულ მოდელში პრეზიდენტის უფლებამოსილებაც არ არის მხოლოდ სიმბოლური, მას ისევ რჩება მნიშვნელოვანი უფლებები, მათ შორის ძალოვანი უწყებების გაკონტროლების მექანიზმები (მაგალითად, პრეზიდენტი დანიშნავს თავდაცვის მინისტრს).

აღსანიშნავია, რომ გუშინდელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ღიად, ოპოზიციონერთგან ერთადერთი - იულია ტიმოშენკო გამოდიოდა. ადამიანი, რომელმაც სახელი რევოლუციური აქტიურობით გაითქვა (შეიძლება ითქვას, დიდწილად მისი დამსახურებაა "ნარინჯისფერი" ტალღის აგორება კიევში), აშკარად უკმაყოფილო ჩანდა გუშინდელი გარიგებით და ღიად დააფიქსირა, რომ მისმა გუნდმა საკანონმდებლო პაკეტს მხარი არ დაუჭირა.

უცნაურია, რატომ აღაშფოთა იუშენკოს ერთგული თანამებრძოლი, იმავე იუშენკოსთვის მისაღებმა გადაწყვეტილებამ? იქნებ იმან, რომ ცვლილებებმა მთავრობის მეთაურის ადგილის დაკავების პერსპექტივა ტიმოშენკოს, ფაქტობრივად, დაუკარგა?

მართლაც, უმაღლეს რადაში არსებულ ძალთა გადანაწილებას თუ გავიხსენებთ (სადაც ოპოზიციას უმრავლესობა არასოდეს ჰქონია), რადიკალი იულია ტიმოშენკოს მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება ფრიად საეჭვო ხდება. უკრაინის პარლამენტართა "მერყევი უმრავლესობა" ამ პოსტზე ნებისმიერს (თუნდაც სოციალისტ მოროზს ან რადას სპიკერ ლიტვინს) უფრო ადვილად დაამტკიცებს, ვიდრე ტიმოშენკოს.

თუმცა, რადიკალი ოპოზიციონერის ჰიპოთეტურ "მერკანტილურ" ზრახვებზე რომ არ გავამახვილოთ ყურადღება, ტიმოშენკოს პროტესტი ბევრ, დამაფიქრებელ მომენტსაც შეიცავდა. რასაკვირველია, იუშენკოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში (რასაც, ალბათ, წინ აღარაფერი უდგას), მისი ურთიერთობა საკანონმდებლო ორგანოსთან და, შესაბამისად, რეფორმების სასურველი გზით წარმართვა, სულაც არ იქნება იოლი. როგორც ჩანს, უკრაინაში ოლიგარქებსა და პოლიტიკოსებს შორის ახალი კავშირების ჩამოყალიბების ხანა დაიწყება. საკითხავია, ძალთა (ფულისაც ბუნებრივია) ასეთ "დიდ გადანაწილებაში" მოიგებს თუ არა უკრაინელი ხალხი?

ასე რომ, ნათელი ხდება კუჩმას სიხარულიც. მიუხედავად ყველაფრისა, მან მაინც შეინარჩუნა სიტუაციაზე კონტროლის საშუალება და რევოლუციური რეფორმირების ნაცვლად, უკრაინის დემოკრატიულ ცვლილებებს, ევოლუციური განვითარების მიმართულება მისცა.

საინტერესოა, რომ გუშინდელი გარიგების დაფარული დეტალებით არავინ დაინტერესებულა, მათ შორის დასავლეთი. ბრიუსელში მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კმაყოფილება გამოთქვა უმაღლესი რადას გადაწყვეტილების გამო. "მე კმაყოფილი ვარ, რომ პარლამენტმა დაამტკიცა 26 დეკემბრის განმეორებითი არჩევნების გასამართად აუცილებელი ნორმატიული აქტები, - განაცხადა კოლინ პაუელმა "მარშალის ფონდში" გამოსვლისას, - უკრაინელებმა გაერთიანებული ძალისხმევით შეძლეს მათ წინაშე მდგომი რთული პრობლემების დაძლევა". მან ასევე, ხაზი გაუსვა, რომ უზომოდ კმაყოფილია უკრაინის საკითხთან მიმართებაში აშშ-სა და ევროპის საერთო პოზიციით. მისი თქმით, "უკრიანისა და რუსეთის ხელისუფლებამ მკაფიო "მესიჯი" მიიღო ჩრდილოეთ ამერიკიდან და ევროპიდან - "მიეცით უკრიანელ ხალხს გადაწყვეტილების თავად მიღების საშუალება".

თავის მხრივ, "უდავოდ კონსტრუქციულ ნაბიჯად" შეაფასა უმაღლესი რადას გადაწყვეტილებები ევროკავშირმაც. "ევროკავშირი მიესალმება უკრაინის პარლამენტის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებას, ცვლილებები შეიტანოს საარჩევნო კანონმდებლობაში, ცესკო-ს შემადგენლობასა და კონსტიტუციაში," - აღნიშნულია ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე-ქვეყნის, ნიდერლანდების განცხადებაში. უფრო მეტიც, სიხარულს არ მალავდა უკრაინის დაპირისპირებულ მხარეთა ერთ-ერთი მთავარი "მომრიგებელი" ხავიერ სოლანა. "დღეს - დიადი დღეა. მე შესანიშნავი ცნობებით დავბრუნდი უკრაინიდან, რადგანაც ყველა აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი დამტკიცებულია, - ამბობს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი, - ერთადერთი, რაც ევროკავშირს დარჩენია, ეს არის 26 დეკემბერს დაგეგმილ განმეორებით კენჭისყრაზე დამკვირვებლების გაგზავნა".


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**საქრთველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაინტერესებულ პირებს იწვევს პრეოქტში**

"მშობლის ხმა"

მონაწილეობის მისაღებად

პროექტი გულისხმობს სასკოლო რეფორმის პროცესში მშობლების აქტიურ ჩართვას. ინფორმაციისთვის დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 959912.

# დროებითი მორატორიუმი

*ვიდრე პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში იაპონიაში თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციის ყრილობას ესწრება, მისი მოადგილე ლაშა ჭიჭინაძე პრესკონფერენციას მართავს და მათ საქმიანობაში სახელისუფლო ორგანოების უხეშ ჩარევასა და შანტაჟზე საუბრობს. ჭიჭინაძის თქმით, ხელისუფლება მათ პროკურატის ენით ელაპარაკება, რის გამოც, პროფკავშირების გაერთიანება ხელისუფლებასთან დაწყებულ მოლაპარაკებებზე მორატორიუმს აცხადებს.*

თამარ დვალი

23 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პროფესიული კავშირის გაერთიანებას წერილობით მიმართა და თანამშრომლობის დაწყება შესთავაზა; კონკრეტულად - ფონდის შექმნა, რომელსაც ერთობლივ მართვაში გადაეცემა ქონება - ანუ საკურორტო ობიექტების განსაზღვრული რაოდენობა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის დაწყებული მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდება, ლაშა ჭიჭინაძე დროებით მორატორიუმის გამოცხადებაზე საუბრობს. "გენერალური პროკურატურის დავალებით, იუსტიციის სამინისტროს რევიზორთა ჯგუფმა ხუთი თვის განმავლობაში საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა და ვერ აღმოაჩინა კანონსაწინააღმდეგო ფაქტები. ამასთან დაკავშირებით შედგენილია კიდეც შესაბამისი აქტი. 6 დეკემბერს მთაწმინდა-კრწანისის მოსამართლე სონღულაშვილმა, ვარაუდის საფუძველზე, ნება დართო გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს, კიდევ ერთხელ გადაამოწმონ პროფკავშირების გაერთიანების სამეურნეო სტრუქტურის ათასჯერ შემოწმებული დოკუმენტაცია. "პროკურატურის ამ ქმედებას ჩვენს საქმიანობაში უხეშ ჩარევად მივიჩნევთ", - აცხადებს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ამ თანამდებობაზე ორი კვირის წინათ დაინიშნა(მანამდე იგი ამ გაერთიანების ადვოკატი იყო).

ჭიჭინაძის თქმით, თუკი სახელმწიფო მათთან თანამშრომლობის დაწყებას აპირებს, მაშინ პროკურატურის ენით აღარ უნდა ელაპარაკოს. იგი იმასაც აცხადებს, რომ "ვილაცებს" მათდამი ფინანსური დაინტერესებაც აქვთ.

"ჩვენ გვაქვს, დაახლოებით, 200 მილიონი დოლარის ქონება. როდესაც ამხელა ქონების პატრონი ხარ, როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში არ იქნება ძალა, ვისაც ეს ქონება უნდა? დააკვირდით, ის შავი პიარი, რომელიც ტუღუშის წინააღმდეგაა მიმართული, ყოველთვის ყრილობის ჩატარების წინ იწყება", - ამბობს ჭიჭინაძე.

როგორც პროფკავშირებში ვარაუდობენ, გაფორმდება თუ არა სახელმწიფოსთან შეთანხმება, ქონებრივი საკითხების დარეგულირებასთან დაკავშირებით, პროფკავშირების მუშაობაც რადიკალურად შეიცვლება, რადგან გაქრება ქონებრივი ინტერესები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორი პაატა ჯაველიძე უარყოფს ინფორმაციას, რომ მათი სამსახური მეორედ შევიდა პროფკავშირების შესამოწმებლად.

"გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა საქართველოს პროფკავშირების ცალკეულ ხელმძღვანელთა მიერ არაერთგზის დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტებზე. მინდა, განვაცხადო, რომ საქმის გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა. თუ რა დარღვევებია აღმოჩენილი, ეს გამოძიების დამთავრების შემდეგ გახდება ცნობილი. ჩვენ საბოლოო დასკვნა ჯერ არ გამოგვიტანია. არ მესმის, რა ინტერესები შეიძლება იდგეს ჩვენს უკან, ან ვის შეკვეთას შეიძლება ვასრულებდეთ?" - უკვირს პაატა ჯაველიძეს.

# ტაში და პასუხისმგებლობა

*"ქალაქის მერი ემტერება ქალებს! დაიწუნა ქართლის დედა და დამიწუნა მე", - ეს განცხადება განათლების საქალაქო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ნინო ჩაჩავამ 7 დეკემბერს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში გააკეთა. ამ სიტყვებისთვის, მაშინ მან მქუხარე ტაში დაიმსახურა, თუმცა ამავე სიტყვებით, შეიძლება, საქმე უფრო გაირთულა. გუშინ საქრთველოს გენერალურმა პროკურატურამ ნინო ჩაჩავა ეჭვმიტანილად სცნო.*

თამარ დვალი

ჯერ ორი თვეა გასული, რაც განათლების საქალაქო სამსახურს ნინო ჩაჩავა ხელმძღვანელობს. თავის დროზე, მის კანდიდატურას ქალაქის მერი, პრემიერი და საკრებულო ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს. როგორც ამბობენ, ჩაჩავას მაღალ ეშელონებში მფარველი არ ჰყოლია და მის დაწინაურებას თავად ქალაქის მერიც ემხრობოდა.

დეკემბრის დასაწყისში ჭიაბერაშვილს ინდმეწარმე წიკლაურმა მიმართა და განათლების საქალაქო სამსახურში ჩატარებული ტენდერის კანონდარღვევით ჩატარების შესახებ იჩივლა. ჭიაბერაშვილის თქმით, მან ამ საკითხის გარკვევა თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას დაავალა, რომელმაც დაადგინა, რომ თბილისის განათლების საქალაქო სამსახურში ზამთრისთვის სკოლების გათბობის საშუალებებით მომარაგებაზე ჩატარებული ტენდერი კანონდარღვევით ჩატარდა. ქალაქის მერი საქმის ბოლომდე განხილვას არ დაელოდა და განათლების საქალაქო სამსახურის უფროსს გადადგომა მოსთხოვა. ჩაჩავამ მის სამსახურში არსებული დარღვევა უარყო და დასახმარებლად ქალაქის პრემიერსა და საკრებულოს თავჯდომარეს მიმართა.

7 დეკემბერს ნინო ჩაჩავა და მისი მოადგილე კოტე თევდორაძე ფინანსურ პოლიციაში ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მოტივით, შვიდი საათის განმავლობაში გააჩერეს. როგორც ჩაჩავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანის თავისუფლება ყოველგვარი პროცესუალური დოკუმენტის არსებობის გარეშე შეზღუდეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბესელიამ პროკურატურაში ფინანსური პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა.

გუშინ გვიან ღამით, გენერალურმა პროკურატურამ ნინო ჩაჩავა თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა და ეჭვმიტანილად სცნო. მას 58 ათასი ლარის მითვისებაში ედავებიან.

ნინო ჩაჩავა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მას ქალაქის მერი ებრძვის.

# იუბილე და პრობლემები უკრაინულ სკოლაში



უკრაინის სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკოლოზ სპისიმ, უკრაინის მთავრობის სახელით, საიუბილეო ორდენით დააჯილდოვა სკოლის დირექტორი ანა მატვეევა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნინო ბერელიძე

მიხეილ გრუშევსკის სახელობის უკრაინულმა სკოლამ გუშინ არსებობის ხუთი წლისთავი იზეიმა. სკოლაში, სადაც ასამდე ბავშვი სწავლობს, სწავლება ქართულ და უკრაინულ ენებზე მიმდინარეობს. მოსწავლეთა შორის, უმეტესობა ქართველია. უკრაინის სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკოლოზ სპისიმ, უკრაინის მთავრობის სახელით, საიუბილეო ორდენით დააჯილდოვა სკოლის დირექტორი ანა მატვეევა, სკოლის პედაგოგებს კი ფასიანი საჩუქრები გადასცა.

"მოხარული ვარ, რომ საქართველოში არსებობს უკრაინული დიასპორა. მისი სულიერი მოთხოვნილენების გამოვლინება ეს სკოლა გახლავთ. უკრაინასა და საქართველოს დიდი მეგობრობა აკავშირებთ. იმედია, ორივე მხარე ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები უფრო გავაღრმაოთ. მჯერა, არ არსებობს პრობლემა რომელიც ერთიანი ძალით არ გადაიჭრება", - განაცხადა ნიკოლოზ სპისიმ. მართალია, სკოლა არც ისე დიდი ხანია, რაც ფუნქციონირებს, მაგრამ, სხვა სკოლების მსგავსი პრობლემები მასაც აქვს.

"როგორც ხედავთ, ჩვენი სკოლა 150-ე სკოლის შენობაშია შეხიზნული. ამის გამო, უამრავი პრობლემა გვაქვს, რაც უფრო საგრძნობია ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. თავიდან მხოლოდ ორი კლასი გვყავდა, მაგრამ ბავშვები თანდათან გვემატებიან და ამისათვის საჭირო ხდება, ყოველ წელს ვითხოვოთ თითო ოთახი; ეს კი ორივე სკოლის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული უთანხმოების სბაბია. უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ჩვენთვის შენობის გამოყოფის თაობაზე. გადაწყდა, რომ დაგვითმობენ თბილისის 41-ე სკოლის შენობას, რომელიც ავარიულია და მთლიანად საჭიროებს რეკონსტრუქციას. დღეს მერიაში დაგვპირდნენ, რომ ჩვენი შენობა სექტემბერში გვექნება. რემონტისათვის საჭიროა მილიონი დოლარი, რომლის ერთი სკოლისთვის გადახდა საქართველოს მთავრობას არ შეუძლია. ამიტომ, იძულებულები ვართ, მთელ მსოფლიოში უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს დასახმარებლად მივმართოთ. თანხის ნაწილს უკრაინის მთავრობა გაიღებს. მათი დამსახურებაა, რომ სკოლა აღჭურვილია სათანადო ტექნიკით; ასევე, ყველა ბავშვი უზრუნველყოფილია სასწავლო ნივთებით და უკრაინული სახელმძღვანელოებით", - გვითხრა სასწავლო ნაწილის გამგემ ეკატერინე წულაიამ.

# მომავალი პრემიერი საკადრო ცვლილებებზე არ ლაპარაკობს

*გუშინ თბილისის მერმა საკრებულოს უმრავლესობას პრემიერის თანამდებობაზე ვიცე-პრემიერის თემურ ქურხულის კანდიდატურა წარუდგინა. ახალ პრემიერს საკრებულო, სავარაუდოდ, პარასკევს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაამტკიცებს. ქურხული საკადრო ცვლილებებზე ლაპარაკს ჯერჯერობით თავს არიდებს. სამაგიეროდ, სამოქმედო პროგრამის პრიორიტეტებს გამოყოფს.*

ნანა ქადაგიშვილი

**"ძლივს არ ვნახეთ, მერი და პრემიერი გვერდიგვერდ რომ დგანან? კარგია, ერთი გუნდი რომ შეიკრა. საქმე უკეთ გაკეთდება. ეს ამბავი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, აბა, ვინ რამდენს ჩამოდის",** - ხუმრობდნენ საკრებულოს უმრავლესობის გუშინდელი სხდომიდან გამოსული დეპუტატები.

წინა დღესთან შედარებით, გუშინ საკრებულოში ჭიაბერაშვილს ფეოდალსა და დიქტატორ მერს აღარავინ უწოდებდა და პრემიერის თანამდებობაზე მის მიერ შერჩეული კანდიდატურის მიმართაც კეთილგანწყობას ამჟღავნდებდნენ. **"თემურ ქურხული პრემიერის თანამდებობისთვის ღირსეული კადიდატურაა და უმრავლესობის სრული მხარდაჭერით სარგებლობს",** - განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა. საკრებულოს თავმჯდომარესაც უკვე რბილი და კმაყოფილი ტონი ჰქონდა. ასე რომ, ქურხულის კანდიდატურას უახლოეს სხდომაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ხვალ გაიმართება, ტაშის კვრით დაამტკიცებენ.

ბიძინა ბრეგაძეს ქალაქის ვიცე-პრემიერები და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებიც ავტომატურად მიჰყვნენ უკან. ასე რომ, პრემიერთან ერთად ქალაქის მთავრობაც ხელახლა დასამტკიცებელია. როგორც მერიაში ვარაუდობენ, კანდიდატურების მოძებნის პროცესი ამჯერად ძალიან აღარ გაჭიანურდება, რადგან მერსა და ახალ პრემიერს, რომლებიც ერთი გუნდის წარმომადგენლებად მოიაზრებიან, საკუთარი კადრების გასაყვანად ერთმანეთში ჭიდილი აღარ მოუწევთ. საკრებულო კი, რომელმაც ეს კანდიდატურები უნდა დაამტკიცოს, საქმეს ასე იოლად არ უყურებს. როგორც დავით ხუციშვილი აცხადებს, ყოფილი პრემიერის ინიციატივით დანიშნული კადრები უმრავლესობის წარმომადგენლები არიან და გამორიცხული არ არის, მათი ნაწილი თანამდებობაზე დარჩეს. თუმცა, ამ ნაწილში ვინ იგულისხმება, "დემოკრატების" ლიდერი არ აკონკრეტებს.

კულუარებში გამოკვეთილად მხოლოდ ვიცე-პრემიერის სავარაუდო კანდიდატურებზე საუბრობენ. ქურხულის მიერ გამოთავისუფლებულ თანამდებობაზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი უჩა გელაშვილი (როგორც ამბობენ, ჭიაბერაშვილის მიერ შერჩეული კადრი) მოიაზრებიან.

საკადრო ცვლილებებზე არც მომავალი პრემიერი ლაპარაკობს; სამაგიეროდ, სამოქმედო პროგრამის პრიორიტეტებზე ამახვილებს ყურადღებას. ქურხული გამოარჩევს სამ ძირითად პრობლემას, რაზეც ქალაქის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულად იზრუნებს - გზებისა და ტრანსპორტის მოწესრიგება და მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება.

2005 წლის ბიუჯეტის პროქტის პირველადი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ამჯერად განხილვის სტადიაშია, გზების საფარის აღსადგენად 50 მილიონი ლარის გამოყოფაა ნავარაუდევი, რაც, წლევანდელთან შედარებით, 25 მილიონი ლარით მეტია; ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის შარშანდელზე 2 840 ათასი ლარით მეტი - 9 669 ათასი ლარია გათვალისწინებული; ავარიული სახლების აღსადგენად კი საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრისა და გამგეობებისთვის, ერთობლივად, 17 750 ათასი ლარის გამოყოფაა ნავარაუდევი, რაც, 2004 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2 405 ათასი ლარით მეტია.

სხვათა შორის, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტში თანხები "თბილტრანსის" მძღოლთა ოჯახებისა (1 250 ათასი) და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში მონაწილე მოქალაქეთა (1 250 ათასი) კომპენსირებისთვისაც არის გათვალისწინებული. თუმცა, 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე მასში ბევრი რამ შეიცვლება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საკრებულოს ზოგიერთ ფრაქციას პრეტენზია უკვე აქვს.

# თავისუფლებააყრილი დედები და უდედოდ დარჩენილი შვილები

დალი კუპრავა

*გუშინ ისანი-სამგორის სკოლების ორმოცდაათი უფროსკლასელი ქალთა მეხუთე დაწესებულების დასათვალიერებლად იყო. მეხუთე დაწესებულებაში დღეს 64 ქალი იხდის სასჯელს, ორთაჭალის საპყრობილეში კი ასამდე ქალი ელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს რიცხვი, საშუალოდ, გადაამრავლეთ ორზე მაინც და მიიღებთ უდედოდ დარჩენილი შვილების რიცხვს. საზოგადოებას არ გაემტყუნება, რომ, თავადაც დაძაბული ცხოვრების პატრონს, პენიტენციალური სისტემის პრობლემატიკა ვერ აღელვებს და მაინც...*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ექვსი წელია, ვზივარ. ჩემს სამ შვილს ბებია ზრდის", - ამბობს პატიმარი ქალი.

ქალთა მეხუთე დაწესებულება არ ნიშნავს, რომ დანარჩენი ოთხიც არსებობს - უბრალოდ, ასე ჰქვია ქალთა სასჯელაღსრულებით ადგილს ყოფილი მატროსოვის, ამჟამად - ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე. რამდენიმეფენიან რკინის კარს მიღმა დიდი, მოასფალტებული, გაზონებიანი, მოვლილი ეზოა საცხოვრებელი და ადმინისტრაციული ბარაკ-ფლიგელებით. საძინებელ ბარაკებში სისუფთავე და წესრიგია. თითოეულ საწოლთან პატრონის ხასიათსა და გისოსსმიღმა დატოვებულ სამყაროზე მეტყველი კუთხეა. "კაცის მკვლელობისთვის 12 წელი მომისაჯეს. ექვსი წელია, ვზივარ. ჩემს სამ შვილს ბებია ზრდის", - ამბობს პატიმარი ქალი. მის ტუმბოზე ხატებთან ერთად სუნამოს ბოთლი დგას. ხელში ვიღებ, იქნებ სურნელმა მეტი მითხრას პატრონზე, მაგრამ ბოთლი ცარიელია. ქალი ჩუმდება. მისი საწოლი კედელთან დგას. კედელზე მხატვრული პანოა გაკრული. პრიმიტიულად ვასკვნი, რომ ხშირად პირით კედლისკენ წევს და, მობეზრებული სახეების ყურებას, მობეზრებული პეიზაჟისა და ფერების ყურებას არჩევს.

მის მეზობელს, ორი ვაჟის დედას ქურდობისთვის ხუთი წელი აქვს მისჯილი; ჯერ ერთი წელია, რაც აქ არის; სახლი ციხეში ჩაჯდომამდე დაეწვა და ეპილეფსიით დაავადებულ შვილთან ერთად ნაქირავებში ცხოვრობდა; რა მოიპარა, არ მეუბნება, თორემ რისთვის მოიპარა, გასაგებია.

ნათელა აბრამია - სმოლიანინოვა, მეშვიდე წელია, ზის; ათი წელი აქვს მისჯილი; გვარის რუსული ნახევარი ქმრისაა, თვითონ სენაკელია და მამა დღესაც იქ ცხოვრობს; რუსეთში ჰყავს გათხოვილი ქალიშვილი, მისი პატიმრობის დროს დაინვალიდებული შვილი და შვილიშვილები, რომლებიც ბებიას ელოდებიან და ჰგონიათ, რომ ბებია მამამისს უვლის და იმიტომ ვერ ჩადის მათთან. "ცხენს ოთხი ფეხი ეკეცება და კაცს ორიო, - ნათქვამია. გაჭირვებამ და ვალმა მაიძულა, დავთანხმებულიყავი ვლადიკავკაზამდე პატარა შეკვრა წამეღო. იქ არავინ დამხვდა და თბილისში ჩამოსვლისთანავე დამაპატიმრეს," - ჰყვება ნათელა აბრამია და მთხოვს, ელენე თევდორაძეს მივაწვდინო ხმა - სთხოვეთ, შეასრულოს მოცემული პირობა, როგორც თვითონ თქვა, დედის სიტყვა. დამპირდა, - თუ ვადის ორი მესამედი მოიხადე, შეწყალებას მიიღებო". ნათელა აბრამიას შეწყალებაზე ჯერ არაფერი ისმის. მისთვის არც ის ერთი წელი დაუკლიათ, რაც სხვებს დააკლეს. იმიტომ, რომ, როგორც მისივე მეზობელი ქალები ეუბნებიან და საპყრობილის დირექტორი მედიკო ალანიაც ადასტურებს, მას შეწყალების თხოვნა არ დაუწერია; ელენე თევდორაძეს კი სიტყვაზე ენდობა და ელოდება.

"ორ წელს მარნეულში ოქროს მოპარვის მცდელობისთვის ვიხდი. კასპიდან ვარ, მაგრამ მთელი ნათესაობა ლიტვაში მყავს. დედა იქაურია", - ეს ახალგაზრდა ქალი ფანჯარასთან იდგა, გარეთ გამოსულმა თვალი მოვკარი, რომ ფანჯრიდან იყურებოდა. ჯერ ხუთი თვეა, რაც ბარაკში ცხოვრობს და ჯერ ვერ მიეჩვია, რომ ამ ფანჯრიდან, "გარეთ" კი არა , ისევ ციხეში იყურება. ამ ქალმა, - ტუბერკულოზის დახურული ფორმა მაქვსო, - რაც საპყრობილის ადმინისტრაციამ უარყო. "ჩვენ ტუბერკულოზიანებისთვის სპეციალური ბარაკი გვაქვს, რომელიც ამჟამად ცარიელია," - ამბობს ზედამხედველი. მეხუთე საპყრობილეში თერაპევტიც არის, გინეკოლოგიც და სტომატოლოგიც ცარიელი კაბინეტით. "კბილები გამიფუჭდა და ვერ ვილებ. სტომატოლოგს არც სამუშაო იარაღი აქვს და არც სავარძელი," - ამბობს ერთი პატიმარი, თუმცა აშკარაა, სტომატოლოგის ხელი უმრავლესობას სჭირდება.

კითხვაზე, - რისთვის დაგიჭირეს, - პასუხობენ: მკვლელობისთვის, ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის და ქურდობისთვის. აქა-იქ იმათაც შეხვდებით, თაღლითობისთვის რომ იხდიან სასჯელს.

"მოვიდეს იუსტიციის მინისტრი და ნახოს, რომ შამპუნი არა გვაქვს, სარეცხის საპონს გვაძლევენ თმის დასაბანად", - ამბობს ორგზის მსჯავრდებული მარინა მოდებაძე. მახსენდება და ვუყვები: რუს კინოვარსკვლავს ლუბოვ ორლოვას მაყურებლის დასანახად, თითქმის, ყველა ფილმში აიძულებდნენ, რომ თმა სარეცხის საპნით დაებანა, რათა საბჭოთა ქალებს დასავლური შამპუნის სურვილი არ გასჩენოდათ. მსახიობი კი თმის დაბანის კადრის შემდეგ დიდხანს ანდომებდა თმისთვის ნორმალური ფაქტურის დაბრუნებას. როგორც პატიმრებმა თქვეს, ადმინისტრაცია მათ არაფერს "უტეხავს", მაგრამ რაც არა აქვთ, რა ქნან? არა აქვთ - სარეცხის ფხვნილი, კბილის პასტა, ჰიგიენური პაკეტები; იატაკი მოხიწულია, მაგრამ გაულაქავი. რატომ არ გვეხმარება წითელი ჯვარიო, - კითხულობენ და იქვე მოდებაძეს ახსენდება, რომ პატიმრები სახელმწიფოს სიბარიტები არიან : "რაში სჭირდება სახელმწიფოს ჩვენი რჩენა? გვაჭმევს, გვასმევს. არ ჯობს, მოგვცეს სამუშაო, რითაც ჩვენც დავკავდებით, თავსაც ვირჩენთ და ოჯახებსაც დავეხმარებით". მიხეილ სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობის დროს ქალთა დაწესებულებაში გახსნა კარგად აღჭურვილი სამკერვალო საამქრო, რომელმაც რამდენიმე შეკვეთა შეასრულა. დღეს სამკერვალო გაჩერებულია, ქალები კი -დაუსაქმებლები. რამდენიმე მათგანი სამზარეულოშია დაკავებული. ჩვენს იქ ყოფნაში ერთი ქალი ეზოში ხალიჩებს რეცხავდა (ბარაკისააო!). აქვთ კარგი სათბური ქოთნის ყვავილებით. არტთერაპიის პროგრამით მათთან მუშაობენ კერამიკოსები. სტუდენტი მსჯავრდებულებიც არსებობენ, რომლებსაც ლექციებს დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ლექტორები უტარებენ. სტუდენტების უმეტესობას იურისტობა უნდა. თუმცა, არიან სხვა სპეციალობის მიღების მსურველებიც.

იკვებებიან, ძირითადად, სახელმწიფოს ხარჯზე (დღეში თითო პატიმარზე ლარი და ათი თეთრია გამოყოფილი), რადგან მათი ოჯახების უმეტესობა დახმარებას იქით საჭიროებს.

ყველაზე მეტად რაც უნდათ, ეს თავისუფლებაა და უკმაყოფილოები არიან უკანასკნელი ამნისტიით. "რაც აქ ვარ, ასეთი სასაცილო ამნისტია არ მინახავს. გაათავისუფლეს ისეთი პატიმრები, რომლებსაც ოცი დღე, ან ორი-სამი თვე ჰქონდათ დარჩენილი. ისინი თვითონ გვეუბნებოდნენ, რომ, მათ ნაცვლად, ჩვენთვის გაეკეთებინათ რაიმე შეღავათი, უკეთესი იქნებოდა," - ამბობენ ქალები.

"დაფინანსება ჩვენთან სასჯელაღსრულების ყველა სხვა დაწესებულებაზე უკეთესია. ექსპერიმენტის სახით, ჩვენ დეცენტრალიზაციაზე ვართ. პატიმრებს დღეში სამჯერადი კვება აქვთ. დანარჩენს გვაწვდის დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტრო. რაც შეეხება სხვა ორგანიზაციების დახმარებას, დიდად განებივრებულები არ ვართ და ძალიან იშვიათად გვეხმარებიან. სამოცდაათი პატიმრის საახალწლო საჩუქარს რა დიდი შეძლება უნდა, თუ რომელიმე ორგანიზაცია მოინდომებს", - ამბობს დაწესებულების დირექტორი მედეა ალანია.

კანონით, მათ უკვე გამოტანილი აქვთ განაჩენი, ხოლო ღმერთის ნება კაცისთვის შეუცნობელია.

ახალი წელიც ახლოვდება.



# "პოლიცია კრიმინალების მიმართ უძლურია"

*ქუთაისში ბოლო ხანს მკვეთრად გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებას ადგილობრივი საკრებულოსა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაგვიანებული რეაქცია მოჰყვა. გუშინ ქუთაისის საკრებულოს წევრები პასუხს უკვე გადაყენებულ, ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობას სთხოვდნენ. "ახალი მემარჯვენეები" კი შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას რწმუნებულს გია გეწაძესა და მერის მოვალეობის შემსრულებელს გია გიორგაძეს აკისრებენ.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

კრიმინოგენულმა ვითარებამ ქუთაისში მართლაც არნახული მასშტაბები მიიღო. საკრებულოს წევრების ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქუთაისში თითქმის ყველა კარგი ატომობილის მფლობელი ან დააყაჩაღეს ან გაქურდეს. ამ მხრივ, ქალაქის საკრებულოს წევრს - ბაძგარაძეს უყოჩაღია და, პოლიციისაგან განსხვავებით, დაზარალებულ ავტომფლობელთა სია შეუდგენია. საკრებულოს დარბაზში მსხდომი, ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობა გუშინ აღნიშნულ ჩამონათვალს მონდომებით იწერდა. როგორც აღმოჩნდა, დაზარალებულთა უმეტესობას ავტომობილის დაკარგვის შესახებ პოლიციაში გაცხადებულიც არ ჰქონდა. მემარჯვენეების ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის მანძილზე ქალაქის ცენტრში რამდენიმე დაყაჩაღება მოხდა. ქალაქის ცენტრში დააყაჩაღეს ინტერნეტკაფე, წაღებულია ათამდე კომპიუტერი, გაქურდეს "გადამზადების ცენტრი"- წაღებულია 20 კომპიუტერი, ასევე გაქურდულია ჭავჭავაძის პროსპექტზე სამეურნეო მაღაზია, სასტუმრო "ქუთაისთან" კი მობილური ჯგუფი მუშაობს, რომელიც, ძირითადად, მანქანებისა და მობილური ტელეფონების გატაცებაზეა ორიენტირებული. ახლახან მერიის წინ თვითმმართველობის თანამშრომლის ავტომობილი მოპარეს. **"კრიმინალური ჯგუფები ცინიკურად მუშაობენ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში ისევ ადგილზე არიან და ახალ მსხვერპლს ელიან. პოლიცია კი მათ წინააღმდეგ უძლურებას იჩენს... ფოტორობოტის შედგენაც კი არ შეუძლიათ. ამავე დროს, სამართალდამცავების მხრიდან მომხდარი ფაქტების აღრიცხვა სათანადო დონეზე არ ხდება, უფრო მეტიც, დანაშაულებრივი ფაქტების მიჩქმალვაც ხდება. ჩვენ არა მარტო პოლიციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს ვაყენებთ, არამედ, ქალაქის მერსა და გუბერნატორს სამსახურებრივ გულგრილობაში ვადანაშაულებთ,"** - განაცხადა "მემარჯვენეების" ადგილობივი ორგანიზაციის წევრმა ვანო კაპანაძემ.

"ახლების" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ საკუთარი არგუმენტები სატელეფონო გამოკითხვითაც გაამაგრა. კითხვას - ენდობით თუ არა პოლიციას, გამოკითხულთა ოთხმოცმა პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 15-მა თავი შეიკავა, 5 კი შექმნილ ვითარებას დადებითად აფასებს. "ახლები" მიიჩნევენ, რომ ძალოვანი სტრუქტურებიდან გათავისუფლებული თანამშრომლების სახით, სახელმწიფოში პოტენციურ დამნაშავეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამის დასადასტურებლად კი თერჯოლის რაიონში მომხდარი ერთ-ერთი გატაცების ფაქტი მოჰყავთ. დაკავებული ექვსი დამნაშავიდან, ყველანი ყოფილი ძალოვანები აღმოჩნდნენ.

ქუთაისის საკრებულოს წევრებმა კრიმინოგენულ ვითარებას სპეციალური სხდომა მიუძღვნეს, სადაც ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობაც იყო მიწვეული, თუმცა სხდომაზე ჟურნალისტების მუშაობის საკითხი უფრო განიხილეს, ვიდრე პოლიციელების. საკრებულოს წევრებმა, დაძაბული კრიმინოგენული ვითარების გამო, ვერც რწმუნებულის წინააღმდეგ გაბედეს განცხადების გაკეთება და ვერც პოლიციის ხელმძღვანელობის მიმართ. ამიტომაც ჯავრი ისევ ჟურნალისტებზე იყარეს. საკრებულოს წევრის, ბაძგარაძის განმარტებით, ჟურნალისტები მხოლოდ ყაჩაღებს იცავენ და არა პოლიციელებსა და დაზარალებულებს. იგივე პათოსით გამოირჩეოდნენ სხვა გამომსვლელებიც. საბოლოოდ, საკრებულომ პოლიციის მხარდამჭერი დოკუმენტი მიიღო, რითაც საზოგადოებასა და ქალაქის მთავრობას სამართალდამცავების დახმარებისაკენ მოუწოდა.

# კონტრაბანდულ ტვირთს შეიარაღებული მოსახლეობა იცავდა

**განსაკუთრებით დიდი ოდენობის კონტრაბანდა ვახტანგისში**

ფინანსურმა პოლიციამ ცოტა ხნის წინ მიიღო ინფორმაცია, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში კონტრაბანდული გზით შემოტანილი საქონლის საცავები არსებობს.

გუშინ გამთენიისას ფინანსური პოლიცია სოფელ ვახტანგისში შევიდა და აზერბაიჯანულ ექვს ოჯახში სპეციალურად მოწყობილ საცავებში, დაახლოებით, 4-5 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების კონტრაბანდული საქონელი აღმოაჩინა. აღნიშნული სოფელი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს, რაც მოსახლეობას კონტრაბანდის შემოტანას უადვილებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისში დღემდე არც ერთი სამართალდამცველი სტრუქტურა არ შესულა.

თავდაპირველად, სოფელ ვახტანგისში ფინანსური პოლიციის 30 თანამშრომელი და თავად ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი ჩავიდა, მაგრამ მოგვიანებით, სამართალდამცველსა და მოსახლეობას შორის სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბა. ადგილობრივები ფინანსურ პოლიციას მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.

მართალია, პერიმეტრი ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმს ჰქონდა დაკავებული, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსახლეობა შეიარაღებული იყო. ქალებიც კი დანებით გამოვიდნენ და ცდილობდნენ, ნებისმიერი ხერხით პროვოკაციაზე წასულიყვნენ. ამიტომ საჭირო გახდა შინაგანი ჯარის და უშიშროების სპეცრაზმის გამოძახება. საბოლოოდ, სიტუაციის განმუხტვა ფინანსური პოლიციის და უშიშროების რაზმებმა მოახერხეს და დღის ბოლოს 5 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონელი თბილისში ფინანსური პოლიციის სპეციალურ შესანახ პუნქტში გადმოიტანეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია მოკვლევა.

*24 საათი*

# ადამიანის უფლებების დამცველი მონიტორინგის ჯგუფები დამტკიცებულია

შინაგან საქმეთა მინისტრის ორი თვის წინ დაბადებული ინიციატივა - ადამიანის უფლებების დამცველი მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, დღეს უკვე რეალობაა. დაახლოებით ერთთვიანი შერჩევის შემდეგ უკვე არსებობენ ის ადამიანები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატის და შინაგან საქმეთა მინისტრის სრული ნდობით სარგებლობენ.

"სიები შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა და ჯგუფების წევრების მიმართ არავითარი პრეტენზია არ არის, მათგან არც ერთს კრიმინალური ან სხვა საეჭვო წარსული არ აქვს," - აცხადებს სოფიო კერესელიძე. რამდენიმე დღეში სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგის ჯგუფების პრეზენტაციას გამართავს. ეს ჯგუფები მონიტორინგს გაუწევენ სამართალდამცავთა საქმიანობასა და წინასწარი დაკავების ადგილებში ადამიანების უფლებებს დაიცავენ. სახალხო დამცველის პრესსამსახურის ხელმძღვანელის სოფიო კერესელიძის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფები ათ-ათი კაცით დაკომპლექტდა და ისინი, ძირითადად, არასამთავრობო სექტორიდან შეირჩა.

*24 საათი*

# რუდიკ ცატავას სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ გენერალური პროკურატურის მიერ დაკავებულ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ პირველ მოადგილეს რუდიკ ცატავას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ცატავას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი, რაც 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმე აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტისა და უზენაესი საბჭოს ავტოპარკის კუთვნილი თანხებისა და საწვავის დატაცებას ეხება, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე 2004 წლის 9 სექტემბერს აღიძრა. გამოძიების ვერსიით, ავტოპარკის კუთვნილი თანხებისა და საწვავის დატაცების შედეგად, ბიუჯეტი 50 ათასი ლარით დაზარალდა. როგორც გენერალური პროკურატურის პრესსამსახურში განაცხადეს, გამორიცხული არ არის, გამოძიების პროცესში თანხის ოდენობა გაიზარდოს.

ამავე ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურამ რამდენიმე ხნის წინათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილი უფროსი ოთარ ჩარკვიანიც დააკავა.

გავრცელებული ინფორმაციით, რუდიკ ცატავა ძმები გოგიების საქმესთან დაკავშირებითაც დაიკითხა. ერთი მათგანი, კერძოდ, ომარ გოგია, ცატავას დროს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და ამჟამად ძებნილად არის გამოცხადებული. მეორე ძმა, ნუგზარი კი, რომელიც ენერგეტიკის სფეროში ბიზნესით იყო დაკავებული, ამჟამად პატიმრობაშია. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისების მუხლით არის აღძრული.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისში მცხოვრებ გიორგი აბელაშვილსა და ვახტანგ ცინცაძეს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, გიორგი აბელაშვილს გამოექომაგა მამა მიხეილ აბელაშვილი, რომელმაც დანით გულ-მკერდში და სახეში დაჭრა ვახტანგ ცინცაძე და მისი თანმხლები პირი, ირაკლი გავაშელაშვილი. ცინცაძე საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. მიხეილ აბელაშვილი დაკავებულია. გიორგი აბელაშვილი და ირაკლი გავაშელაშვილი გაშვებული არიან ხელწერილით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-სომხეთის საზღვრის საკონტროლო გამშვებ პუნქტ "სადახლოს" ტერიტორიაზე ქართველმა მესაზღვრეებმა დიდი ოდენობით ძვირფასი ლითონი და ოქრო დააკავეს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ძვირფასი ლითონები "ბე-ემ-ვე"-ს მარკის ავტომანქანით საქართველოს სამ მოქალაქეს სომხეთიდან უკანონოდ შემოჰქონდა. ძვირფასი ლითონების საერთო ღირებულება დაახლოებით 2000 ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ინდმეწარმე "გია გორგოშაძე", რომლის მთავარი ბუღალტერი სერგო ბეჟანიძე იყო და რომელსაც სამშენებლო მასალების იმპორტისა და მათი რეალიზაციის ბიზნესი ჰქონდა, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის განყოფილების ინიციატივით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ შეამოწმა. შემოწმებამ 2002 წლის ოქტომბრიდან 2004 წლის ივლისამდე პერიოდი მოიცვა. გაირკვა, რომ ინდმეწარმე "გია გორგოშიძე" სამეწარმეო საქმიანობის პროცესში ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს სრულად არ იხდიდა, რამაც სანქცია-საურავების ჩათვლით 86 444 ლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**




# კონტროლის პალატამ სასამართლო მოიგო, ბიუჯეტმა კი - მილიონები

საქართველოს კონტროლის პალატამ მოგებული სასამართლო პროცესებით სახელმწიფო ბიუჯეტს 11.704.583.3 ლარი შეჰმატა. სულ მალე შპს "კომპანია საქთხევადგაზი" ბიუჯეტის სასარგებლოდ 4 მილიონ ლარს, სს "საქგაზი" - 5.152.002 ლარს, სს "საფოსტო ბანკი" - 2.516.085 ლარს და შპს "თბილქალაქგანათება" 36.496.3 ლარს გადაიხდის.

ოთხივე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოდ შევიდა კანონიერ ძალაში და როგორც კონტროლის პალატაში აცხადებენ, ინფორმაციები გაგზავნილია საგადასახადო ორგანოებში, რომლებიც კანონით ვალდებული არიან, თანხების ამოღება უზრუნველყონ.

კონტროლის პალატის 1999, 2001 და 2002 წლების შემოწმების აქტებით გამოვლენილ დარღვევებზე სასამართლო პროცესები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

შპს "კომპანია საქთხევადგაზში" ჯერ კიდევ 1999 წელს აღმოაჩინეს დარღვევები. 1.429.305 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას კომპანიამ სასამართლოში ჩივილი არჩია, თუმცა 5 წლის შემდეგ "საქთხევადგაზს" უზენაესმა სასამართლომ რევიზიის აქტით დაკისრებული 1.429.305 ლარის გადახდის ნაცვლად, საურავების გათვალისწინებით, 4 მლნ ლარი დააკისრა.

ასევე მოხდა "საქგაზის" შემთხვევაშიც, 2001 წლის 26 მარტის შემოწმების აქტით, კონტროლის პალატამ "საქგაზს" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5.772.484 ლარის გადახდა დააკისრა. "საქგაზმა" და კომპანია "იტერამ" არაერთხელ გაასაჩივრეს კონტროლის პალატის აქტი, საბოლოოდ კი "საქგაზს" ბიუჯეტის სასარგებლოდ მაინც დაეკისრა 5.152.002 ლარის გადახდა.

უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით, ძალაში შევიდა სს "საფოსტო ბანკზე" დაკისრებული 2.516.085 ლარის გადახდა. ამ თანხიდან კონტროლის პალატამ 1.925.335 ლარი გამოავლინა, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ კი ბანკს თავისი აქტით 590.750 ლარით გადახდა დააკისრა. ყველაზე მცირე თანხის გადახდა შპს "თბილქალაქგანათებას" მოუწევს - 36.496.3 ლარი. ეს გადაწყვეტილებაც სასამართლომ ერთწლიანი დავის შემდეგ ცნო კანონიერად.

*მედია-ნიუსი*




# აფეთქებაში ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

გუშინ ვაკე-საბურთალის რაიონულ სასამართლოში ნიკოლოზ ჭიჭინაძეს და ტარიელ თაბუკაშვილს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ორი დღის წინათ დაკავებულ ნიკოლოზ ჭიჭინაძეს და ტარიელ თაბუკაშვილს ბრალი ფეთქებადსაშიშ ზონაში უსაფრთხოების ზომების დარღვევაში ედება. საქმე მე-10 ენერგობლოკზე მომხდარ დივერსიას ეხება. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ ექსპერტიზის პასუხები წარადგინა, რომლის თანახმადაც ფირმა "სიმენსი"-ს მიერ ჩატარებული სამუშაოებისას უსაფრთხოების წესები დაცული არ იყო. პროცესზე მყოფი, თბილსრესის თანამშრომლები თავიანთ კოლეგებს თანაუგრძნობდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს დაკავება ხელისუფლების დაკვეთა იყო.

*მედია-ნიუსი*

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი"**

**და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „აბმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**იასე ბეგიაშვილი**

საქართველოს პარლამენტს 2002 წლის 3 დეკემბერსა და 2004 წლის 30 ივნისს მიღებული აქვს N1701-ს და N279-რს კანონი პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის შესახებ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, აღნიშნული კანონის მე-7 თავის მე-40 მუხლის მე-10 პუნქტში მითითებულ სამართალდაცვის მუშაკთა კატეგორიას მიეკუთვნებიან თუ არა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი - ადვოკატები.

ბატონო იასე,

მოგახსენებთ, რომ ადვოკატი წარმოადგენს თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს და მასზე არ ვრცელდება არც კანონით დადგენილი შეღავათები და არც სოციალური დაცვის პროგრემები. ასე რომ, პროკურატურის შესახებ კანონით დადგენილი შეღავათები ადვოკატებზე არ გავრცელდება.

**დავით ალთუნაშვილი**

ვმუშაობდი ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში ინჟინრად. ამა წლის 5 ნოემბერს მოხდა რეორგანიზაცია და ტექნიკური აღრიცხვის სამსახური შეუერთდა საჯარო რეესტრს. 60 თანამშრომლიდან სამსახურში დარჩა 17. მე მოვყევი შემცირებაში. 18 წელი ვიმუშავე ამ სამსახურში და დარჩნენ ისეთები, რომლებიც ჩემს მერე მოვიდნენ.

ვარ სამი მცირეწლოვანი შვილის მამა: 8 წლის, 6 წლის და 1,7 თვის. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ აღვიდგინო თავი სამსახურში და ვის მივმართო.

ბატონო დავით,

შრომის კანონთა კოდექსი ადგენს სამუშაოზე დარჩენის უპირატეს უფლების ცნებას, რომლის თანახმადაც მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან. ამ მუხლის თანახმად, სამუშაოზე უპირატესი დარჩენის უფლებით სარგებლობენ:

ა) ოჯახის მეპატრონეს - თუ კმაყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი; ასევე მარტოხელა დედებს და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) იმ პირს, რომლის ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა პირი;

გ) იმ პირს, რომელსაც ამ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს;

დ) ომისა და სამხედრო ინვალიდებს, იმ ოჯახის წევრებს, რომელთა მარჩენალიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა;

ე) გამომგონებელს;

ვ) იმ პირს, რომელიც ამ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში დასახიჩრდა ან მიიღო პროფესიული დაავადება (მუხლი 36). შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ ისარგებლოთ ამ უფლებით და სასამართლოს გზით მოითხოვოთ თანამდებობაზე აღდგენა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ შრომის კანონთა კოდექსის 204.1 მუხლის თანახმად, დათხოვნის საქმეთა გამო რაიონულ (საქალაქო) სასამართლო სარჩელს განიხილავს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

**თამთა დიასამიძე**

გარდამეცვალა დედა. იგი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. ვსარგებლობდი კანონით დადგენილი შეღავათებით. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ომის მონაწილის გარდაცვალებისას ოჯახს ეძლევა ფულადი დახმარება, რაზეც უარი გვითხრეს. მე თვითონ ვარ რიგითი პენსიონერი და არსად არ ვმუშაობ.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სამართლიანია ზემოაღნიშნული უარი ასევე მიპასუხოთ, ამის შემდეგ რა შეღავათები მეკუთვნის როგორც ომის მონაწილის შვილს.

ქალბატონო თამთა,

საქართველოს კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" ადგენს, რომ მოის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ მისი დაკრძალვის ხარჯებს. 21-ე მუხლის თანახმად,

1. დაღუპული (გარდაცვლილი) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების ან მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, სამხედრო სამსახურის ვეტერანების დაკრძალვა ხდება დაღუპულის (გარდაცვლილის) ნათესავების სურვილით შერჩეულ ადგილებში (სამხედრო მოსამსახურეების - სამხედრო პატივის მიგებით).

2. აღნიშნული კატეგორიის დაღუპული (გარდაცვლილი) ვეტერანის ნეშტის მომზადება გადასატანად, დაკრძალვის ადგილზე ნეშტის გადატანა, დაკრძალვა და საფლავის მოწყობა ხდება საქართველოს იმ სამინისტროებისა და უწყებების ხარჯზე, რომელთა დაქვემდებარებულ ჯარებსა და დაწესებულებებში გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ან მუშაობდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები ან მონაწილენი, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებობისათის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, სამხედრო ძალების ვეტერანები. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ საფლავის ადგილის გამოყოფას დაღუპულის (გარდაცვლილის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე - საძმო სასაფლაოზე

3. უმუშევარი ვეტერანის დაკრძალვა და საფლავის მოწყობა ხდება იმ ორგანოების ხარჯზე, რომლებიც მას პენსიით უზრუნველყოფენ.

თუ დაღუპული (გარდაცვლილი) ვეტერანის დაკრძალვის ორგანიზაციას დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის წევრები ან სხვა მოქალაქეები იკისრებენ, მათ ეძლევათ ფულადი დახმარება დაკრძალვისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება თქვენს შეღავათებს, სამწუხაროდ, ამის შესახებ კანონი საკმაოდ მკაცრ დათქმას აკეთებს და ადგენს, რომ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ა) შრომისუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;

გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას. თუ თქვენ იღებთ მარჩენალის პენსიას, მაშინ თქვენზე გავრცელდება მთელი რიგი შეღავათები:

ა) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ყველა სხვა სახელმწიფო დაბეგვრა 50 პროცენტის ფასდაკლებით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

დ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მებაღეობა-მებოსტნეობის ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად;

ე) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

ვ) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;

ზ) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი კოლექტიური ანტენა ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო. ელექტროენეერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი, მარტი) 125 კვტ. სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 75 კვტ სთ-ით თვეში;

თ) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

ი) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც დაღუპულის /გარდაცვლილის/ ოჯახის წევრები იყვნენ მიმაგარებულნი დაღუპულის /გარდაცვლილის/ სიცოცხლეში სახელმწიფოს ხარჯზე;

კ) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა ერთ - ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრებით;

ლ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაღუპულის /გარდაცვლილის/ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა.

არამომუშავე ოჯახის წევრებს საგზურით უზრუნველყოფს ორგანიზაცია, სადაც დაღუპული /გარდაცვლილი/ იღებდა პენსიას;

მ) მეუღლის შვილებთან ერთად სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პროფილაქტორიუმში დასასვენებლად, აგრეთვე ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მკურნალობისათვის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილის მიხედვით;

ნ) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

ო) ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო უზრუნველყოფა ქალაქში - საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში პირველ რიგში მიღება;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისას გარდაცვლილი (დაღუპული) ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირობების ოჯახის წევრებს უწესდებათ შემდეგი დამატებითი უფლებები და შეღავათები;

ა) ერთდროული და ყოველთვიური დახმარება საქართველოს კანონმდებლობით დადგნილი წესითა და ოდენობით;

ბ) დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარდგენისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგანილი წესითა და ოდენობით;

გ) დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობა.

**თამარ გაბუნია**

ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი. სავაჭრო ქსელში ვაბარებდი ჩემ მიერ მომზადებულ საკვებ პროდუქტს. (ძირითადად გატარებული ხორცისაგან დამზადებულ პროდუქტს). ამჟამად ითხოვენ ლიცენზიას და ზოგან სერტიფიკატსაც. ვერ გავარკვიე ვის მივმართო.

გთხოვთ, გამარკვიოთ ვის მივმართო აღნიშნულთან დაკავშირებით (რა ცნობები მჭირდება და სად ავიღო). ამასთან, მეკუთვნის თუ არა რაიმე შეღავათი ფულის გადახდასთან დაკავშირებით როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდს. (ახალი 2005 წლის იანვრიდან მაინც).

ქალბატონო თამარ,

საქართველოს კანონის "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლის შესახებ" ადგენს, რომ კვების პროდუქტების დამზადებისა და წარმოებისათვის აუცილებელია ლიცენზიის გაცემა. ლიცენზიას გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტირინგის სამსახური. (მუხლი 6.6(გ)) ამ თანხის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს კანონი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ". ამ კანონის მე-13 მუხლის თანახმად კვების პროდუქტებისა და თამბაქოს პროდუქციის წარმოების სფეროში ყველა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებაზე ლიცენზიის ღირებულებაა 130 ლარი.

გაგრძელება B7 გვერდზე

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**

**საკონტაქტო ტელეფონი**

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "აბმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

B2 B4 B6

# დღეს რუსეთი წარსულსაა ჩაბღაუჭებული

## ეს გზა კი მას სასტიკ მარცხამდე მიიყვანს

A1 გვერდიდან

ეკა კვესიტაძე

**- საქართველოში მომხდარი რევოლუცია ერთი წლის წინ დიდ სიურპრიზად და მოულოდნელობად ჩაითვალა. მაგრამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატია ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას თანდათან უახლოვდება?**

- პასუხი ამაზე არის - დიახ და არაც. ცხადია, რომ დემოკრატია მარშით მოდის ყოფილ საბჭოთა სივრცეში. თავის დროზე საქართველომ კარგი პრეცედენტი შექმნა არა მხოლოდ ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

გავიხსენოთ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ხალხი ქუჩაში მაშენება სურს. დღეს ეს არის ყველაზე დიდი გამოწვევა რუსეთისათვის.

**- მაგრამ არის ეს ის გამოწვევა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი დღეს ვერ გაუმკლავდება?**

- არა, პუტინი ამ გამოწვევას ჯერჯერობით კარგად უმკლავდება. დღეს რუსეთში ძალიან მცირე ნიშნებია იმისა, რომ დემოკრატიული მოძრაობები იწყება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასე მუდმივად და დაუსრულებლად გაგრძელდება. რეალობა არის ის, რომ ტექნოლოგიური და ეკონომიკური წარამატებისა და პროგრესის მოტანა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლებას შეუძლია. რადგან ადამიანები არ ქმნიან, არ ფიქრობენ, ახალ გამოგონებებზე არ მუშაობენ, ინვესტირებას არ აკეთებენ იქ, სადაც თავისუფლება არ არის. ასე რომ, თუ რუსეთს მართლაც სურს, დიდი და ძლიერი ერი იყოს, მან პროცესებს, რაც ხდებოდა აქ, რუსთაველზე ერთი წლის წინ.

სი-ენ-ენ-ის ეთერში იუშენკოს ერთ-ერთმა მხარდამჭერმა განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, მას სურს, არჩევნები იუშენკომ მოიგოს, მაგრამ მისთვის ყველაზე მთავარია, რომ უკრაინაში თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს და პრეზიდენტი ის გახდეს, ვისაც ხმათა უმრავლესობა ერგება. ამ ადამიანის პოზიცია ძალიან დემოკრატიული და სწორია. დღეს ყველაზე მთავარია, 26 დეკემბერს მთელმა მსოფლიომ აღიაროს, რომ უკრაინაში დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. მე ახლა არ შემიძლია იმის თქმა, როდის ან სად, მაგრამ რომელიმე ქვეყანაში ძალიან მალე მსგავსი პროცესები დაიწყება.

**- მას შემდეგ, რაც რუსეთმა ასეთი მარცხი განიცადა უკრაინაში,** სო ურთიერთობებში 21-ე საუკუნის მიდგომები უნდა გამოიყენონ და არა მე-19 საუკუნის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები, ჯერჯერობით, რუსეთში უმრავლესობას არ წარმოადგენენ.

**- ბესლანის ტრაგედიისა და პუტინის მიერ განხორციელებული "პოლიტიკური რეფორმების" შემდეგ დასავლეთში შეშფოთება ექსპერტებმა და ინტელექტუალებმა გამოხატეს. ოფიციალური პირები კი უფრო თავშეკავებულები იყვნენ. თუმცა, ეს თავშეკავება უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ საკმაოდ მწვავე განცხადებებში გადაიზარდა. როგორ გგონიათ, ამ მწვავე განცხადების პარალელურად, ევროსტრუქტურები და ამერიკის შეერთებული შტატები შეცვლის თუ არა რეალურად პოლიტიკას რუსეთის მიმართ.**

- მე ვფიქრობ, რომ დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ვაშინგტონში, ისევე როგორც ევროპის დედაქალაქებში, იცვლება.

პირველ რიგში, ერთი რამე მინდა აღვნიშნო. ბესლანის ტრაგედიამ თავზარი დასცა ყველას და, შესაბამისად, პირველი რეაქცია, რაც ყველას გაუჩნდა, რუსეთის მიმართ თანაგრძნობა იყო.

მაგრამ მეორე საკითხია პუტინის მიერ გატარებული რეფორმები, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ბესლანის ტრაგედიასთან.

ამის შემდეგ დასავლეთში ყველამ დაიწყო ფიქრი რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესებზე და ბევრი მათგანი უკვე კარგად აცნობიერებდა, რომ რუსეთმა უკან, წარსულისაკენ სვლა დაიწყო. თუმცა, ევროპისა და ამერიკის ლიდერებმა დელიკატურობა მაინც შეინარჩუნეს, რადგან რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა. მაგრამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, ბესლანისაგან განსხვავებით, შემობრუნების წერტილი გახდა ამ ურთიერთობებში. აღაშფოთა იმან, რომ რუსეთმა იანუკოვიჩის საარჩევნო კამპანიაში დიდი ფული ჩადო და რუსეთის პრეზიდენტი თავად იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამ კამპანიაში. ეს უკვე იყო ის ფაქტი, რომელსაც ველარავინ უარყოფდა. ამან კი ევროკავშირი აიძულა, ამერიკასთან ერთად მკვეთრი პოზიცია დაეკავებინა რუსეთის მიმართ და ეთქვა, რომ ეს ყველაფერი მათთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ანუ ცხადი გახდა, რომ ის ქვეყნები, რომელთან ურთოერთობა ასე მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, მის საქციელს გაგებით აღარ მოეკიდებოდნენ.

**- რატომ? იმიტომ, რომ უკრაინა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, თუ იმიტომ, რომ დემოკრატიული არჩევნები მართლაც ასე მნიშვნელოვანია დასავლეთისათვის.**

- ერთიც და მეორეც. რა თქმა უნექნებათ სხვა ქვეყნებს რუსეთთან, ეს თავად რუსეთის ახალ პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული.

**- საქართევლოს მაგალითმა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ბუნებრივია, დიდი სტიმული მისცა, მაგრამ როგორ აისახება უკრაინაში მიმდინარე მოვლენები თვითონ საქართველოზე, გააადვილებს თუ არა დემოკრატიული უკრაინა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას?**

- უკარაინაში დემოკრატიის გამარჯვებას ძალიან დიდი გავლენა ექნება საქართველოზე. საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ რაც შარშან ნოემბერში თბილისში მოხდა, ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო.

საქართველომ ევროსტრუქტურებისკენ სვლა უნდა გააგრძელოს





შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკამ ამ ეტაპზე გამარჯვებას მიაღწიოს რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, მაგრამ ეს ძალიან ხანმოკლე გამარჯვება იქნება, რადგან ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს სურთ, რომ თავისუფლები იყვნენ და თავიანთი მომავალი თავად განსაზღვრონ.

რუსმა ხალხმა თვითონ უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა - უნდა თუ არა დემოკრატია, და საერთოდ, რა ტიპის ქვეყნის აშენება სურს.

ადამიანები არ ქმნიან, არ ფიქრობენ, ახალ გამოგონებებზე არ მუშაობენ, ინვესტირებას არ აკეთებენ იქ, სადაც თავისუფლება არ არის.

ლე მოლდოვაშიც გამოვიდა, ანუ გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ საქართველოს მაგალითი სხვებისთვის მისაბაძი გახდა. იგივეს თქმა შეიძლება დღევანდელ უკრაინაზეც. უკრაინელებმა ვარდების რევოლუცია მოდელად აიღეს.

თუმცა, შეფასებების გაკეთებისას მაინც სიფრთხილეა საჭირო. დემოკრატიისთვის ბრძოლა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ დაწყებულა. მოდით, იმედი ვიქონიოთ, რომ უკრაინაში ყველაფერი დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდება.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში დაწყებული დემოკრატიული პროცესები დღეს უკვე ყველაზე დიდი და დაუმარცხებელი გამოწვევა შეიძლება გახდეს რუსეთის იმპერიალისტური ამბიციებისთვის?**

- ამაში გეთანხმებით, მაგრამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით მივუდგები. ყველაზე დიდი გამოწვევა დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, დემოკრატიაა - მაგრამ დემოკრატიული პროცესების დაწყება თვითონ რუსეთის შიგნით. დღეს რუსეთი თავის წარსულსაა ჩაბღაუჭებული. ეს გზა კი მას სასტიკ მარცხამდე მიიყვანს.

შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკამ ამ ეტაპზე გამარჯვებას მიაღწიოს რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, მაგრამ ეს ძალიან ხანმოკლე გამარჯვება იქნება, რადგან ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს სურთ, რომ თავისუფლები იყვნენ და თავიანთი მომავალი თავად განსაზღვრონ.

რუსეთის ხელისუფლების სხვა ქვეყნებისადმი ასეთი მოქცევა მეტყველებს იმაზე, რომ იგი არც თავის ხალხს სცემს პატივს. ამიტომ რუსმა ხალხმა თვითონ უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა - უნდა თუ არა დემოკრატია, და საერთოდ, რა ტიპის ქვეყნის ეს ჭეშმარიტება უნდა გაითავისოს.

თუმცა, დღეს, ამ მომენტში, პუტინის ძალაუფლებას დემოკრატიის სახით საფრთხე არ ემუქრება.

**- თუმცა, ერთ-ერთმა რუსმა პოლიტტექნოლოგმა, რომელიც იანუკოვიჩის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას იღებდა, განაცხადა, რომ თუ რუსეთი დღეს არ შეაჩერებს იმ პროცესებს, რაც უკრაინაში ხდება, იგივე, შესაძლოა, ერთ წელიწადში რუსეთშიც განმეორდეს.**

- ძალიან ძნელია ასეთი ტიპის წინასწარმეტყველების გაკეთება, რომ რაღაც ერთ ან ორ წელიწადში მოხდება. ეს არავინ იცის.

**- მაგრამ ეს არის ის, რაც ამ რუსმა პოლიტტექნოლოგმა თქვა.**

- ამ მომენტში ვერ ვხედავ იმის შესაძლებლობას, რომ საქართევლოს ან უკრაინის მსგავსი მოვლენები რუსეთში განმეორდეს. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, ვარდები რევოლუციაც დიდი სიურპრიზი იყო ყველასთვის.

გრძელვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია. დემოკრატიული პროცესების მუდმივი კონტროლი და შეჩერება შეუძლებელია. მაგრამ ეს მოხდება ერთ წელიწადში, ხუთ წელიწადსა თუ ათ წელიწადში, ამის თქმა ახლა შეუძლებელია. არა მგონია, რომ ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ვინმემ იცოდეს.

**- რაც შეეხება დემოკრატიის გავრცელებას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.**

- გლობალიზაციის პერიოდში, როცა ადამიანებმა იციან იმ პროცესების შესახებ, რაც მათ მეზობლად ხდება, ისინი ამ პროცესების კოპირებას იწყებენ. როცა საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა, მაშინ ბევრ ადამიანს გაუჩნდა იმის სურილი, რომ საკუთარ ქვეყანაშიც იგივე ენახა. მაგალითად, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ძალიან ჰგავს იმ

**როგორ გგონიათ, დადგა დრო, როცა რუსეთის ხელისუფლებამ თავისი საგარეო პოლიტიკა და მიდგომები უნდა გადააფასოს?**

- ბუნებრივია, ახლა სწორედ რომ ამის დროა. მათ თავიანთი მიდგომები უნდა შეცვალონ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ უკვე ცხადი ხდება, მათი პოლიტიკა აღარ მუშაობს. რადგან პოსტსაბჭოთა ქვეყნები თავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან. რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ის გაცილებით უფრო წარმატებული ქვეყანა იქნება, თუ თავის მეზობლებთან კარგი სავაჭრო ურთიერთობები ექნება. მაგალითად შვეიცარია ავიღოთ. ის საფრანგეთს ან სხვა მეზობლებს მიწებს არართმევს იმისათვის, რომ უფრო წარმატებული იყოს. მას თავის მეზობლებთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები აქვს. და იმისათვის, რომ ეკონომიკურად აყვავებული ქვეყანა იყოს, არც მათი მიწებისა და არც მათი პორტების კონტროლი არ სჭირდება.

რუსეთშიც უნდა მიხვდნენ იმას, რომ დღეს სულ სხვა სამყაროსა და დროში ცხოვრობენ. რომ რუსეთი თანამედროვე ქვეყანა უნდა გახდეს და თავის მეზობლებს ცივილურად უნდა მოეპყროს.

**- ეს აბსოლუტურად რაციონალური მსჯელობაა, მაგრამ კრემლი დღეს წაგებულის პოზიციაშია, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ ის არათუ შეცვლის თავის პოლიტიკას, არამედ უფრო აგრესიული გახდება.**

- როგორც დონალდ რამსფელდი ამბობს, კრემლი შენობაა და მას ფიქრი არ შეუძლია...

**- მაშინ ის ხალხი, ვინც კრემლში ზის, პირველ რიგში, პრეზიდენტი პუტინი.**

- მას, რა თქმა უნდა, ამის გაგება უჭირს. მაგრამ რუსეთში არის ხალხი, ვინც აცნობიერებს, რომ საერთაშორი-

- რადგან დასავლეთის პოზიცია ძალიან ნათელი იყო - რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩარეული-ყო უკრაინის საქმეებში. მაგრამ რუსეთმა მაინც ჩარევა ამჯობინა. მე ვფიქრობ, რომ როცა ამას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ დასავლეთის პოზიცია მხოლოდ განცხადების გაკეთებით შემოიფარგლებოდა და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა.

**- ანუ ისე, როგორც ეს ყოველთვის იყო.**

- დიახ, ისე, როგორც ეს ყოველთვის იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ, შესაძლოა, მხოლოდ ამერიკას შეენარჩუნებინა მკვეთრი პოზიცია. მაგრამ ყველა და, უკრაინა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ქვეყანაა. რომელსაც აქვს საზღვარი ნატო-ს წევრ ქვეყნებთან. გარდა ამისა, უკრაინული დიასპორა ბევრ ქვეყანაშია, მათ შორის ამერიკაში და ეს დიასპორა აუცილებლად მოსთხოვდა დასავლეთს რეაქციას იმაზე, რაც უკრაიანში ხდება.

და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული არჩევნები. არჩევნები მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის საქართველოშიც, რომელიც არც დიდია და არც გავლენიანი დიასპორა ჰყავს ამერიკაში ან მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ძალისხმევა გაიღო, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარებულიყო.

დღეს კი, უკრაინის მოვლენების შემდეგ, ამერიკის მსგავსად, ევროკავშირიც ძალიან აქტიურია და ეს აუცილებლად აღნიშვნის ღირსია.

**- მაგრამ, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ როგორი იქნება დასავლეთის მომავალი ურთიერთობა რუსეთთან?**

- ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ საბოლოოდ როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში. და რა როლს ითამაშებს ამ მოვლენებში რუსეთი დღეიდან.

მე ვიტყოდი, იმ პრობლემის გადაწყვეტა, რომლის წინაშეც რუსეთი აღმოჩნდა, ჯერ კიდევ შეუძლებელი არ არის.

მაგრამ, ბუნებრივია, არა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ხელისუფლება ძველი გზით სიარულს განაგრძობს. არამედ მაშინ, თუ ის არანაირად არ ჩაერევა ხელახალ არჩევნებში.

არავის უნდა, რომ რუსეთთთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდეს, არც ამერიკას, არც ევროპას და, ბუნებრივია, არც საქართველოსა და უკრაინას.

მაგრამ როგორი ურთიერთობა იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მოხდება უკრაინაში. იმედი მაქვს, უკრაინაში დემოკრატია გაიმარჯვებს და იმისი სერიოზული არგუმენტიც მოიძებნება, თუ რატომ უნდა იაროს ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართულებით. თუმცა, თუ ასე არ მოხდა, მაშინაც მოიძებნება სერიოზული არგუმენტი, თუ რატომ უნდა დავეხმაროთ საქართველოს ევროსტრუქტურებში გასაწევრიანებლად. საქართველომ დაამტკიცა, რომ პოლიტიკურად მომწიფებული სახელმწიფოა და იმის მიუხედავად, რა მოხდება უკრაინაში, მან უნდა გააგძელოს დემოკრატიული სახელმწიფოს შენება და ევროპისკენ სწრაფვა.

**- როგორ აფასებთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს?**

- საკმაოდ ძნელია ამ მოვლენების შეფასება. რა პროცესიც არ უნდა მიდიოდეს აფხაზეთში, ამ სიტუაციას ვერ შევადარებთ უკრაინის სიტუაციასთან. აფხაზეთის შემთხვევაში ჩვენ სეპარატისტულ რეგიონთან გვაქვს საქმე და, რა თქმა უნდა, იქ ჩატარებული არჩევნები არ არის საპრეზიდენტო არჩევნები. აფხაზეთი არის რეგიონი, რომელსაც რუსეთი უჭერს მხარს. რუსეთის პოლიტიკის ნაწილია, გააკონტროლოს კავკასიის რეგიონი. თუმცა, რუსეთი პირველ ეტაპზე დამარცხდა აფხაზეთშიც კი, რომელიც ძალიან ლოიალურია რუსეთის მიმართ. მათაც წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის უხეშ ჩარევას იმაში, რასაც თავიანთ საპრეზიდენტო არჩევნებს ეძახიან.

რუსეთმა კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ არასტაბილურობა ნებისმიერ მეზობელ რეგიონში მის ინტერესებს ძალიან ვნებს. მისი ახალი პოლიტიკა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა პროვოცირებისკენ. ამიტომ, რასაც ახლა აკეთებს, პირველ რიგში, მისი ინტერესებისთვის არის საზიანო.




## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ქართული ნაციონალური ბალეტის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნანა ჯანელიძე
"ანტიგონე"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 18:30 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 19:00; სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 22:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
გამოფენა "წიგნის უხილავი პოეტიკა"

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირაკლი ოჩიაურის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "დებიუტი" მესამედ

## კიდევ ერთი სტუდენტური ფესტივალის შესახებ

სალომე კიკალეიშვილი

*10-დან 17 დეკემბრამდე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თაეტრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გეპატიჟებათ "დებიუტზე" - სტუდენტური ფილმების და სპექტაკლების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე.*



"ჩვენი მიზანია, გაჩვენოთ ჩვენი ნამუშევრები: ფილმები, სპექტაკლები და გაგაცნოთ, რას როგორ აკეთებენ დღევანდელი სტუდენტები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, ფესტივალის საშუალებით ჩვენ თავად ვეცნობით ჩვენი თანამემამულე თუ უცხოელი კოლეგების ნამუშევრებს. ეს კი ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია", - განაცხადეს გუშინ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა, სადაც პარალელურად უნივერსიტეტის ფოიეში სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, "დებიუტის" თემაზე, საშუალო ზომის ტილოზე იმპროვიზაციის შექმნით "ართობდნენ" მაყურებელს.

უკვე მესამე წელია, რაც თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა მიერ დაარსებული ფესტივალი, ტრადიციისამებრ, ყოველი წლის დეკემბერში, შვიდი დღის მანძილზე მაყურებელს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ნამუშევრების ჩვენება-შეფასებას სთავაზობს. წლევანდელ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა ფილმები თუ თეატრალური დადგმები. გარდა ამისა, ფესტივალში, რომელიც უკვე საერთაშორისო მასშტაბით ტარდება, ქართველ სტუდენტებთან ერთად ლატვიელი, ნიდერლანდიელი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას. - "ერთადერთი, რაზეც გული გვწყდება, ის არის, რომ დაფინანსების თხოვნით 312 გაგზავნილი წერილიდან მხოლოდ ხუთმა გვიპასუხა თანხმობით. მათი უმრავლესობა შეპირებული იყო დახმარებას... მთელი ამ არეულობის გამო მოგვიხდა სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულთათვის ბოლო მომენტში უარის თქმა, არადა, სტუდენტებს სპექტაკლები უნდა ჩამოეტანათ დიდი ბრიტანეთიდან, ინდოეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეიცარიიდან. ყოველ შემთხვევაში, სამომავლოდ იმედს ვიტოვებთ, რომ ასე აღარ მოხდება და ჩვენს ფესტივალში მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება", - აღნიშნა ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და დამფუძნებელმა **გეგა ქურციკიძემ**.

"დებიუტს", რომელიც 10 დეკემბერს თეატრალიზებული წარმოდგენის სახით გაიხსნება "ბერიკონში", საკონკურსო დღეებში კინოთეატრი "ქოლგა", დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი და რუსთაველის "სარდაფი" უმასპინძლებს. მოეწყობა ფესტივალის საპრიზო ფონდის (3 ათასი ლარი) დამფინანსებელი კომპანიის - "ძველი თბილისის" მიერ ორგანიზებული ფოტო და სარეკლამო რგოლების კონკურსი თემაზე "ღვინო "ძველი თბილისი" სტუდენტის თვალით"; წლეულს პირველად გაიმართება საუკეთესო კინომცოდნე და თეატრმცოდნე სტუდენტთა დაჯილდოებაც. 17 დეკემბერს კინოსა და თეატრის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ჟიური გრან-პრის და 12 ნომინაციაში გამარჯვებულ კინოსა და თეატრის სტუდენტებს ფესტივალის დახურვისას კინოთეატრ "რუსთაველში"გამოავლენს.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ფესტივალი, რამდენად გაამართლებს ის თავის სახელს და რამდენად შევძლება წარმოდგენილ ნამუშევრებს ხმამაღლა დებიუტი დავარქვათ.

# ია ფარულავა - რუსეთის საპატიო სტუმარი

ნანა ბასილაშვილი

*ცნობილი მსახიობის ია ფარულავას პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა, მის სატელევიზიო მოღვაწეობას უკავშირდებოდა. 2 დეკემბერს მოსკოვში ქართველ მსახიობს "რუსეთის საპატიო სტუმრის" წოდება მიანიჭეს. ია ფარულავა, როგორც გადაცემა "ჩემი მშვენიერი ლედის" ავტორი და წამყვანი, მინიატიურული ქანდაკებით, მედლითა და საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ია ფარულავას გადაცემა "ჩემი მშვენიერი ლედი" საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით 2000 წლიდან გადის ეთერში. საქართველოს ფარგლებს გარეთ, ტელევიზიის განხრით, სწორედ ამ გადაცემამ უკვე ორჯერ მოუტანა მსახიობს წარმატება და აღიარება.

"ჩემი გადაცემის მიზანია მანდილოსნები გავალამაზო, თვითრწმენა შევმატო და, რაც ყველაზე მთავარია, ოცნება რეალობად ვუქციო", - აცხადებს ია ფარულავა. არ ვიცი, ამ კეთილი ზრახვების გამო ჯილდოვდება იგი თუ არის კიდევ მის გადაცემაში რაღაც ისეთი...

2002 წელს ოდესაში, სატელევიზიო ფილმებისა და პროგრამების ფესტივალზე, "ჩემი მშვენიერი ლედი" "საუკეთესო დებიუტისთვის" დააჯილდოვეს, პროექტის ავტორს კი გადაეცა დიპლომი "საუკეთესო გულმხურვალე მხარდაჭერისთვის". სწორედ ამ ფესტივალზე დაინტერესდა რუსეთის საინფორმაციო კომპლექსის "Лучшие из Лучших " პრეზიდენტი და ორი წლის შემდეგ ია ფარულავა მიიწვია აქციაზე, რომელიც წლეულს მოსკოვში, პრეზიდენტ-ოტელში გაიმართა.

"არ ვიცოდი, რამდენად სერიოზული და მისაღები ცერემონია იყო. ამაში გასარკვევად მოსკოვის შესაბამის წრეებში საკმაოდ გათვითცნობიერებულ ქალბატონს ნატო დუმბაძეს ვთხოვე დახმარება".

ბევრი ფიქრისა და კონსულტაციის შემდეგ მსახიობმა და ტელეწამყვანმა მიწვევაზე წასვლა გადაწყვიტა და უკან ხელდამშვენებული დაბრუნდა.

რუსეთის საინფორმაციო კომპლექსი "Лучшие из Лучших" 2000 წლიდან პროფესიონალური მიღწევებისთვის მოსკოვის მერიის, მეწარმეთა საბჭოსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის პატრონაჟით ატარებს აქცია-დაჯილდოებას. შარშან და შარშანწინ ამ აქციაზე მოსკოვში მოღვაწე ჩვენი ორი თანამემამულე - თამარ გვერდწითელი (2002 წელი) და სოსო პავლიაშვილი (2003 წელი) დაუჯილდოვებიათ. რაც შეეხება სხვა ნომინანტებს, მათ რიცხვში არიან ცნობილი მსახიობები, სპორტსმენები, პოლიტიკოსები, წარმატებული კომპანიები, ფაბრიკა-ქარხნები და ბრენდები.

"პროფესიონალური მიღწევებისთვის აქცია-დაჯილდოების ცერემონიალზე 20 კატეგორია იყო წარმოდგენილი. "რუსეთის საპატიო სტუმრის" მხოლოდ ერთი კატეგორია დასახელდა, რომელიც მე მერგო", - წარმატების სიხარულს ვერ ფარავდა მსახიობი.

სამსახიობო კარიერის გარდა, ია ფარულავა კვლავაც აგრძელებს მუშაობას თავის წარმატებულ გადაცემაზე, მით უმეტეს, რომ "ჩემი მშვენიერი ლედი" პირველი არხის საზღვრებს გასცდა და მისი ხილვა ტელეკომპანია МИР-ის მაყურებელსაც შეუძლია. იქნებ სწორედ ეს აძლევს იმის სტიმულს, რომ ფარულავა სამომავლოდ სხვა პროექტების განხორციელებასაც გეგმავს.

---

მოკლედ

## ახალი ანიმაციური ფილმი

დღეს კინოს სახლში გაიმართება ახალი ქართული ანიმაციური ფილმის "მოგზაურობა ისტორიაში" პირველი სერიის - "ფარნავაზის" პრემიერა. ფილმის შემქმნელები: გია ლაფაური და ირაკლი მახარაძე მომავალში ფილმის გაგრძელებაზე იმუშავებენ. დღეისთვის მომზადებულია სერიები ფარნავაზზე, ვახტანგ გორგასალსა და დავით აღმაშენებელზე.

კინოს სახლში დღევანდელ ჩვენებაზე მსურველები მხოლოდ მოსაწვევებით შეძლებენ დასწრებას. ***მედია-ნიუსი***

## ახალი ექსპოზიცია "ქარვასლაში"

თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინეს თემურ დვალიშვილმა, მაია ყაჯიშვილმა, თამარ მელიქიშვილმა, გიორგი ნადირაშვილმა, ოთარ ლითანიშვილმა და ზაზა კორაშვილმა. ორგანიზატორია თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური. გამოფენა 14 დეკემბრამდე გაგრძელდება. ***მედია-ნიუსი***

## ქართულ-ებრაული დუეტი

ქართული და ებრაული ესტრადის ცნობილმა შემსრულებლებმა მერაბ სეფაშვილმა და ლიორამ ერთობლივი სიმღერის ჩაწერა დაიწყეს. მომღერლები "სანოს სტუდიაში" მუშაობენ სიმღერაზე "ჩუმად გაგიყვან მინდორში". ქართულ-ებრაულენოვან სიმღერაზე ვიდეოკლიპის გადაღებაც იგეგმება.

ორი მომღერლის დუეტების ჩაწერისა და შემდგომში მათი ერთობლივი კონცერტების ინიციატივა ისრაელის ბიზნეს-პალატას ეკუთვნის. " სიმღერები ჩაიწერება როგორც ქართულ ენაზე, ისე ივრითზე. დაგეგმილია ასევე მერაბისა და ლიორას მონაწილეობით სამი კონცერტი - საქართველოში, ისრაელსა და აშშ-ში (ან ავსტრალიაში)", - აღნიშნა საქართველოში ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ. "ლიორა ნიჭიერი შემსრულებელია და მასთან მუშაობა საინტერესო იქნება", - აღნიშნა მერაბ სეფაშვილმა. ლიორა საქართველოში ებრაული დღესასწაულის - ხანუქას აღსანიშნავად მოწყობილ საზეიმო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს. ***ინტერ-პრესი***

# იღბლიანი 89

## ევროტურიდან ევროტურში

ვერა ნეფარიძე

*კინოთეატრმა "რუსთაველმა" და ტურისტულმა სააგენტო "N ტურმა" პირობა ნაწილობრივ შეასრულეს. გუშინ კინოთეატრის ფოიეში ამსტერდამი-პარიზის საგზური გათამაშდა. იქნება თუ არა 89 ბოლომდე იღბლიანი რიცხვი 23 წლის მაკა მახარაშვილისთვის, ვერ გეტყვით. გამარჯვებულისთვის ჯერჯერობით უცნობია, როდის გაემგზავრება ევროპაში.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

პრიზი სააგენტო "N ტურმა" ფილმის - "ევროტურის" მნახველებისთვის დააწესა. სამი კვირის განმავლობაში, ფილმის საღამოს ყველა სეანსზე, კინოთეატრის წარმომადგენლები მაყურებლებს შორის აწყობდნენ მცირე შეჯიბრებას პოპ-კორნისა თუ "სნიკერსის" ჭამაში, ან "პეპსის" სმაში. ფინალი გუშინ კინოთეატრის ფოიეში გაიმართა მარტივი პრინციპით - გამარჯვებული იქნებოდა ის, ვინც პარკიდან ყველაზე მაღალციფრიან კოჭს ამოიღებდა. გათამაშებაზე ორმოცდაათამდე ფინალისტი უნდა მოსულიყო, თუმცა, სიის ამოკითხვისას გაირკვა, რომ ბევრმა პარიზი-ამსტერდამის საგზურის მოსაპოვებლად თავი არ შეიწუხა.

გუშინდელი გათამაშების იღბლიანი ნომერი 89 აღმოჩნდა. ლოტოს კოჭი ამ ციფრით გათამაშების დასასრულს 23 წლის მაკა მახარაშვილს ერგო. იმის მიუხედავად, რომ გუშინ უცნობი დარჩა ევროპაში გამგზავრების ზუსტი თარიღი (გათამაშებას ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი არ ესწრებოდა), გამარჯვებულს ეჭვი არ ეპარება, რომ გათამაშება ბოლომდე ობიექტური და სამართლიანი იყო. კინოთეატრის ხელმძღვანელობა მომავალშიც გეგმავს მსგავსი და არანაკლებ სერიოზული პრიზების გათამაშებას სხვადასხვა კინოსეანსზე. "ფილმის შინაარსიდან გამომდინარე, ტურისტული საგზური მაშინ ყველაზე შესაფერისი იყო. ჩვენ მომავალშიც აუცილებლად მოვაწყობთ მსგავს გათამაშებებს და არანაკლებ სერიოზულ პრიზებსაც დავაწესებთ", - თქვა გათამაშების დასასრულს კინოთეტარ "რუსთაველის" მარკეტინგის მენეჯერმა ირაკლი ჩიკვაიძემ. რაც შეეხება დანარჩენ ფინალისტებს, ვინც არ დაიზარა და გუშინ "რუსთაველში" მივიდა, ყველას ორი ბილეთი ერგო ეკრანებზე დღეიდან გამოსული ფილმის "ანაკონდა 2"-ის სეანსზე.

ფილმი (მისი ორიგინალური სახელწოდებაა Anacondas: The Hunt for the Blood Orchid) ვერც სახელოვანი მსახიობებით მოიწონებს თავს და არც ახალია. ამერიკული ფილმის მსოფლიო პრემიერა 25 აგვისტოს გაიმართა. "ანაკონდა" შავი ორქიდეის საძებნელად მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ მოგვითხრობს და ის ფანტასტიკისა და თრილერის ჟანრებს მიეკუთვნება. ფილმის რეჟისორი არც ისე სახელოვანი დუაიტ ლითლია. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, "რუსთაველის" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ "ანაკონდა" საკმაოდ წარმატებული და საინტერესო ნამუშევარია. რაც შეეხება კინოთეატრის სხვა გეგმებს. საახალწლოდ "რუსთაველში" ორი ანიმაციური პროექტი მზადდება - "ყველაზე მაგრები მსოფლიოში" და "პოლარული ექსპრესი" (რასაკვირველია, ორივე ქართულად გახმოვანდება); ორივე ფილმს "რუსთაველი" კინოთეატრ "ამირანთან" ერთად შესთავაზებს მაყურებელს. "ერთობლივმა ჩვენებამ ორივე კინოდარბაზში 70-80 პროცენტით გაზარდა მაყურებლის რაოდენობა. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ "ამირანთან" თანამშრომლობას", - გვითხრა "რუსთაველის" მარკეტინგის მენეჯერმა.

# შეიყვარე, რათა უღალატო

*"მე შენ გიღალატე, და აი, გეუბნები კიდეც გულწრფელად. ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ერთმანეთს არაფერს დავუმალავდით".*
*"მაინც რატომ უნდა გამიხარდეს სიმართლის მოსმენა? რა არის ამაში კარგი? ხანდახან უნდა მოიტყუო კიდეც, მრავალფეროვნების გამო მაინც. ტყუილი ხომ მსოფლიოს ყველაზე მყარი ვალუტაა, რომელიც ყველგან გადის". - დიალოგი ფილმიდან "სიახლოვე".*

შეიყვარე, მაგრამ არ შეგეშინდეს მორიგი სიყვარულის. როცა სხვა სიყვარული მოვა, გაბედულად უღალატე ძველს, ოღონდ თქვი კიდეც ამის შესახებ, რადგან გამჟღავნებული სიმართლე თავის გამართლებას ჰგავს. გამჟღავნებული სიმართლე დაგარწმუნებს, რომ არც ისე ცუდი ხარ. დაახლოებით ასეთია თანამედროვე ფილოსოფია ქალისა და კაცის ურთიერთობაში, რომელიც "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტმა ბოლო ორ თვეში გამოსულ სამ სხვადასხვა ფილმში აღმოაჩინა.

ღალატი მართლაც წლის მთავარ ამერიკულ თემად შეიძლება ჩაითვალოს. ის ერთ-ერთ პოპულარულ ტელესერიალშიც ფართოდ შუქდება, ჟურნალ "ნიუზუიქის" გარეკანზეც ხვდება და ოფრა უინფრის შოუშიც განიხილება. თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ტენდენცია ყველაზე კარგად სწორედ სრულმეტრაჟიან ჰოლივუდურ ფილმებში მჟღავნდება. იმის ღრმა რწმენით, რომ რომანტიკული ჟანრის ამ სამი ფილმიდან ჩვენი კინოთეატრები რომელიმეს მაინც გვიჩვენებენ, წინდაწინ ვნახოთ, რაშია საქმე.

თუ გვსურს, რომ ისტორიული ექსკურსი გამოგვივიდეს, მსჯელობა უნდა დავიწყოთ ფილმით "კინსი", "ალფით" გავაგრძელოთ და "სიახლოვით" დავასრულოთ. ამასობაში კი ბოლომდე ვირწმუნებთ, რომ მონოგამია იდეალიზებულ, მაგრამ თან თითქმის მიუღწეველ მიზნად იქცა. წლის ახალი იდეალი კი ასე შეიძლება დავასათაუროთ - გულწრფელობა ღალატის შემდეგ.

"კინსი". ფილმი რეალურად მოღვაწე მეცნიერის ბიოგრაფიის მიხედვითაა. ალფრედ კინსი (ლიამ ნისონი) 40-50-იან წლებში სექსოლოგიის საკითხებს იკვლევს, სხვათა ისტორიებს ისმენს და საკუთარ სექსუალურ პრობლემებსაც მეცნიერის ცივი გონებით უდგება.

თუმცა, მის ეპოქაში ყველაფერი ასე მარტივად არაა, როგორც დღეს. როცა კინსი ცოლს ეუბნება, რომ ერთ-ერთ ასისტენტთან ულალატა, ქალი შოკში ვარდება. მას აღიზიანებს არა ის ფაქტი, რომ ასისტენტი მამაკაცია, არამედ აგიჟებს თვითონ ღალატი. მისი მეუღლე სექსუალურ ცდუნებას გაგებით ეკიდება და ამბობს, რომ ამ დროს თავშეკავება სოციალური მარწუხების ქვეშ მოქცევას ნიშნავს. ქალი კი აპროტესტებს: "არასდროს გიფიქრია, რომ ეს მარწუხები ადამიანებს გულისტკივილისგან იცავს?"

კინსისთვის კი სიმართლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ღალატი. ამდენი ადამიანის საიდუმლოს მოსმენის შემდეგ თვითონაც უჭირს გაჩუმება და ყველაფრის თქმას არჩევს... თუმცა, შემდეგ წყვილი სექსუალურ თამაშში ებმება: ასისტენტთან ცოლიც წევს და ქმარიც. მერე ყველაფერი რთულდება და ტრაგიკულ ელფერს იძენს... რეფრენი ცხადად იკითხება: "მეუღლის ერთგულება ის საკითხია, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინაშე ყველაზე მწვავედ დგას".

შემდეგ მოდის "ალფი" - 1960-იან წლებში გადაღებული ფილმის რიმეიქი. ალფი მუსუსია. ის საუკეთესო მეგობრის ცოლთანაც კი წევს. ერთ-ერთ ეპიზოდში ამბობს: "საკუთარ თავსაც კი ისე ვატყუებ, როგორც არაფერი". ფილმის ბოლოს მაყურებელი რწმუნდება, რომ ამ შემთხვევაშიც მთავარი თვითონ ტყუილია და არა ქალების სიყვარული.

ღალატის საკითხი რეი ჩარლზის ცხოვრების მიხედვით გადაღებულ ფილმშიც ხმიანდება. "რეიში" რეი ჯერ მეუღლეს უღალატებს, შემდეგ - საყვარელს. ეს ყველაფერი ძნელად აღსაქმელია, აშკარად მტკვინეულია, მაგრამ რეჟისორს არ სურს, მაყურებელმა ასეთ ემოციურ დეტალებზე იმტვრიოს თავი. ამ სურათშიც ღალატი განიხილება, როგორც ობიექტურად არსებული ფაქტი, რომელსაც ვერსად გავექცევით.

გამოდის, რომ, როგორც "სიახლოვის" გმირები ამბობენ, ტყუილი ჩვენი რეალობის მთავარი ვალუტა, ანუ წამყვანი ტენდენციაა, ღერძია, რომლის გარეშემოც დედამიწა ბრუნავს. თუმცა, ჰოლივუდი სულაც არ ქადაგებს იმას, რომ ღალატი და ტყუილი კარგია. ამ დიდ ჭაობში, რეჟისორების მტკიცებით, სწორედ გულწრფელობით თუ შეიძლება "წყლის გასუფთავება".

გულწრფელობითა და სიმართლის თქმით ხიბლავენ მაყურებელს ფილმ "სიახლოვის" ძალიან ლამაზი გმირები: ცნობილი ფოტოგრაფი ანა (ჯულია რობერტსი), ჟურნალისტი დენი (ჯუდ ლოუ), დერმატოლოგი ლერი (ქლაივ ოუენი) და სტრიპტიზის მოცეკვავე ელისი (ნატალი პორტმანი).

ეს გმირები სასიყვარულო ოთხკუთხედს ქმნიან. მოქმედებას დენი იწყებს. ის ანას ელისთან ულალატებს. ელისი კი ლერიზე დაქორწინდება, რათა მას მალევე უღალატოს და ისევ დენისთან დაბრუნდეს. რამდენიმე ეპიზოდში თვით ლერი და ელისიც კი ხვდებიან ერთმანეთს - თავიანთი საყვარლების საყვარლებს... გამოდის, რომ თავიდან ჩნდება გრძნობა - "უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია"-ს პრინციპით, შემდეგ ირკვევა, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე მართლა არ შეუძლიათ, მაგრამ თან ვერც ღალატს იშლიან. სექსის, ცდუნებისა და ღალატის ამ ლაბირინთში კი, რაც არ უნდა საოცარი იყოს, ყველაზე ინტიმური მომენტები აღსარების მომენტებია; ღალატის აღიარების; ერთმანეთთან ლაპარაკის.

მოკლედ, თანამედროვე ჰოლივუდში მორალს არავინ ქადაგებს. უბრალოდ, ტყუილისა და ღალატისგან დასახსნელად სიმართლის პირში თქმას სთავაზობენ საზოგადოებას. ეპილოგიც ასეთია: ალტერნატივა გულწრფელობაა - გულწრფელობა იმის შესახებ, რომ უღალატე.




*კადრები ფილმებიდან: "სიახლოვე", "კინსი" და "ალფი"*




*პაულო კოელიოს სვეტი*

## დედა ბუნების შესახებ



### კატები და ლომი

ერთხელ ლომი საუბარში გართულ კატებს გადაეყარა. "ეხლა ამათ შევჭამ", - გაიფიქრა ლომმა.

მაგრამ მოულოდნელად მთელ მის არსებას უცნაური სიმშვიდე დაეუფლა. თავისი აგრესიული მიზნის განხორციელების ნაცვლად, კატებს გვერდით მიუჯდა და ყური დაუგდო.

"ღმერთო, აგერ უკვე მთელი დღეა, ვსხედვართ და გევედრებით, რომ ზეციდან თაგვების წვიმა გამოგვიგზავნო", - თქვა ერთმა კატამ, რომელიც ისე იყო თავისი სურვილით გატაცებული, რომ ლომი ვერც შენიშნა.

"ვევედრებით, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ, ეს იმიტომ, რომ ღმერთი არ არსებობს", - უპასუხა მეორემ.

ამ ფრაზის შემდეგ ლომს მათი დიალოგის მოსმენის სურვილი სულ მთლად გაუქრა. წამოიმართა, გზა განაგრძო და თან თავისთვის ფიქრობდა: "ღმერთო, რას წარმოვიდგენდი ამას? ის-ის იყო ეს არსებები უნდა მომეშთო, უნდა გადამესანსლა, რომ ღმერთმა შემაჩერა. მიუხედავად ამისა, მათ ღვთიური ძალის არსებობა მაინც უარყვეს. ეს იმიტომ, რომ ზედმეტად იყვნენ გართულები იმაზე ფიქრით, რაც მათ აკლდათ და რისი მოპოვებაც სურდათ. იმდენად გართულები, რომ ვერც შენიშნეს, რამხელა საფრთხისგან იხსნა ღმერთმა".

### სიჩუმის ფასი

ხეს იმდენი ვაშლი ესხა, რომ მწიფე ნაყოფით დამძიმებულ ტოტებს ქარიც კი ვერაფერს აკლებდა.

"რატომ ხარ ასე ჩუმად? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ყველას ისე გვიყვარს საკუთარი თავი, რომ ვგიჟდებით, როცა გვამჩნევენ", - გამოელაპარაკა ვაშლის ხეს ბამბუკი.

ვაშლმა კი მიუგო: "მე ზედმეტი ხმაური არ მჭირდება. ჩემ ღირსებებზე ხომ ჩემი ნაყოფიც მეტყველებს".

### თავმომწონე გვირილა

"მე გვირილა ვარ, გვირილების მდელოს შუაგულში ვხარობ", - ფიქრობდა ყვავილი თავისთვის, - "ამიტომაა, რომ ჩემს სილამაზეს სათანადოდ ვერ აფასებენ. მე ხომ გარშემო ამდენი ყვავილი მაკრავს".

გვირილას ფიქრებს ანგელოზმა მოჰკრა ყური და უთხრა:

"ნუ დარდობ, მშვენიერო, შენ ხომ მართლაც ძალიან ლამაზი ხარ".

"კი, მაგრამ მე მინდა, გამორჩეული ვიყო", - მაინც თავისას არ იშლიდა გვირილა.

მისი წუწუნი რომ აღარ მოესმინა, ანგელოზმა თავნება ყვავილი ქალაქის სკვერში გადაიყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბაღს ქალაქის მერი ეწვია, მებაღითურთ. მათ სკვერის განახლება-გადაკეთების გეგმა უნდა განეხილათ.

"აქ არაფერია საინტერესო. ამოთხარეთ ეს ბოლქვები და გერანიუმები დარგეთ" - გაიცა ბრძანება.

"მოიცადეთ", - შეშფოთდა ყვავილი, - "ასე ხომ მომკლავთ!"

"სხვა გზა არ გვაქვს. შენ რომ აქ მარტო არ იყო და ბევრი გვირილა რომ ხარობდეს ირვლივ, ალბათ, მართლა ლამაზი ბაღი გაკეთდებოდა. მაგრამ ახლა მარტო ხარ და ასე კიდევ ბაღი არ შეიქმნება", - უპასუხა მერმა და თავისი ხელით ამოთხარა გვირილა.

### მაჩვ-ზღარბა და სოლიდარობა

პროფესორი ალვარო კონეგუნდესი წერს, რომ გამყინვარების ხანაში სიცივემ ბევრი ცხოველი იმსხვერპლა. მაჩვ-ზღარბები მიხვდნენ, რომ თვითგადარჩენისთვის უნდა ებრძოლათ და ერთ მუშტად შეიკვრნენ, ერთმანეთს ათბობდნენ და იცავდნენ. ამ პროცესში ცხოველები ერთმანეთს ხერხემლებით შეერწყნენ. რაც ცხადია, შოკისმომგვრელი იყო და ისევ განცალკევება გადაწყვიტეს.

ცალ-ცალკე კი ისევ იხოცებოდნენ სიცივისგან. გამოდიოდა, რომ მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ - ან უნდა გადაშენებულიყვნენ, ან ერთმანეთი მუდმივად აეტანათ. კიდევ კარგი, ჭკვიანურად მოიქცნენ და ერთად ყოფნა არჩიეს. მათ ისწავლეს იმ წვრილმანი ჭრილობების მოშუშება, როგორსაც ასეთი მჭიდრო ურთიერთობები ყოველთვის იწვევს ხოლმე. მათ ისწავლეს, რომ, პირველ რიგში, მეგობრის გათბობაზე უნდა ეზრუნათ და მხოლოდ მერე - საკუთარ თავზე.

ისინი გადარჩნენ.

ისინი თანადგომამ იხსნა.

***პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***



მოკლედ

## ანრი მამა გახდება

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი მალე მამა გახდება. ცნობილი გახდა, რომ მისი მეუღლე ნიკოლი, ცნობილი ფოტომოდელი, რომელიც ქმრის მსგავსად, ასევე ძალიან პოპულარულია ინგლისში, ორსულად არის. წყვილი უზომოდ ბედნიერია. სხვაგვარად, ალბათ, ვერც იქნება. ტიერი ანრი თავისი საფეხბურთო კარიერის პიკზეა, ეს კი მის ანაზღაურებაზეც კარგად აისახება. ფრანგი თავდამსხმელი პლანეტის უმდიდრეს ფეხბურთელებს შორის მე-10 ადგილს იკავებს. ანრის წლიური შემოსავალი 10 მილიონი დოლარია.

ფინანსური კეთილდღეობის გარდა, ანრის ოჯახშიც იდილია აქვს. ის ხშირად ამბობს, რომ ქორწინება საუკეთესოდ აისახა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ანრის აზრით, დაქორწინების შემდეგ ის უფრო მომთმენი გახდა საფეხბურთო მოედანზე. ადრე ხშირად ეკამათებოდა მსაჯებს, უჭირდა ემოციების კონტროლი. მაგალითად, 2001 წლის დეკემბერში, "ნიუკასლთან" მატჩში ანრიმ შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს გრემ პოლს, რისთვისაც სოლიდური ფულადი ჯარიმა გადაიხადა. 2003 წლის ივლისში ანრი ნიკოლზე დაქორწინდა და მას შემდეგ მსაჯებთან პრობლემები აღარ აქვს. იმედია, შვილის შეძენის შემდეგ მისი საქმეები კიდევ უფრო კარგად წავა.

## სახელგანთქმულ კალათბურთელს საკუთარი ქალიშვილები უჩივიან

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ კალათბურთელს კელვინ მერფის ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. მიზეზი ის არის, რომ საკუთარი ქალიშვილები მერფის სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. აქვე მოგახსენებთ, რომ 56 წლის კელვინ მერფის 14 შვილი ჰყავს ცხრა ქალისგან, რომლებთანაც ის არ ყოფილა დაქორწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ მერფი სიმაღლით არ გამოირჩეოდა (180 სმ-ზე დაბალი გახლდათ), სპორტული კარიერის მანძილზე 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. მერფის სახელი ნბა-ს დიდების დარბაზშიც შეიტანეს. ახლა კი მისმა ქალიშვილებმა მერფის უწინდელი ცოდვები გაუხსენეს და იმაზე ალაპარაკდნენ, თუ როგორ ექცეოდა მათ 1988-1991 წლებში. თავად მერფი სიმშვიდეს ინარჩუნებს. დანაშაულს არ აღიარებს და ქალიშვილების საქციელს მათი მხრიდან ფულის გამოძალვის სურვილით ხსნის. მალე ის სასამართლოს წინაშე წარდგება, თუმცა, ჯერ უცნობია, როგორ შეძლებენ მისი ქალიშვილები ბრალდების დამტკიცებას.

## ფეხბურთელი უთითოდ დარჩა

სამკაულები, რომელთა რიცხვს საქორწინო ბეჭედიც განეკუთვნება, ხშირად დიდ საშიშროებას წარმოადგენს სპორტსმენთათვის. მათი დიდი ნაწილი მატჩების დროს ლეიკოპლასტირით იხვევს, მაგალითად, ყურებს. ეს იმიტომ, რომ საყურე რამეს არ გამოსდონ და ყური არ დაიზიანონ. ზოგიერთი სპორტსმენი კი, უბრალოდ, იხსნის სამკაულებს.

შვეიცარიის საფეხბურთო კლუბის "სერვეტის" ნახევარმცველს პაოლო დიოგოს უსაფრთხოების ზომების დაცვა დაავიწყდა, რის გამოც სასტიკად დაისაჯა. შვეიცარიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში 29 წლის ფეხბურთელმა მესამე გოლი გაიტანა მეტოქე "შაფჰაუზენის" კარში და წარმატების აღსანიშნად გულშემატკივრების წინ აღმართული გალიისკენ გაემართა. დიოგო ამ გალიაზე ახტა და ქომაგების გასამხნევებლად ხტუნვა დაიწყო. ამ დროს ფეხი დაუცდა, საქორწინო ბეჭედი მავთულს გამოედო, რის გამოც ფეხბურთელს მარცხენა ხელის არათითის ფალანგები გაუწყდა.

დიოგო ციურიხის ერთ-ერთ კლინიკაში მიიყვანეს, თუმცა, ექიმებმა თითის მიკერება ვერ შეძლეს და იძულებული გახდნენ, ამპუტაცია გაეკეთებინათ.

## კარტოფილი ფეხბურთელების დასახმარებლად

ნამდვილი გულშემატკივარი ის არის, ვინც თავის გუნდს გასაჭირშიც არ მიატოვებს. ეს თეზისი ხორვატიის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე დივიზიონის კლუბის "ნედელიანეცის" ქომაგებმა დაამტკიცეს.

ბოლო დროს "ნედელიანეცს" მძიმე ფინანსური პრობლემები აქვს. კლუბის ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს, ფეხბურთელებს კუთვნილი ხელფასი გადაუხადოს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ არც სპონსორის პოვნის პერსპექტივა ჩანს. როდესაც გულშემატკივრებმა ეს ამბავი შეიტყვეს, გადაწყვიტეს, როგორმე დახმარებოდნენ საყვარელ კლუბს. ქომაგებმა 6 ტონა კარტოფილი მოაგროვეს და კლუბში მიიტანეს. მათ შესთავაზეს "ნედელიანეცის" ხელმძღვანელობას, რომ ეს კარტოფილი გაეყიდათ და ამონაგები თანხა ფეხბურთელებისთვის დაერიგებინათ.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ "ნედელიანეცის" მშიერ-მწყურვალი ფეხბურთელები გმირობას სჩადიან და მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებებს აღწევენ. მძიმე კრიზისის მიუხედავად, მიმდინარე სეზონში გუნდი მეორე დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის. გულშემატკივართა საქციელი კლუბის ხელმძღვანელებს ძალიან მოეწონათ. მათი განცხადებით, კარტოფილის გაყიდვიდან ამონაგები თანხა სეზონის ბოლომდე ეყოფა გუნდს. გულშემატკივრებმა კი, თავის მხრივ, პირობა დადეს: თუ "ნედელიანეცი" მეორე დივიზიონში გადავა, ფეხბურთელები კიდევ უფრო მეტ კარტოფილს მიიღებენ.

# კონკურსი ევროთასები 2004-2005

## გათამაშების ცხრილი

| | | |
|---|---|---|
| 23 ნოემბერი 2004 | მონაკო - ლივერპული | 1-0 |
| 23 ნოემბერი 2004 | ოლიმპიაკოსი - დეპორტივო | 1-0 |
| 23 ნოემბერი 2004 | იუვენტუსი - აიაქსი | 1-0 |
| 23 ნოემბერი 2004 | სპარტა - ფენერბახჩე | 0-1 |
| 24 ნოემბერი 2004 | ეინდჰოვენი - არსენალი | 1-1 |
| 24 ნოემბერი 2004 | ანდერლეხტი - ვალენსია | 1-2 |
| 24 ნოემბერი 2004 | ვერდერი - ინტერი | 1-1 |
| 24 ნოემბერი 2004 | ცსკა - პორტუ | 0-1 |
| 7 დეკემბერი 2004 | არსენალი - რუსენბორგი | 5-1 |
| 7 დეკემბერი 2004 | პანათინაიკოსი - ეინდჰოვენი | 4-1 |
| 7 დეკემბერი 2004 | სელტიკი - მილანი | 0-0 |
| 7 დეკემბერი 2004 | შახტარი - ბარსელონა | 2-0 |
| 7 დეკემბერი 2004 | ინტერი - ანდერლეხტი | 3-0 |
| 7 დეკემბერი 2004 | ვალენსია - ვერდერი | 0-2 |
| 7 დეკემბერი 2004 | პორტუ - ჩელსი | 2-1 |
| 7 დეკემბერი 2004 | პსჟ - ცსკა | 1-3 |
| 8 დეკემბერი 2004 | დეპორტივო - მონაკო | 0-5 |
| 8 დეკემბერი 2004 | ლივერპული - ოლიმპიაკოსი | 3-1 |
| 8 დეკემბერი 2004 | ლევერკუზენი - დინამო | 3-0 |
| 8 დეკემბერი 2004 | რომა - რეალი | 0-3 |
| 8 დეკემბერი 2004 | აიაქსი - ბაიერნი | 2-2 |
| 8 დეკემბერი 2004 | მაკაბი - იუვენტუსი | 1-1 |
| 8 დეკემბერი 2004 | ფენერბახჩე - მანჩესტერი | 3-0 |
| 8 დეკემბერი 2004 | ლიონი - სპარტა | 5-0 |

## საბოლოო შედეგები

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პირველი ადგილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ვასილ კალანდაძე** | თბილისი | 1-0 | 2-0 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 3-1 | 1-0 | 2-2 | 22 | 0 2 | 0 2 | 1 0 | 112 |
| მეორე-მეხუთე ადგილები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ახალკაცი ლევან | ხაშური | 2-0 | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-2 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 1 0 | 2 1 | 3 0 | 99 |
| კუჭუხიძე თემურ | ბორჯომი | 2-1 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 2-0 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 1-3 | 1-1 | 0 0 | 2 1 | 3 1 | 99 |
| ახალკაცი ლევან | ხაშური | 2-0 | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-2 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 1- 0 | 2 -1 | 3-0 | 99 |
| კუჭუხიძე თემურ | ბორჯომი | 2-1 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 2-0 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 1-3 | 11 | 0-0 | 2-1 | 3-1 | 99 |
| მეექვსე-მერვე ადგილები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კიკნაველიძე არჩილ | წყალტუბო | 1-0 | 1-0 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | 2-0 | 2-2 | 0-0 | 0-1 | 1 1 | 2 0 | 95 |
| კიკნაველიძე არჩილ | წყალტუბო | 1-0 | 1-0 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | 2-0 | 2-2 | 00 | 0 1 | 1 1 | 2 0 | 95 |
| გიგლა პეტრიაშვილი | თბილისი | 2-1 | 2-1 | 0-1 | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 2-1 | 2-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 2-1 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 95 |
| მეეცხრე-მეცამეტე ადგილები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დავით ხაბურძანია | თბილისი | 1-1 | 1-0 | 2-1 | 0-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-2 | 2-0 | 1-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 2-1 | 1-3 | 1-2 | 2-2 | 0-1 | 1-3 | 2-0 | 94 |
| დავით ხაბურძანია | თბილისი | 1-1 | 1-0 | 2-1 | 0-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-2 | 2-0 | 1-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 2-1 | 1-3 | 1-2 | 2-2 | 0 1 | 1-3 | 2-0 | 94 |
| გიორგი მარგველაშვილი | თბილისი | 2-1 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 4-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 3-1 | 94 |
| ილია როდონაია | თბილისი | 1-1 | 1-0 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 3-0 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 2-0 | 3-1 | 1-0 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 94 |
| ირაკლი გვიშიანი | თბილისი | 1-2 | 0-0 | 2-0 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 0-0 | 0-1 | 3-0 | 1-0 | 2-2 | 1-2 | 3-1 | 2-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-2 | 2-1 | 94 |
| მეთოთხმეტე ადგილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| გიორგი რეხვიაშვილი | თბილისი | 2-1 | 1-0 | 3-2 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 2-2 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-1 | 2-4 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-3 | 2-2 | 1-1 | 2-3 | 2-0 | 93 |
| მეთხუთმეტე-მეთექსვმეტე ადგილები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ჭიაურელი პეტრე | თბილისი | 2-0 | 3-1 | 0-1 | 1-3 | 2-2 | 1-2 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-2 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 0-2 | 1-0 | 1-2 | 3-0 | 92 |
| ჭიაურელი პეტრე | თბილისი | 2-0 | 3-1 | 0-1 | 1-3 | 2-2 | 1-2 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-2 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 0-2 | 1- 0 | 1-2 | 3-0 | 92 |
| მეჩვიდმეტე ადგილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე უგრეხელიძე | ლანჩხუთი | 1-0 | 2-0 | 2-0 | 3-2 | 2-3 | 1-2 | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 1-3 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 90 |
| მეთვრამეტე-ოცდამეხუთე ადგილები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ტეფნაძე თეიმურაზ | ქ. ხაშური | 1-1 | 0-0 | 2-0 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 0-0 | 1-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 3-1 | 2-1 | 1-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-2 | 2-2 | 3-2 | 88 |
| ფირცხალაიშვილი თეიმურაზ | თბილისი | 2-1 | 2-0 | 1-1 | 3-1 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-3 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 2-1 | 1-2 | 3-2 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 88 |
| ბაჩუკი ხარგელია | ქუთაისი | 2-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-3 | 2-2 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 1-2 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 88 |
| ტეფნაძე თეიმურაზ | ქ. ხაშური | 1-1 | 0-0 | 2-0 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 0-0 | 1-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 3-1 | 2-1 | 1-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-2 | 2-2 | 3-2 | 88 |
| ფირცხალაიშვილი თეიმურაზ | თბილისი | 2-1 | 2-0 | 1-1 | 3-1 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-3 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 2-1 | 1-2 | 3-2 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 88 |
| ბაჩუკი ხარგელია | ქუთაისი | 2-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-3 | 2-2 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 1-2 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 2-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 88 |
| დავით გვაზავა | თბილისი | 2-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 88 |
| ვალერი კანდელაკი | თბილისი | 2-0 | 2-1 | 2-0 | 0-0 | 0-2 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 1-0 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 2-1 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 3-1 | 88 |

ფეხბურთი

# ფიგუს რეაბილიტაცია

## "რეალი" მერვედფინალშია

მადრიდის "რეალმა", როგორც იქნა დაასრულა ჯგუფურ ეტაპზე წვალება და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. საწვალებლად კი "სამეფო კლუბმა" ორი კვირის წინათ გაიხადა საქმე, როცა საკუთარ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ლევერკუზენის "ბაიერი" ვერ დაამარცხა. მაშინ მატჩის დამთავრებამდე შვიდიოდე წუთი იქნებოდა დარჩენილი, როცა პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ პენალტი ვერ გამოიყენა და ის მატჩიც ფრედ დასრულდა. ეს უკვე მეორე გადამწყვეტი პენალტი იყო, რომელიც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ფიგუმ გააფუჭა (პირველი ორი წლის წინათ, ტურინში, "იუვენტუსის" წინააღმდეგ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში) და "რეალის" გულშემატკივრებიც იმაზე ალაპარაკდნენ, რომ ფიგუ დაბერდა და მას ასეთი გადამწყვეტი დარტყმების განხორციელება უნდა აეკრძალოსო.

ამ მოსაზრებას ფიგუმ ღირსეული პასუხი ასევე გადამწყვეტ შეხვედრაში გასცა, როცა რომში "რომას" დუბლი შეუსრულა (მათ შორის ერთი გოლი პენალტითაც გაიტანა) და "რეალს" მერვედფინალის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა. "რეალმა" - 3:0 მოიგო და ტურნირს განაგრძობს. ესპანელებთან ერთად მომდევნო ეტაპზე გერმანული "ბაიერი" გავიდა. გერმანელებმა შანსი არ დაუტოვეს კიევის "დინამოს" - 3:0 დაამარცხეს და უკრაინული კლუბი უეფას თასზე გადაისროლეს.

გუშინდელი დღის კიდევ ერთი უმთავრესი და უაღრესად შთამბეჭდავი მატჩი "ენფილდ როუდზე" გაიმართა. "ლივერპულმა" საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" მიიღო. გამარჯვების შემთხვევაში ინგლისელები მერვედფინალში გადიოდნენ, ოღონდ რაფაელ ბენიტესის გუნდს ორი ბურთის სხვაობით უნდა დაემარცხებინა ამბიციური ბერძნები. თუმცა მოხდა ისე, რომ 27-ე წუთზე რივალდომ სტუმრები დააწინაურა და ამით თითქოს ხაზი გადაუსვა ინგლისელთა ოცნებებს, მაგრამ "ლივერპულმა" მეორე ტაიმში სტივენ ჯერარდისა და ახალგაზრდა მილორის აქტიურობის ხარჯზე საკუთარ თავში იმდენი ძალა გამონახა, რომ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი აგემა. ამრიგად "ლივერპულმა" - 3:1 მოიგო და საფრანგეთის "მონაკოსთან" ერთად გათამაშებას აგრძელებს. "მონაკომ" კი კიდევ ერთხელ გაანადგურა ლა კორუნიას "დეპორტივო" - 5:0. აღსანიშნავია, რომ შარშან ამ გუნდების შეხვედრა მონაკოში მასპინძელთა გამარჯვებით - 8:3 დამთავრდა და არავინ მოელოდა, თუ "მონეგასკები" ასე გაანადგურებდნენ ესპანურ კლუბს. ასეა თუ ისე, ფრანგები შემდეგ ეტაპზე ითამაშებენ.

ბოლოს კი D ჯგუფზეც ვთქვათ, სადაც "ლიონმა" და "მანჩესტერ იუნაიტედმა" ვადამდე გაინაღდეს მერვედფინალის საგზური. მანჩესტერელთა მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ამბობდა, რომ მეორე შემადგენლობას ათამაშებდა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას მისცემდა. სერ ალექსმა პირობა შეასრულა, მაგრამ ახალგაზრდებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს და "მანჩესტერ იუნაიტედიც" დიდი ანგარიშით - 3:0 დამარცხდა. საფრანგეთის ჩემპიონმა "ლიონმა" კი პრაღის "სპარტა" - 5:0 გაანადგურა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.



| A | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული - ოლიმპიაკოსი | 3:1 | | | | | |
| დეპორტივო - მონაკო | 0:5 | | | | | |
| მონაკო | 6 | 3 | 0 | 2 | 10-4 | 12 |
| ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 6-3 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 5-5 | 10 |
| დეპორტივო | 6 | 0 | 2 | 4 | 0-9 | 2 |

| B | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა - რეალი | 0:3 | | | | | |
| ლევერკუზენი - დინამო | 3:0 | | | | | |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-7 | 11 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-8 | 11 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| რომა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-16 | 1 |

| C | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი - ბაიერნი | 2:2 | | | | | |
| მაკაბი - იუვენტუსი | 1:1 | | | | | |
| იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 6-1 | 16 |
| ბაიერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-5 | 10 |
| აიაქსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| მაკაბი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-12 | 4 |

| D | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი - სპარტა | 5:0 | | | | | |
| ფენერბახჩე - მანჩესტერი | 3:0 | | | | | |
| ლიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 17-8 | 13 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 14-9 | 11 |
| ფენერბახჩე | 6 | 3 | 0 | 3 | 10-13 | 9 |
| სპარტა | 6 | 0 | 1 | 5 | 2-13 | 1 |

# ახალი პსვ ვითარდება

მართალია, სამხრეთ ჰოლანდიის ტიტულოვანმა კლუბმა "პსვ ეინდჰოვენმა" ათენში, "პანათინაიკოსთან" მატჩში, გამანადგურებელი მარცხი (1:5) იწვნია, მაგრამ მას უკვე განაღდებული ჰქონდა მერვედფინალის საგზური. ამიტომ ჰოლანდიელებს ამ წაგების გამო დიდხანს არ უნაღვლიათ. დღეს ეინდჰოვენში საფეხბურთო ცხოვრება შესანიშნავად მიმდინარეობს. ზუსტად ისე, როგორც 1988 წლის მაისის თბილ საღამოს. მაშინ გუნდმა ჩემპიონთა თასის ფინალში, პენალტების სერიაში დაამარცხა პორტუგალიის "ბენფიკა" და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს დაეუფლა.

სამხრეთჰოლანდიური კლუბი წლეულსაც ძალიან კარგ მდგომარეობაშია. ის ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერობს, ხოლო გასულ უქმეებზე "დე გრააფსხაპის" - 4:0 განადგურების შემდეგ გუნდმა სატურნირო ცხრილში უახლოეს მდევარ "ალკმაართან" 5-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა. უფრო მეტიც, პსვ-მ ამსტერდამის "აიაქსის" ძველი რეკორდი დაამხო. თუ "აიაქსმა" 33 წლის წინათ საკუთარი კარი მშრალად შეინარჩუნა 1082 წუთი, "ეინდჰოვენს" 1110 წუთის განმავლობაში არ გაუშვია გოლი. ამასთან, გუნდი მზად არის, საკუთარი კარი მომავალშიც მშრალად შეინარჩუნოს.

გუნდის წინაშე საერთაშორისო ასპარეზიც ღიაა და ჰოლანდიელები იქაც წარმატებით აგრძელებენ გამოსვლას. ლონდონის "არსენალთან" საშინაო ფრეს (1:1) შემდეგ "პსვ ეინდჰოვენმა" ვადამდე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მერვედფინალის საგზური. საინტერესოა, რომ ჰოლანდიელებმა ჩემპიონთა ლიგის დაარსების შემდეგ პირველად მოახერხეს ჯგუფის დაძლევა. წინა რვა მცდელობა კრახით მთავრდებოდა. ამჯერად კი 10 ქულა საკმარისი აღმოჩნდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. პსვ ევროპის 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

გუნდის მწვრთნელი გუუს ჰიდინკი უკვე საგაზაფხულო თამაშებით სულდგმულობს და მათზე ფიქრით ირთობს თავს. ამასთან, ის 16 წლის წინანდელ დღეებსაც სიამაყით იხსენებს. "პსვ ეინდჰოვენს" მაშინაც ჰიდინკი ედგა სათავეში და შესანიშნავი გუნდიც ჩამოაყალიბა. კარში ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ჰანს ვან ბრიოკელენი იდგა. დაცვაში წარმატებით თამაშობდნენ რონალდ კუმანი და ბარი ვან აერლე. შემტევი ტიპის ნახევარმცველის პოზიციაზე შეუდარებელი იყო ჯერალდ ვანენბურგი.

დღესდღეობით გუნდისთვის ახალი ფეხბურთელები მოიპოვებენ გამარჯვებებს. ახალ სეზონს ჰიდინკი თავისი ორი წამყვანი ფეხბურთელის - მატეა კეჟმანისა და არიენ რობენის გარეშე შეხვდა. ორივე ეს ფეხბურთელი ლონდონის "ჩელსიმ" გადაიბირა. გუნდი დატოვა ძირითადმა მეკარემ რონალდ ვატერეუსმაც. ის "მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ჩაირიცხა.

სამაგიეროდ, გუნდს ექვსი წლის შემდეგ შეუერთდა ფილიპ კოკუ, რომელიც მანამდე ესპანეთის "ბარსელონას" ღირსებას იცავდა. პერუს კლუბ "ალიანციდან" (ლიმა) კი გუნდმა 19 წლის ახალგაზრდა პლეიმეიკერი ჯეფერსონ ფარფანი შეიძინა. საინტერესოა, რომ გუუს ჰიდინკის ორივე აღმოჩენას მაქსიმალურად ცოტა დრო დასჭირდა ახალ კლუბში საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად.

"ჩვენს გუნდს ეტყობა, რომ გამარჯვების უაღრესად დიდი სურვილი აქვს. შევიძინეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებიც უფრო გამოცდილებთან ერთად მინდორზე საქმისადმი თავდადების დემონსტრირებას ახდენენ და შესაშურ ბრძოლისუნარიანობას იჩენენ, - განაცხადა "პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელმა, - ძალიან გაგვიმართლა, რომ ახალბედები უპრობლემოდ ითვისებენ გუნდის ტაქტიკურ ჩანაფიქრს და ამით გულშემატკივრებს ახარებენ ევროპულ სარბიელზეც კი".

მას შემდეგ, რაც "ეინდჰოვენმა" ჯგუფური ბარიერი დაძლია, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან რთული ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლია. გასულ სეზონში გუნდმა ასევე 10 ქულა მოაგროვა, მაგრამ ასეთი სოლიდური მარაგიც კი არასაკმარისი აღმოჩნდა "მონაკოსა" და "დეპორტივოს" დასამარცხებლად, რომლებმაც შემდგომში, შესაბამისად, ფინალამდე და ნახევარფინალამდე მიაღწიეს. თუმცა, კლუბს შარშან არც უეფას თასის გათამაშებაში გაუმართლა. მეოთხედფინალურ სტადიაში ჰოლანდიელები ინგლისურ "ნიუკასლ იუნაიტედთან" ჭიდილში დამარცხდნენ.

"მე ჩემი გუნდი უნდა შევაქო, - განაგრძობს ჰიდინკი, - ჩვენ წლეულსაც 10 ქულა მოვაგროვეთ, მაგრამ ამჯერად ეს ჯგუფიდან გასვლისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ლონდონის "არსენალთან" მატჩის დროს საშინლად რთულ მდგომარეობაში ჩავვარდით, რადგან გვმართებდა, ერთდროულად ორი მატჩისთვის მიგვექცია ყურადღება. ერთ მომენტში "პანათინაიკოსი" "რუსენბორგთან" მატჩში დაწინაურდა და ჩვენ კვლავ დაგვემუქრა ჯგუფში ჩარჩენის საშიშროება. თუმცა, საბედნიეროდ უარესი არ მოხდა".

ჰიდინკისთვის საუკეთესო სცენარი, რა თქმა უნდა, პრესტიჟული ევროპული თასის მეორედ მოგება იქნება.




*პერუელი ჯეფერსონ ფარფანი "პსვ ეინდჰოვენის" ახალი გამთამაშებელია*

ძიუდო

# ევროპას ქართული ძიუდო თვალში მოუვიდა



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქართული ძიუდო ევროპაში საუკეთესოა – გვამცნობენ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელები.

ბიბა ბურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ზურაბ ზვიადაური ჩემპიონი გახდა, ქართული ტატამისადმი ყურადღება ერთიორად გაიზარდა. ერთი სიტყვით, ძიუდოს ბუმი დაიწყო. ოთხწლიან ციკლში - სიდნეიდან ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე საკმაო გზა განვვლეთ. წარმატებებიც იყო და წარუმატებლობებიც. საბედნიეროდ, წარმატებებმა გადაწონა. თანაც, ისე, რომ ევროპის ძიუდოს მამებს ქართული ძიუდოს მიღწევები თვალში მოუვიდათ.*

ახლახან ბუდაპეშტის კონგრესზე, სადაც ევროპის ძიუდოს ფედერაციები იყვნენ წარმოდგენლინი, საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ევროპის საუკეთესო ფედერაციად დასახელდა, ხოლო დილარ ხაბულიანი - საუკეთესო ფედერაციის საუკეთესო პრეზიდენტად!

ოთხწლიან ციკლში არაერთ შედეგს მივაღწიეთ: ორჯერ გავიმარჯვეთ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ იაპონელებს ჩამოვრჩით, მსოფლიო ჩემპიონატებიდან ზურაბ ზვიადაური ორჯერ დაბრუნდა ვერცხლის მედლებით, გუნდებს შორის მოვიგეთ გრან-პრი და ბოლოს ათენის ოლიმპიური თამაშები, ზვიადაურისა და ნესტორ ხერგიანის წყალობით, ოთხწლიანი ციკლი თითო ოქროთი და ვერცხლით დავაგვირგვინეთ.

ათენური ოქრო-ვერცხლი იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ევროპის კონტინენტმა ოლიმპიურ ტატამზე მოპოვებული მედლების რაოდენობის მხრივ პროცენტულად (63-37-ის წინააღმდეგ) დაჯაბნა მუდმივი მეტოქე - აზია, რაშიც ქართველ ძიუდოისტებსაც მიუძღვით წვლილი.

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ-ი) საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა და სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ერთგვარ ბრიფინგზე მიგვიწვიეს და ქართული ძიუდოს ოთხწლიანი მონაგარი კიდევ ერთხელ შეგვახსენეს. შეხვედრას ქართული ძიუდოს სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იყვნენ სტუმრებიც - ირანიდან. კერძოდ, ირანის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და, იმავდროულად, აზიის ძიუდოს კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ირანელმა სტუმარმა თქვა: მინდა, რამდენიმე მწვრთნელი ირანში მივიწვიოთ, რაც ჩვენს ფედერაციებს შორის თანამშრომლობას ჩაუყრის საფუძველსო.

ბრიფინგს ერთგვარ ლაიტმოტივად მიყვებოდა საქართველოდან გადახვეწილ სპორტსმენთა შინ დაბრუნების საკითხი. საუბარი, პირველ ყოვლისა, ეხებოდა ილიას ილიადისს, ჩვენთვის კი ჯარჯი ზვიადაურს. მართალია, ათენის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ არა სანაკრებო დონეზე. ზვიადაური საკლუბო ჩემპიონატებში "საგარეჯოს" ღირსებას დაიცავს. შინ საბოლოო დაბრუნებაზე კი ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამ საკითხზე ახლაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. თუმცა, მასპინძლებმა გაგვაფრთხილეს: ნუ ავჩქარდებით, მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგაო. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში უძლიერესი კლუბი გვეყოლება: ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ნესტორ ხერგიანი, ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურები. ამასთან, კლუბის ხელმძღვანელობა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ათენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის, ებრაელი არიელ ზეევის გადმობირების თაობაზე მის მწვრთნელთან რამაზ მამისთვალოვთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ქართველ-ებრაელ მწვრთნელს უთქვამს, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა შეგირდმა "საგარეჯოს" ღირსება დაიცვასო. ამჟამად ზეევი ერთ-ერთ გერმანულ კლუბშია, რომელსაც არაფრით არ უნდა მისი გაშვება.

ერთი სიტყვით, ძიუდო ახალ სიმაღლეზე ადის. ხდება უფრო პოპულარული, რისი დასტურიცაა ის, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ და ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძემ საკუთარი შვილები ძიუდოზე მიიყვანეს!

ბოლოს დილარ ხაბულიანმა თქვა: 12 წელიწადია, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და პირველად ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლებამ ჩვენს მიმართ ყურადღება გამოიჩინა - 70 ტატამი შემოგვიტანაო.

ფორმულა 1

# რა დროს სექს-შოფებია?!

*რალფ შუმახერმა, რომელსაც ფორმულა 1-ის ფანატები დიდი ჩემპიონის ძმად მოიხსენიებენ, ნოემბრის მიწურულს სექს-ბიზნესის წამოწყების თაობაზე ამცნო ქვეყანას. თითქოს საქმეც დაიძრა. გერმანულ ფირმას Beate Ushe-ს სლოვენიაში რვა სექს-შოფისგან შემდგარი ქსელის გახსნაც ჰქონდა განზრახული, რალფ შუმახერს კი 2 მილიონი დოლარი უნდა დაებანდებინა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, "BMW-უილიამსიდან" "ტოიოტაში" გადაბარგებულმა რალფმა ინვესტირებაზე უარი განაცხადა - ჩემთვის სამაგალითო ადამიანად დარჩენა უფრო მნიშვნელოვანიაო. მანამდე კი...*



რალფ შუმახერი სექს-ბიზნესის წამოწყებას აპირებს.

ქსელურ გამოცემას "უორლდ სექს-ნიუსს" არ დაუხანებია და შუმახერის გეგმების თაობაზე ახალი ამბების განყოფილებაში უმალ მასალა გააშანშალა.

Beate Ushe, რომელიც ევროპაში სექს-შოფების უმსხვილესი ქსელითაა ცნობილი, საფირმო დევიზითა (Sex Up Your Life) და საარაკო რაოდენობის საქონლითაც გამორჩეულია: სავაჭრო ქსელში მოზრდილთათვის განკუთვნილი დაახლოებით 10 ათასი დასახელების "სათამაშოთი" იწონებს თავს - გასაბერი თოჯინებით დაწყებული და ეროტიკული ფილმებით დამთავრებული.

საინტერესოა, გეგმის განხორციელების შემთხვევაში გადახალისდებოდა თუ არა Beate Ushe-ის ისედაც გაჯერებული დახლები ნაირგვარი დასახელების საქონლით? შეიძლება სულაც არა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთი "სათამაშოს" დასახელება ავტონაწილების ტერმინოლოგიით გადანათლულიყო. მაგალითად, "გაზის სატერფული", "კარდანის ლილვი" ან "თვლების განშლა"...

მაგრამ, როგორც შესავლიდან შევიტყვეთ, ამას განხორციელება არ უწერია.

მაშინ, როცა მომხმარებელი უმცროსი შუმახერის გეგმებმა აღაგზნო, ხოლო პრესამ, განსაკუთრებით კი გერმანულმა, დიდი ინტერესი გამოიჩინა რალფის ინვესტიციების მიმართ, ამ უკანასკნელს გონება გაუნათდა და მოულოდნელად დაამუხრუჭა. თუმცა, როგორც ამბობენ, "ტოიოტას" პილოტს, ალბათ, კიდევ დიდხანს მოელანდება გერმანული ტაბლოიდის "ბილდის" ფოტომონტაჟი, რომლის მიხედვითაც რალფი პიტ-სტოპიდან შიშველ ლამაზმანთა გამოსახულებებით დამშვენებულ ბოლიდს მოაგელვებს.

"სამწუხაროდ, ყველაფერი სწრაფად იქცა კამპანიად, - "ბილდთან" საუბარში ამბობს რალფი. - ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, სანიმუშო ადამიანად დავრჩე".

ცოტა ხნით ადრე კი უმცროსი შუმახერი ამტკიცებდა, რომ სლოვენიურ ბაზარზე ინვესტიციები "ისეთივე ჩვეულებრივი ინვესტიციაა, როგორც სხვა დანარჩენი".

ასეა თუ ისე, რალფმა აზრი შეიცვალა და ახლა სხვაგვარად უყურებს მოვლენებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას ბაზარი არ ეთანხმება.

მას შემდეგ, რაც რალფის გადაწყვეტილება გახმაურდა, საქმიან სიახლეთა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ფრანკფურტის ბირჟაზე Beate Ushe-ს აქციები 1,7 პროცენტამდე დაეცა.

ერთი სიტყვით, რალფის გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: 29 წლის კერპი, დაქორწინებული, ბედნიერი მამა და არანაირი ეროტიკა. საგულისხმოა, რომ შუმახერის ფან-საიტებზე სექს-შოფებთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულად იქნა იგნორირებული. ეტყობა, მოზარდი თაობისთვის ამგვარი ინვესტიცია არანაირად არ ჯდება რალფის ცხოვრების წესში.

ამასობაში ფსიქოლოგებიც ჩაერთნენ საქმეში. მათი აზრით, მისაბაძი ადამიანი ზედმეტად იდეალური არ უნდა იყოს.

"ფანატები, - როგორც ამას "ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის ჟურნალი" ნოემბრის ნომერში წერს. - უგუნურად ადარებენ საკუთარ თავს სუპერგმირს და ხვდებიან, რომ მათ, უბრალოდ, არ შესწევთ უნარი, იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე, რის გამოც სტრესულ მდგომარეობამდე და იმედგაცრუებამდე მიდიან".

აქვე გთავაზობთ rolemodel.net-ს საიტზე გამოქვეყნებულ პოტენციურად სამაგალითო ადამიანისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ნუსხას. ამ საიტის ინფორმაცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამგვარ ნიშან-თვისებათა მქონე ადამიანების შერჩევაში არიან სპეციალიზებული:

მიაღწია წარმატებებს პროფესიაში; გამოიმუშავა ბევრი ფული; ცნობილია; დაიმსახურა პატივისცემა; განათლებულია; თბილია; მართალია; ბრძენია; სპორტული გუნდის ღირსებას იცავს; იღებს კინოს; წერს შესანიშნავ ლექსებს; ადამიანის უფლებათა საკითხებითაა დაინტერესებული; ეხმარება ხალხს; ბევრს მუშაობს; ქველმოქმედებისთვის იხარჯება; რელიგიურია; სულიერია; ათლეტურია; კარგად გამოიყურება; აქვს იუმორის გრძნობა.

ვერ გეტყვით, წერს თუ არა რალფ შუმახერი ლექსებს, იღებს თუ არა კინოს, მაგრამ ამბობენ, იუმორის გრძნობა არა აქვს, რადგან პრესაში მასთან დაკავშირებულ ხუმრობებს ადრე ასე მწარედ არ აღიქვამდაო.

მარო მარხაანელის კუთხე

# ითამაშეთ ლოტო!

ნეტა ენა გამხმობოდა და ეს პატარა კუთხე არ მეთხოვა რედაქტორისთვის. ბუნებით ბოროტი არ ვარ, უმწიკვლო ქალის სახელი მაქვს, კაცი არ შემიცდენია და ქალი. ბავშვები არ მყავს, მაგრამ ძალიან მიყვარს.

ეეჰ, ჩემი გაუხარელი ყმაწვილქალობისა რა ვთქვა... კაცი არ გამოჩნდა ჩემს წილად, მაგათი სინსილა გაწყდეს! რა, ტან-ფეხი არ მივარგოდა თუ ზემოუბნელ თებროსავით მონგრეული ცხვირ-პირი მქონდა!

ისე, ჩვენში, გოგოებში დარჩეს და, იქნებ ეგრეც ჯობდა. კერძების კეთება, რეცხვა-ხეხვა და დალაგება ხომ არ ამცდებოდა, მაგათ ჭკუაზე უნდა მევლო. წიგნს ეგენი არ წამაკითხებდნენ, ტელევიზორს არ მაყურებინებდნენ, ვინმე გულის მესაიდუმლესთან წავიდოდი და, რას დაწანწალებო. მთელი ქვეყანა ამ შოუებს, ღამისას და დღისას, სილამაზის კონკურსებსა და ოსკარის ცერემონიალებს, კანისა და ვენეციის ფესტივალებს უყურებს, ფეხბურთს ხომ ნუღარ იტყვი. ჩემი ბედი რომ ვიცი, ვინმე ისეთს გადავეყრებოდი... ეგეთებს მაღირსებდა?!

ფეხბურთს... რომელი არხი გინდა, რომ არ უჩვენებდეს, ვის გინდა, რომ არ უჩვენებდნენ. რონალდოო, ზიდანიო, ბექჰემიო, რონალდინიოო, ნისტელროიო და კიდევ ვინ იცის, ვის არა.

არა, მე როგორ არ მესმის, შენ რომ მსგავსი არაფერი გაბადია, ხომ გინდა, თვალს მაინც დაალევინო წყალი.

ახლა თვითონაც რომ მოუნდათ "საღამოებისა" და "შოუების" გამართვა!

ჯერ ერთმა, მერე მეორემ, მესამემ... ბუნებრივია, არც ჩვენი დიმა ჩამორჩა სხვებს. მოიწვია ხალხი, თვითონ საფიხვნოს თავში წამოჯდა, გამართა სჯა-ბაასი, მაყურებელიც კი ჩართო საფეხბურთო საქმეების გარჩევაში, კითხვა-პასუხიც მოაწყო.

წელან კი ვთქვი, ნეტა ენა გამხმობოდა-მეთქი, მაგრამ ჩემს რედაქტორს ვენაცვალე, ეგეთი იოლად მოსავლელი ხალხი რომ ჩამაბარა. აი, ქლიავის ძირში რომ წევხარ და თვითონ ჩაგიცვივდებიან პირში. სულ დარჩეულები და ერთიმეორეზე უკეთესები არიან - სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარით დაწყებული, ადრე ედუარდას ერთგულების ფიცს რომ ადებინებდა თანამშრომლებს, ახლა კი დღევანდელ მთავრობას უგორებს კოჭს, და მწვრთნელებითა და დამზელებით, მაპატიეთ, მასაჟისტებით დამთავრებული, თუ, რა თქმა უნდა, ჰყავთ.

ეეჰ, ეს ქალები მაინც რა თავქარიანები ვართ, საით მინდოდა და საით გავუხვიე.

აი, მე ხომ ქალი ვარ, არც ფეხის, არც ხელის, არც არანაირი ბურთი არ მჭერია, მეც კი პირდაღებული დავრჩი გუშინწინ თუ გუშინწინისწინ მოწყობილ ერთ-ერთ ასეთ "საღამოზე".

ფეხბურთის საღამოებზე მოგახსენებთ.

ვუსმენდი ამ მწვრთნელებს, ერთს, მეორეს, მესამეს, ერთი სიტყვით, ამ საქმის სპეციალისტებს...

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ფეხბურთის ფედერაციასა და სპორტის დეპარტამენტში, თავის უფროს-უმცროსიანად, რამეს თუ მიხვდნენ, მაგრამ ჩემთვისაც კი, ცხოვრებაში ბურთისთვის ფეხი რომ არ წამიკრავს, ყველაფერი ნათელი გახდა.

ჩვენმა დიმამ ბევრი იწვალა, ხან ვის ჰკითხა, ხან - ვის, მაყურებელსაც დაუგდო ყური, ვიტყოდი, დიდი მოთმინებაც გამოიჩინა-მეთქი, მაგრამ ამ სხდომამ, საღამომ თუ შოუმ სულ ტყუილად ჩაიარა.

და აი, სულ ბოლოს, თვითონ, წელან რომ ვთქვი, ქლიავის ძირში წამოწოლილს პირდაპირ მიცვივდებიან-მეთქი, თვითონ მწვრთნელებმა, - არ ვიცი, უნებურად თუ შეწუხებულებმა, - თქვეს სათქმელი, რომელზეც კარგა ხანია ვლაპარაკობ და ვწერ.

ახლა არ მითხრათ, ქალი ხარ და ფეხბურთის რა გესმისო. არც ჟიულ ვერნის უმოგზაურია დედამიწის გარშემო, არც თაგორის კუნძულზე ყოფილა და არც ნემოს ნავში მჯდარა, მაგრამ მშვენიერი წიგნები დაწერა პარიზიდან გაუსვლელად.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო დებო და ძმებო, სულ არ არის საჭირო მინისტრობა, რომ მიხვდე, რომელი მინისტრია ჭკვიანი და რომელი დებილი. ეგრეა ყველა სფეროში. დანტისტი რომ გულს არ გაგიხეთქავს და კბილს ისე ამოგაძრობს, ვერაფერს იგრძნობ, კარგი კბილის ექიმია. ეგრეა ფეხბურთშიც. იგებს შენი გუნდი, კარგი მწვრთნელი ხარ. ორჯერ გავხდით საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონები და ერთი ოთხჯერ მაინც "ნაგლად" წაგვართვეს. აი, ამ ექვსივე შემთხვევაში გადასარევი მწვრთნელები გვყავდა: იაკუშინი, კაჩალინი, ახალკაცი.

ამაზე ნაღდ საბუთს მე ვერ წარმოგიდგენთ.

ისევ სხვაგან გავუხვიე.

ჰოდა, ვუსმენ და ვუყურებ ამ საფეხბურთო საღამოს და სამივე სპეციალისტმა ერთიმეორის მიყოლებით მისცა აღიარებითი ჩვენება: ფიზმომზადების მწვრთნელი არა გვყავსო.

თქვე კაი დედმამიშვილებო, დღეს, დღეს კი არა, ოცი წელიწადი მაინც იქნება, ფიზმომზადების მწვრთნელის გარეშე მოჭადრაკეები ვერ ბედავენ შეჯიბრებაში ჩაბმას, თქვენ რა, ლოტოს სათამაშოდ გაგყავთ ფეხბურთელები მინდორზე? თქვენი ამბავი რომ ვიცი, არც ფსიქოლოგი გეყოლებათ. ეგრე ხომ ჩვენს უბანშიც აგორავებენ ბურთს!

ერთ რამეში ნამდვილად დაგიჭერთ მხარს. ფიზმომზადების კარგი მწვრთნელების ყოლას მძლეოსნობის კარგი დონე სჭირდება. ერთ-ერთ ყველაზე დიდ მძლეოსანსა და ყველაზე ჭკვიან სპორტსმენზე ვიქტორ სანეევზე მოგახსენებთ - ვერ იგუეს თუ საქმე ვერ მოუძებნეს ჩვენმა სპორტის მესვეურებმა. თვითონ ამ ფაქტში ჩანს, რა დონეზეა ჩვენში მძლეოსნობა.

კარგი, ვთქვათ, მძლეოსნობის მოვლის თავი არა გაქვთ, მზამზარეული მაინც მოიწვიეთ, ეგენიც ხომ ფეხბურთის მწვრთნელებივით მილიონებს არ ითხოვენ!

სახეებზე შევატყვე ამ მწვრთნელებს, უნდათ ასეთი მწვრთნელების ყოლა, ფულს კი ან არ აძლევენ, ან ენანებათ. აი, იმ ცხვირპირმონგრეულმა თებრომაც იცის, რომ უამისოდ დღეს არაფერი გამოდის სპორტში, განსაკუთრებით - ფეხბურთში.

ჰოდა, ითამაშეთ ლოტო! გადაფხიკეთ და იქნებ მოიგოთ კიდეც.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 9 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. "BOSTON CELTICS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"
08:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1986. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერი" - "დინამო" (უკრაინა)
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "რეალი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. "ფენერბახჩე" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "ლივერპული" - "ოლიმპიაკოსი". შესვენებისას (19:10) - თავისუფალი დარტყმა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
22:30 თავისუფალი დარტყმა
22:45 სახვალიო ტელეპროგრამა
22:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:25 "FUTBOL MUNDIAL"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 01:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "HOUSTON ROCKETS" - "PHILADELPHIA 76ERS"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 კოსიკი კარატე. რუსეთის თასი მოსკოვში
12:15 "სპორტისიმო"
13:40 "ჰოკეი-პლუს"
14:00 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
14:30 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ პეტერბურგში. პირველი ნაწილი
16:15 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
17:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "UTAH JAZZ" - "ORLANDO MAGIC". შესვენებისას (19:00) - "პრესცენტრი"
0:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
22:40 ჰოკეი. სტენლის თასის ფინალების რეტროსპექტივა. 1994 წელი. "VANCOUVER CANUCKS" - "NEW YORK RANGERS". მე-6 მატჩი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
01:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
11:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ჰოლანდიაში
11:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. ქალები
12:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 სკელეტონი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. მიმოხილვა
21:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. ვაჟები. ინდივიდუალური რბოლა. მიმოხილვა
23:00 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა

# "ბეიბი ჰამერი" და დიდი ბებმები

მალე "ჰამერების" ოჯახი ახალი წევრით შეივსება - კონცერნ "ჯენერალ მოტორსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყება უგზოობის ახალი, შედარებით ხელმისაწვდომი "ჰამერ H3"-ის გაყიდვები, მისი პრემიერა კი წლის დასაწყისში, სავარაუდოდ, დეტროიტის ავტოსალონზე შედგება.



H3 ყველაზე პატარა (მას ხშირად "ბეიბი ჰამერადაც" მოიხსენიებენ) იქნება "ჰამერის" სამოდელო რიგში, თუმცა თავისი ზომებით მაინც დიდგაბარიტიან უგზოობის ავტომობილთა კლასს განეკუთვნება. ის აგებულია დიდი ზომის უგზოობის მოდელ "შევროლე კოლორადოს" პლატფორმაზე და გაბარიტებით საგრძნობლად ჩამოუვარდება მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომ H2-ს, რომელთან შედარებითაც 42 სანტიმეტრით მოკლე, 15 სანტიმეტრით ვიწრო და 16 სანტიმეტრით დაბალია.

სამაგიეროდ, თუ მწარმოებელს დავუჯერებთ, ახალი "ჰამერი" უფრო მოსახერხებელი იქნება ქალაქის მცხოვრებთათვის და იმავდროულად, სრულად შეინარჩუნებს უგზოობის ავტომობილის იმიჯსა და ამ კომპანიის ავტომობილებისთვის დამახასიათებელ დიდი გამავლობის უნარს. მისი დიზაინიც მარკისთვის დამახასიათებელ სტილშია შესრულებული და ძლიერ ჰგავს "ჰამერ H2"-ს.

"ჰამერ H3" დაკომპლექტდება სერია "ვორტეკის" ხუთცილინდრიანი ძრავით, რომლის მუშა მოცულობა 3.5 ლიტრია, სიმძლავრე კი სულ 220 ცხენის ძალა. მასთან შეწყვილდება 4-საფეხურიანი ავტომატური, ან 5-საფეხურიანი მექანიკური (ხელით მართვადი) გადაცემათა კოლოფი, რაც მყიდველის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

ახალი ჰამერის ტრანსმისია სრულმოდებიანია (ოთხივე წამყვანი თვლით), რომლის მოქმედებასაც მთლიანად ელექტრონიკა აკონტროლებს. ტრანსმისია გაერთიანებულია ბლოკირებად უკანა დიფერენციალთან, საკურსო მდგრადობის სისტემასთან და "ჯენერალ მოტორსის" საფირმო სისტემა "სტაბილიტრეკთან". საბურავების მხრივაც მყიდველს ასარჩევად ექნება საქმე - მისი გადასაწყვეტია, 16-დუიმიან თვლებს "გუდიარის" 32-დუიმიან საბურავებს ჩააცმევს, თუ "ბრიჯსტოუნის" 33-დუიმიანს.

შედარებით მცირე გაბარიტებთან ერთად, "უმცროს ჰამერს" აპეტიტიც უფრო ზომიერი აქვს - 100 კილომეტრზე ის სულ 11.8 ლიტრ საწვავს მოიხმარს. სხვათა შორის, H2-თან შედარებით, H3 დაახლოებით 750 კილოგრამით ნაკლებს იწონის.

რა თქმა უნდა, "ბეიბი ჰამერის" მთავარი თვისება მისი დიდი გამავლობაა. მას თავისუფლად შეუძლია 40 სანტიმეტრის სიღრმის მქონე წყლით სავსე თხრილის გადალახვა და თუ სიჩქარეს 8 კმ/სთ-მდე შევამცირებთ, მწარმოებელი გვპირდება, რომ H3 60 სანტიმეტრი სიღრმის მქონე თხრილშიც გაივლის. ავტომობილს დიდი კლირენსი გააჩნია, რისი საშუალებითაც იგი თავისუფლად ახერხებს 40 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე წინააღმდეგობის გადალახვას.

"ჰამერ H3"-ის საფუძვლად გამოყენებულია ჩარჩოსებრი მზიდი კონსტრუქცია, რაც "ჰამერებისა" და საერთოდ, დიდგაბარიტიანი უგზოობის ავტომობილებისთვის ტრადიციული სქემაა. სამაგიეროდ, წინამორბედთან შედარებით, ახალმა "ჰამერმა" საგრძნობლად მოდიფიცირებული დაკიდების სისტემა მიიღო, რისი წყალობითაც, ის საგრძნობლად კომფორტული გახდა.

ინტერიერშიც იგრძნობა, რომ სპარტანულობიდან აქცენტი კომფორტულობაზეა გადატანილი. აქ დიდი ყურადღება ეთმობა მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას, რასაც ემსახურება უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები. სხვათა შორის, სალონში სავარძლები სამ რიგადაა განლაგებული და ყველა რიგის მგზავრებს ცალკე ბალიშები იცავს. ოპციის სახით მყიდველს შეუძლია შუშის სახურავის, ნავიგაციისა და გასართობი სისტემების დაყენების მოთხოვნა, რასაც დილერები სიამოვნებით შეუსრულებენ.

როგორც ზემოთაც ითქვა, ავტომობილის გაყიდვები 2005 წლის გაზაფხულიდან დაიწყება, მისი ფასი კი ჩრდილოამერიკულ ბაზარზე 30-35 ათასი დოლარი იქნება. "ჰამერის" გენერალური მენეჯერი სიუზენ დოჩერტი, ვინც ამ პოსტზე სექტემბრიდან მუშაობს, აცხადებს, რომ კომპანია მერმის 25 000 ცალი H3-ის გაყიდვას გეგმავს. შედარებისთვის, 2004 წლის პირველ ნახევარში "ჰამერმა" სულ 20 284 ცალი ავტომობილის გაყიდვა შეძლო, როცა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში 25 453 ცალი ავტომობილი ჰქონდა რეალიზებული.

თუმცა, როგორც დოჩერტი ამბობს, "ჰამერი" 2005 წლის ბოლოსთვის გაყიდვების გაორმაგებას აპირებს, რისთვისაც სამოდელო გამის გაფართოებაც მოუწევს. კერძოდ, დაგეგმილია სტარნარტული მოდელების სპორტული ვერსიების მწარმოებელ დივიზიონ "ალფას" შექმნა. დოჩერტის თქმით, ბაზარზე H3-ის გამოსვლით, "ჰამერი" ფართო მასებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. რამდენადაც კომპანიის გეგმებს შევეხეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ "ჯენერალ მოტორსის" აღმასრულებელ რიკ ვაგონერს შარშან უთქვამს, სრულიად შესაძლებელია ყოველწლიურად 100 ათასი ცალი "ჰამერის" გაყიდვაო. ჰოდა, თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდება "ჰამერის" სამოდელო რიგის გაფართოება, შეფის სიტყვებს გამართლება ნამდვილად უწერია.

# ერთი ავტომობილი სამი მარკით

სამი წელი მოანდომა სამმა საავტომობილო კომპანიამ - "ტოიოტამ", "პეჟომ" და "სიტროენმა" ერთი, ერთობლივი ავტომობილის შექმნას და აი, დეკემბრის პირველსავე დღეს, სამივემ ერთობლივად გაავრცელა ინფორმაცია სამი ახალი ავტომობილის შესახებ, რომლებიც მათი კონსტრუქტორების ერთობლივი გარჯის შედეგია.



პეჟო 107 ტოიოტა აიგო სიტროენ C1

"პეჟო 107", "ტოიოტა აიგო" და "სიტროენ C1" კომპაქტური ავტომობილებია და მხოლოდ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც) ევროპული ბაზრისთვის არიან განკუთვნილნი. სამივე ერთ ქარხანაში დამზადდება, რომლის მშენებლობა ახლახან დასრულდა ჩეხეთის ქალაქ კოლინში. მათი ოფიციალური დებიუტი კი მერმის, ჟენევის ავტოსალონზე შედგება, რის შემდეგაც ისინი ბაზარზეც გამოჩნდებიან.

სამივე ავტომობილს პლატფორმა და მაკომპლექტებელი ნაწილების უმეტესობა საერთო აქვს. სამაგიეროდ, ისინი ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინით განსხვავებულები არიან და თავიანთი მარკის საფირმო სტილს შეესაბამებიან. სამივეს თითქმის იდენტური გაბარიტებიც აქვს: "პეჟო 107"-ის ზომებია - სიგრძე 3.428, სიგანე 1.630, სიმაღლე 1.470 მეტრი. "ტოიოტა აიგოს" შესაბამისი პარამეტრებია - 3.405, 1.615 და 1.470 მეტრი, "სიტროენ C1"-სა კი - 3.429, 1.630 და 1.470 მეტრი.

სამივე ავტომობილის კაპოტქვეშ განლაგებული იქნება ბენზინის ერთლიტრიანი, ან დიზელის 1.4-ლიტრიანი აგრეგატი, რომლებიც საკმაოდ კომპაქტურები და ეკონომიურებია და რომლებიც შეესაბამებიან ევროპის მკაცრ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

სამივე კომპანიამ ერთობლივი ძალისხმევით შექმნა სრულიად ახალი პლატფორმა, რომელიც სამივე ავტომობილისთვის აბსოლუტურად იდენტურია. ამასთან, მას არაფერი აქვს საერთო რომელიმე კომპანიის შესაბამისი კლასის ავტომობილების ძველ პლატფორმებთან - რომ იტყვიან, ახალი "სუფთა ფურცლიდან" შეიქმნა.

პლატფორმის კონცეპციის საფუძვლად აღებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, მასზე "დამყნობილი" ავტომობილები უნდა შეესაბამებოდეს დასავლეთევროპულ სტანდარტებს კომფორტსა და უსაფრთხოებაზე. ასე რომ, ეს ავტომობილები სულაც არ იქნება განკუთვნილი განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისთვის, როგორიცაა მაგალითად, "რენო ლოგანი" (იგივე დაჩია ლოგანი), რომლის წარმოებაც ახალი დაწყებული აქვს ფრანგული კომპანიის რუმინულ შტოს (დაჩიას). სამივე არის სრულფასოვანი ოთხადგილიანი ავტომობილი, რომლებიც აღიჭურვებიან ბლოკირების და მოცურების საწინააღმდეგო სისტემებით, უსაფრთხოების ბალიშებით და სხვა დამხმარე სისტემებით, რომლებიც ამ კლასისთვის ადრე უცხო ხილი იყო.

ჯერჯერობით, პარტნიორებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რა ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები ექნება მათ ერთობლივ ნამუშევარს. როგორც ჩანს, ისინი ამ ინფორმაციას ჟენევის ავტოსალონამდე საიდუმლოდ შეინახავენ.

როგორც უკვე ითქვა, სამივე ავტომობილს ჩეხეთის ქალაქ კოლინში მდებარე ქარხანა გამოუშვებს, რომლის მშენებლობა პარტნიორმა კომპანიებმა (პეჟო და სიტროენი ერთ კონსორციუმშია გაერთიანებული) ერთობლივად ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო. პროექტის ღირებულებამ (მასში შედის როგორც ქარხნის მშენებლობა, ასევე მოდელ(ებ)ის შემუშავება) 1.5 მილიარდი ევრო შეადგინა. ქარხნის სიმძლავრე წლიურად 300 ათასი ავტომობილია, რომელთაგან ყოველი მარკის მოდელზე სულ 100 ათასი მოდის.

ფრანგულ-იაპონურ ერთობლივ შედევრს კონკურენტებად ეყოლება ევროპაში ისეთი პოპულარული ავტომობილები, როგორებიცაა "ფოლკსვაგენ ლუპო", "რენო ტვინგო" და "ფიატ პანდა". სხვათა შორის, ეს კლასი "გოლფის" კლასთან ერთად ყველაზე პოპულარულია ევროპაში, რომლის გადატვირთულ მეგაპოლისებში მთავარ პრობლემას ავტომობილის პარკირება წარმოადგენს.

# "ვოლვოს" სამადგილიანი ელექტრომობილი



საბურავების მწარმოებელი ფრანგული კომპანია "მიშლენის" მიერ ორგანიზებულ, ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ტრადიციულ რალიზე, შვედურმა კომპანია "ვოლვომ" მიავლინა თავისი ახალი კონცეპტუალური ავტომობილი, სახელად 3CC, რომელიც ჩვეულებრივი ავტომობილებისგან გამორჩეულია არამხოლოდ ელექტროძრავით, არამედ სავარძლების უჩვეულო განლაგებითაც.

ტრადიციულად, შვედური კომპანია თავისი კონცეპტუალური ნამუშევრების აღსანიშნავად სამასოიან აბრევიატურას იყენებს. მაგალითად, უგზოობის ACC (აქტივ კონცეპტ ქარ - აქტიური კონცეპტუალური ავტომობილი), უნივერსალი SCC (სეიფტი კონცეპტ ქარ - უსაფრთხო კონცეპტუალური ავტომობილი) და ეგრეთ წოდებული "ქალური" კუპე YCC (იორ კონცეპტ ქარ - შენი კონცეპტუალური ავტომობილი). ამ სამასოიანი კონცეპტკარების რიგში, შანხაიში წარმოდგენილი 3CC ყველაზე ეკოლოგიურია.

თუმცა, მას თავის ელექტროძრავზე მეტად სავარძლების უჩვეულო განლაგება გამოარჩევს - ავტომობილის წინა ნაწილში ორი სავარძელი მდებარეობს, უკან კი... მხოლოდ ერთი და ისიც, ცენტრში. იმის წყალობით, რომ უკან მხოლოდ ერთი სავარძელია, ავტომობილს შესანიშნავი აეროდინამიკური მახასიათებელი აქვს. ეს პარამეტრი მას 30 პროცენტით უკეთესი აქვს, ვიდრე სედან S40-ს. ყველაფერი კი იმის წყალობით, რომ ავტომობილი ერთგვარი წვეთის ფორმისა გამოვიდა, რაც აეროდინამიკაში იდეალურ ფორმად ითვლება.

ავტომობილი მცირე გაბარიტებითაც გამოირჩევა - მისი სიგრძე სულ 3.899 მეტრია, სიგანე - 1.624, სიმაღლე კი - 1.321 მეტრი. უჩვეულოა ავტომობილის ძარაც, რომელსაც გამჭვირვალე სახურავი და უკანა მხარეს დავიწროვებული სარკმელები აქვს.

ეს უჩვეულო კუპე-ჰეტჩბეკი მოძრაობაში მოჰყავს ელექტროძრავს, რომლის სოლიდური მაბრუნი მომენტი (320 ნ.მ) საკმარისია იმისთვის, რომ ავტომობილმა ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარე სულ ათ წამში აკრიფოს. 3CC-ს მაქსიმალური სიჩქარე სულ 135 კმ/სთ-ია, მის ერთგვარ "სენდვიჩ"-ძირში განთავსებული ლითიუმის ელემენტების ბატარეის ერთი დამუხტვით კი მას 300 კილომეტრის გავლა შეუძლია. სხვათა შორის, დამუხრუჭების დროს ძრავი გენერატორის რეჟიმში მუშაობს და ამ დროს წარმოქმნილი ენერგიის აკუმულირებას ახდენს.

სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია ეგრეთ წოდებულ "თოლიას ფრთის" სტილში შესრულებული ასაწევი კარებები, ავტომატურ რეჟიმში გადაადგილებადი წინა პანელი (ჩაჯდომა-გადმოსვლის გასაადვილებლად) და მეორეხარისხოვან მოწყობილობათა სამართავი ღილაკები.

ძნელი წარმოსადგენია, "ვოლვოს" ეს ავტომობილი მასობრივი წარმოებისთვის სურდეს. უფრალოდ, შვედი კონსტრუქტორები მასზე ატარებენ ექსპერიმენტებს, რომლებიც მოგვიანებით სერიაში არსებულ ავტომობილებზე იქნება გამოყენებული. არაა გამორიცხული, რომ 3CC-ს სტილში შესრულდეს "ვოლვოს" ახალი კომპაქტური ჰეტჩბეკის დიზაინი, რომელსაც შვედური კომპანია უკვე ამზადებს დებიუტისთვის.

# "ჰონდას" უგზოობის პიკაპი

ლას ვეგასის ტრადიციულ ავტოშოუზე იაპონურმა კომპანია "ჰონდამ" დამთვალიერებელს პირველად წარუდგინა უგზოობის კონცეპტუალური პიკაპი სახელად "რიჯლაინ", რომლის წარმოება უკვე გადაწყვეტილია და რომლის სერიული ვერსიაც ნაჩვენები იქნება დეტროიტის ავტოშოუზე, 2005 წლის დასაწყისში რომ ჩატარდება.



"რიჯლაინი" არის უგზოობის 4-კარიანი ავტომობილი, რომელშიც გაზრდილ გამავლობასთან შერწყმულია პიკაპის ტევადობა. ავტომობილი სრულიად ახალ პლატფორმაზეა აგებული - მის მზიდ ელემენტს წარმოადგენს ძარასთან შერწყმული ძალური ჩარჩო, რომელზეც მაგრდება როგორც აგრეგატები, ასევე დაკიდების სისტემაც.

ერთი შეხედვით, "რიჯლაინი" უგზოობის ავტომობილია, თუმცა მისი 152 სანტიმეტრის სიგრძის საბარგული უფრო პიკაპისას ჰგავს. ავტომობილს თავისუფლად შეუძლია ნახევარი ტონა ტვირთის გადატანა, საბარგულში კი ასევე თავისუფლად განთავსდება დიდი ზომის ორი საკროსე მოტოციკლი (რა თქმა უნდა, ჰონდას წარმოებისა). გაზრდილ ტვირთამწეობასთან ერთად, ავტომობილს დიდი კომფორტულობაც ახასიათებს, რითაც ის არაფრით ჩამორჩება ლუქსის კლასის ავტომობილებს.

"რიჯლაინის" დიზაინი კუთხეებიანი ფორმით გამოირჩევა, თუმცა მეტად დახვეწილი და გემოვნებით შესრულებულია. ის ნახევრად ჯიპია, ნახევრად პიკაპი, თუმცა უფრო გაზრდილი გამავლობის სედანს მოგვაგონებს. მასში თავისუფლად თავსდება ხუთი ადამიანი, რომელთა კომფორტისთვისაც ზრუნავს სრულიად ახალი კონსტრუქციის დაკიდების სისტემა.

ავტომობილი აღჭურვილია 3.5-ლიტრიანი V6 აგრეგატით, რომლის მახასიათებლებსაც "ჰონდა" დეტროიტის ავტოსალონზე გამოაცხადებს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ძრავთან შეწყვილდება 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი, საიდანაც მაბრუნი მომენტი ავტომტური ტრანსმისიით ნაწილდება ოთხივე წამყვან თვალზე. "რიჯლაინის" სტანდარტულ ეკიპირებაში შევა თვლების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, მოძრაობის სტაბილიზაციის სისტემა, უსაფრთხოების ბალიშები და ფარდები.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას "ჰონდა" დეტროიტის ავტოსალონზე გაავრცელებს, რომლის შემდეგაც დაგეგმილია "რიჯლაინზე" შეკვეთების მიღების დაწყება.

# განახლებული "ალფა 147"

იტალიურმა კომპანია "ალფა რომეომ", რომელიც უკვე რამდენიმე წელია, "ფიატის" ჯგუფში შედის, პარიზული ავტოსალონზე წარადგინა "გოლფის" კლასის წარმომადგენლის, "ალფა 147"-ის განახლებული ვარიანტი, რომელსაც წინამორბედთან შედარებით, შეეცვალა არამხოლოდ გარეგნობა, არამედ ტექნიკური აღჭურვილობაც.



ახალი "ალფა 147"-ის დიზაინი შეესატყვისება კომპანიის პროდუქციის ახლებურ სტილს, რომელიც უკვე ასახულია უფრო მაღალი რანგის მოდელებში, "ალფა 156"-სა და "ალფა 166"-ში. კერძოდ, განახლებულია ბამპერები, წინა და უკანა მაშუქები, ასევე ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის სხვა ელემენტები. საგრძნობლად გაიზარდა რადიატორის ფართობი, რომელიც ამ ავტომობილს მისი ყველა კონკურენტისაგან შორიდანვე გამოარჩევს.

რა თქმა უნდა, ცვლილება მხოლოდ ავტომობილის გარეგნობას არ განუცდია. პირველ რიგში, განახლდა ძრავების გამა. აქ სიახლეს წარმოადგენს 1.9-ლიტრიანი დიზელის აგრეგატის (სერია მულტიჯეტ) სამი ახალი მოდიფიკაცია, რომელთა სიმძლავრეც 120-180 ცხენის ძალის დიაპაზონში მერყეობს. გარდა ამისა, ახალი "ალფა 147"-ის ერთი მოდიფიკაცია ოთხივე წამყვანი თვლით აღიჭურვება, რომელსაც ასევე გამოარჩევს მაღალფორსირებული, 3.5-ლიტრიანი V6 აგრეგატი 350 ცხენის ძალით.

სავარაუდოდ, ამ ახალი ჰეჩბეკის გაყიდვები მომავალი წლის დასაწყისში დაიწყება და ფასებიც მაშინვე გამოცხადდება.

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

A8 გვერდიდან

**გურამ ეპიტაშვილი**

ვარ მეუღლესთან განქორწინებული 2001. 16. 01. სასამართლოთი. ისინის მმაჩის ბიურო არ მაძლევს განქორწინების მოწმობას და მაინტერესებს ყოფილ მეუღლეს ეკუთვნის ბინა (რომელიც პრივატიზირებულია ჩემს მიერ). შვილები არ გვყოლია და რა უფლებები აქვს ყოფილ მეუღლეს.

ბატონო გურამ,

სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია უნდა მოხდეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში. ამავე დროს, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს თანხას 50-დან 200 ლარამდე, რომელიც უნდა გადახდეს ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს განქორწინების მოწმობის გაცემისას. თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს,რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას. (მუხლი 1131); შესაბამისად, თქვენ განქორწინების მოწმობა უნდა მოითხოვოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტორიტორიულ ორგანოში. რაც შეეხება ბინას, თუ იგი ქორწინების პერიოდში არაა შეძენილი და იგი საჯარო რეესტრში ირიცხება თქვენს სახელზე, ყოფილ მეუღლეს ამ ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება არ აქვს.

**ლიანა დონაძე**

სამოქალაქო კოდექსის 129.1 მუხლის თანახმად სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების - ექვს წელს. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 21 აპრილის N36-101 განჩინება, რომლითაც განმარტებულია, რომ "უძრავი ნივთების მიმართ ახალი სამოქალაქო კოდექსით დადგენილია სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზნულობის ახალი წესი", კერძოდ, 129.1 მუხლით უძრავ ნივთებთან დაკავშირებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა არის ექვსი წელი. ამიტომ ანალოგიური დავების გადაწყვეტის დროს სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა, როგორც ეს ახალი სამოქალაქო კოდექსითაა გათვალისწინებული".

გთხოვთ განმიმარტოთ: ეხება თუ არა ეს წესი სესხის ხელშეკრულებას, რომლის საგარანტიო უზრუნველყოფა გათვალისწინებულია იპოთეკის ხელშეკრულებით და ორივე ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით.

ასევე გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის ხელშეკრულებებს ეხება ექვსწლიანი ვადა და რა სახის ხელშეკრულებებს ეხება სამწლიანი ვადა.

ქალბატონო ლიანა,

სამოქალაქო სამართლის კოდექსი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. გამომდინარე იქიდან, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის შემადგენელ ერთ-ერთ ხელშეკრულებას, მასზე ვრცელდება 129-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რაც იმას გულისხმობს, რომ ძირითად უფლებას წარმოადგენს სესხის ხელშეკრულება, ხოლო იპოთეკა უზრუნველყოფს მის შესრულებას და ამიტომ არის დამატებითი უფლება. სამოქალაქო სამართლის 145-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უძრავ ნივთზე ხანდაზმულობის ვადა ექვსი წელია, მასზე მაინც ძირითადი ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება.

**ზაალ დუჩიძე**

ვმსახურობდი ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგზაო პოლიციაში განყოფილების უფროსად. 2000 წლის იანვარში, სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამიყვანეს კადრების განკარგულებაში. ასე ვიყავი 2001 წლის დეკემბრამდე. 22 თვის განმავლობაში არც სამსახური შემოუთავაზებიათ და არც ფინანსური ანაზღაურება არ მიმიღია. მიუხედავად არაერთი ჩემი მიმართვისა, დასაბუთებული პასუხი მთავარი სამმართველოდან არ მიმიღია. გთხოვთ, მიპასუხოთ, რამდენად მართებული იყო შს მთავარი სამმართველოს ქმედება და მეკუთვნის თუ არა ფინანსური ანაზღაურება უმუშევრად ყოფნის პერიოდში.

ბატონო ზაალ,

შრომის კანონთა კოდექსი არ აწესრიგებს ამ საკითხს, თუმცა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 423 მუხლი განსაზღვრავს, რომ საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა), მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ მუშაკებს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტისას:

ა) ეძლევათ გასასვლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით;

ბ) უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე,მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად;

გ) უნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

**თინიკო კოპალიანი**

ბინა, სადაც ვცხოვრობ, მდებარეობს საბურთალოს რაიონის გივი კარტოზიას ქუჩა 63-ში. ბინის ორდერში ჩაწერილი ვართ ოთხი პირი, რომელთაგან გარდაცვლილია მამა - ვასო კოპალიანი 1974 წელს. ცოლისდა - მარიამ ნემსაძე გარდაიცვალა 2003 წელს. დედა, თამარ ნემსაძე გარდაიცვალა 2004 წლის სექტემბერში. სამართალმემკვიდრე ვარ შვილი, თინიკო კოპალიანი. ნოტარიუსში მთხოვეს სასამართლოს გადაწყვეტილება პაის მემკვიდრეობაზე. სამართლიანია თუ არა მათი მოთხოვნა, რადგან გაცემულ ორდერში სამი ადამიანი უკვე გარდაცვლილია და ავტომატურად პაის მემკვიდრე ვარ მე.

სამოქალაქო საქმის ადვოკატებმა ამიხსნეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არაა საჭირო, თქვენზე ბინის პრივატიზება ახალი კანონით შეუძლია პირდაპირ ნოტარიუსს სათანადო საბუთების წარდგენით. გთხოვთ მიპასუხოთ.

ქალბატონო თინიკო,

სახელმწიფო ქონების პრივატიზირება ხდება "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონით. მეექვსე მუხლის თანახმად, პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით. ამას კი სასამართლოს გადაწყვეტილება არ სჭირდება. მაგრამ პრივატიზაციას ახდენს არა ნოტარიუსი, არამედ ეკონომიკის სამინისტრო. რაც შეეხება თვითონ მემკვიდრეობას, გამომდინარე იქიდან, რომ ორდერში პირდაპირ არის მითითებული თქვენი სახელი, თქვენზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა არ არის საჭირო.

**ბახვა ბარბაქაძე**

ქ. თბილისში დიდი დიღმის ი. პეტრიწის ქ. N 7 მდებარე "საქწიგნის" N71 წიგნის მაღაზია "დიდგორი" 1992 წლის 30 ივნისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 31037 განკარგულებით რეგისტრირებულია როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი - სახელმწიფო საწარმო მაღაზია "დიდგორის" სამართლებრივი ფორმით. ამჟამად, საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საწარმოთა მართვის სააგენტო" 2004 წლის 11 სექტემბრის წერილით 324-02-307/2-4 გვატყობინებს, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემდამი ქვემდებარე ობიექტის შემდგომში პრივატიზების მიზნით დამფუძნებელ - შპს "საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებას.

მაინტერესებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აქვთ თუ არა იმის უფლება, რომ უგულებელყოს ჩვენი - კოლექტივების ნება-სურვილი ჩვენდამი ქვემდებარე ობიექტების პირდაპირი ობიექტების პირდაპირი პრივატიზების შესახებ და ჯერ კიდევ დღემდე სისტემაში არსებული 70-მდე წიგნის მაღაზია გაიტანოს და გაყიდოს სატენდერო წესით აუქციონზე.

ბატონო ბახვა,

სამწუხაროდ, სახელმწიფო თვითონ არის უფლებამოსილი განკარგოს თავისი ქონება. იგი ამ განკარგვას ახორციელებს საწარმოთა მართვის სააგენტოს მეშვეობით, რომელიც შედის ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში. ასე რომ, ეკონომიკის სამინისტრო აბსოლუტურად უფლებამოსილია მოახდინოს ქონების ამოღება და გაყიდვა სატენდერო წესით აუქციონზე.

**ვაჟა ხიდაშელი**

1997 წელს კომერციული ბანკიდან ავიღე პროცენტიანი სესხი, რაზედაც ბანკთან გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება და გირავნობის (იპოთეკის) ხელშეკრულება. ორივე ხელშეკრულება დამოწმდა ნოტარიუსის მიერ 1997 წლის 8 ოქტომბერს. საკრედიტო ხელშეკრულების ვადა იყო ორი თვე, მყარად განსაზღვრული პერიოდისათვის 1997 წლის 8 ოქტომბრიდან 8 დეკემბრამდე. სესხის ვადის განგრძობა არ მომხდარა. კრედიტორი უკანონო გზით ცდილობდა სესხის დაბრუნებას. სესხის ოდენობა იყო 27 000 დოლარი. თვეში 7 პროცენტით. მე ბანკის სალაროში შევიტანე ვალდებულების ანგარიშში 20 700 დოლარი 1998 წლის 20 სექტემბრამდე. რაც ბანკმა ჩაითვალა პროცენტად. 1998 წლის 4 დეკემბერს იმავე ნოტარიუსს, ვინც დაამოწმა ხელშეკრულებები შეასრულებინა სანოტარო სააღსრულებო წარწერა, რომლითაც დამაკისრა 36 177 აშშ დოლარის გადახდა იპოთეკის საგნის საჯარო წესით გაყიდვის გზით, რაც მოვალისათვის უცნობი იყო. ასევე უცნობი იყო მოვალისათვის აუქციონის ჩატარების და სასამართლო აღმასრულებლის მიერ აქტის შედგენის ფაქტი, რომლითაც იპოთეკა საკუთრების უფლებით ვალის სანაცვლოდ გადაეცა კრედიტორს. კრედიტორმა მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოვალის ბინიდან გამოსახლება. სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სარჩელი. მოვალემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა რაიონულ სასამართლოს, რომელმაც 2000 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით გააუქმა ჩატარებული აუქციონი. კრედიტორმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება. საოლქო სასამართლომ კრედიტორის საჩივარი არ დააკმაყოფილა და დააკმაყოფილა მოვალის შეგებებული სარჩელი და 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით 1999 წლის 20 იანვრის აუქციონი მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2001 წლის 21 იანვარს და ამ დღიდან იპოთეკა გახდა მოვალის საკუთრება. 2001 წლის 1 მარტს მოვალემ მოითხოვა ნოტარიუსის მიერ 1998 წლის 4 დეკემბერს შესრულებული სანოტარო-სააღსრულებო წარწერის გაუქმება. სასამართლომ მოვალის სარჩელი დააკმაყოფილა 2001 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით. 2001 წლის 11 მაისს კრედიტორმა მოითხოვა სანოტარო-სააღსრულებო წარწერით დადგენილი მოვალისათვის ვალის გადახდევინება. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 7 პროცენტი გააუქმა და დაადგინა 2.7 პროცენტი თანახმად ეროვნული ბანკის ცნობისა და სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლისა. აღნიშნული გადაწყვეტილება რაიონულმა სასამართლომ მიიღო 2001 წლის 6 სექტემბერს. გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. 2003 წლის 13 ნოემბერს მხარეები მორიგდნენ და კრედიტორმა მოვალის ვალი აღიარა 8000 აშშ დოლარი ნაცვლად მოთხოვნილი 36 177 აშშ დოლარისა. კრედიტორის მიერ აღიარებული 8000 აშშ დოლარიდან მოვალემ გადაიხადა 500 დოლარი და დარჩა გადასახდელი 7500 აშშ დოლარი, რომელიც მოვალეს უნდა გადაეხადა ერთი წლის განმავლობაში. მორიგება დამტკიცებული იქნა სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 13 ნოემბრის განჩინებით და შესულია კანონიერ ძალაში. ამრიგად ნოტარიუსის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებები აღმოჩნდა კანონსაწინააღმდეგო და მათი დამოწმებისათვის გადახდილი საფასურიც - უკანონო. მოვალემ 2003 წლის 1 აპრილს გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება. სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის მოტივით, თითქოს მოვალეს ზიანის შესახებ უნდა შეეტყო სანოტარო მოქმედებების შესრულების დღეს-1997 წლის 03.10-ს. მოთხოვნა დაუკავშირა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1008-ე მუხლებს, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობა დაუკავშირა სამოქალაქო 130-ე მუხლს და 1008-ე მუხლს და მიუთითა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან და ამ მომენტად ჩაითვალა 1997 წლის 8 ოქტომბერი. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ. გთხოვთ, განმიმარტოთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რომელი თარიღიდან უნდა დაიწყოს მოვალის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

ბატონო ვაჟა,

სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.(მუხლი 130) ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ნოტარიუსის მიერ შესრულებული მოქმედებები სამოქალაქო კოდექსით მიიჩნევა მომსახურების ხელშეკრულებად. შესაბამისად, მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. რაც შეეხება, მოთხოვნის წარმოშობის მომენტს, ეს მტკიცების საკითხია და მხარეთა დასაბუთებაზეა დამოკიდებული.

## TV პროგრამა

10 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ორმაგი ეფექტი" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "ლევერკუზენი"-"დინამო" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ტრიუმფი" (18). მთ. რ-ში: მირა სორვინო. **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ჟოზე ვან-დამი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მოზამბიკი. დოკ.ფილმი. **21.05** გადაცემა: თვეში ერთხელ. 23.00. ხელოსნობა. ბურკინა ფასო. დოკ. ფილმი. **24.30** ჰიმალაი, შეფის ბავშვობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ერიკ ვალი. **03.15** გადაცემა: თვეში ერთხელ.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **09.10** მოამბე **09.40** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15, 20.50** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "სისი დედოფლობისთვის დაბადებული" **15.20** მუს. ოქტაგონი **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** დოკ. ფილმი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **19.40** ტელე-ზღაპარი **21.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე"-ლიტვა **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) 1-ლი ს.

### კავკასია

**14.00** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-4ს. **16.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "თეთრი მტრედი" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მესეს ფერმის საიდუმლო" (15) (ჟან გაბენი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" 1-ლი ს. **21.05** "იმღერე რამე" **21.35** ტელეზღაპარი **21.50** მრავალჟამიერ **22.10** მიამბეთ თქვენზე **22.50** მხ. ფილმი "მოლანდება" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "მარჯვე თარგი" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ექსტრაორდინალური ისტორიები" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მგლების ხორუმი" **12.20, 14.50, 17.10, 03.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დევნილი" (გ) (ბენისიო დელ ტორო) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "პირველი ნახევარი" **23.40** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **00.10** მხ. ფილმი "ახალგაზრდა ადამი" (18) (ე. მაკგრეგორი) **01.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.15** სათავგად. ფილმი "პიფ, პაფ, ვაი, ვაი, ვაი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** კომედია "ოქროს კერპი" **14.45** თრილერი "ერკეტი კაკალი-3" **16.45** მულტფილმი "ნიღაბი" **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დოკ. ფილმი **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** ისტ. ფილმი "ომის მბრძანებელი" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** "ექსკლუზივი" **00.35** მხ. ფილმი "ყმაწვილი თეთრი მდინარიდან"

### ОРТ

**09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфиры". Нина Кондратова. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал" **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Док. фильм "Петр Первый. Жертвоприношение государя". **00.50** Сотворение мира. "Энергия". **01.20** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 03.05** Кристофер Аткинс в триллере **"СМЕРТЕЛЬНОЕ ВИДЕО" 04.40** Док. сериал "Разговоры с животными".

### НТВ

**09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Криминальная Россия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ..."**. Закл. с. **20.50** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ"**. Закл. с. **22.00** "Страна и мир" **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Шон Коннери в приключенческом фильме **"ВЕТЕР И ЛЕВ" 02.45** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: ловцы серебристых стай". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები:**

[illegible]

# IBM პერსონალური კომპიუტერების ბიზნესს ჰყიდის






Logos, old (top) and new (below)

პერსონალური კომპიუტერების პიონერი "აიბიემი" ამიერიდან კომპიუტერებს აღარ გამოუშვებს. კომპანიამ პერსონალური კომპიუტერების ბიზნესი ჩინეთის უმსხვილეს კომპიუტერების მწარმოებელს, "ლენოვოს" მიჰყიდა. გარიგება 1,75 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და მის შედეგად "ლენოვო" მსოფლიოს სიდიდით მესამე კომპიუტერების მწარმოებლად იქცევა. ეს კომპანია რამდენიმე წელი ცდილობდა თავისი მარკის მსოფლიო ბაზარზე გატანას და "აიბიემის" განყოფილების შესყიდვის შემდეგ ეს ნამდვილად აღარ გაუჭირდება. თავად "აიბიემი" კი ყურადღებას სხვა საქმიანობებზე გადაიტანს.

გარიგების შედეგად "აიბიემი" ნაღდ ფულად 650 მილიონ დოლარს მიიღებს და, ამის გარდა, კონტროლს დაამყარებას "ლენოვოს" (ყოფილი "ლეჯენდ") 18,9-პროცენტიან წილზე. გარდა ამისა, "ლენოვოს" პერსონალური კომპიუტერების მთავარი ოფისი პეკინიდან ნიუ იორკში გადავა. გაერთიანებული კომპანიის გაყიდვები წელიწადში 12 მილიარდ დოლარზე ავა, 5 წლის განმავლობაში მას ექსკლუზიური უფლება ექნება "აიბიემის" მარკის გამოყენებაზე. "ლენოვოს" ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, ეს გარიგება მთელი ჩინელი ერისათვის საამაყოა.

"აიბიემის" პირველი პერსონალური კომპიუტერის გამოჩენა ბაზარზე 1981 წელს ნამდვილ სენსაციად იქცა. ეს იყო პირველი კომპიუტერი, რომელიც არ საჭიროებდა არც დიდ ადგილს განსათავსებლად და არც ღრმა ცოდნას მის მოსახმარად. სიახლის წყალობით, "აიბიემი" ისეთ ლიდერად იქცა კომპიუტერების ბაზარზე, როგორი ლიდერიც პროგრამულ უზრუნველყოფაში დღეს "მაიკროსოფტია." მაგრამ ამ ჰეგემონიამ დიდხანს არ გასტანა: უამრავმა კომპანიამ დაიწყო ე.წ. "აიბიემ"-თავსებადი კომპიუტერების გამოშვება და "აიბიემმა" მალე დაკარგა პოზიციები ბაზარზე. მისი კომპიუტერებიდან მოგება, ძირითადად, "მაიკროსოფტს" მიჰქონდა, რომელმაც "აიბიემი" დაარწმუნა, რომ ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად კომპიუტერების "უინდოუზით" აღჭურვა იყო საჭირო. ამან "მაიკროსოფტს" უფრო მეტი შესძინა, ვიდრე "აიბიემს."

ამჟამად კომპიუტერების ბაზარზე "ჰიულეტ პაკარდი" ლიდერობს. ამ უკანასკნელმა უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, რაც შარშან "კომპაქი" შეისყიდა. ასევე მეტად სერიოზული მოთამაშეა "დელიც." ასეთ ვითარებაში "აიბიემს" ნამდვილად ხელს აძლევდა "ლენოვოსთან" გარიგება და გასვლა იმ სფეროდან, სადაც იგი ამინდს ველარ ქმნის.

ახლა "აიბიემი" მთლიანად ბიზნეს-სერვისზე, პროცესორების წარმოებაზე და ძლიერი სერვერების შექმნაზე გადავა. "აიბიემი" თანდათანობით უარს ამბობს "მაიკროსოფტთან" თანამშრომლობაზე, რომელსაც მისთვის ბევრი სიკეთე არ მოუტანია და საოპერაციო სისტემებად "ლინუქსს" იყენებს.

# "გრემის" ფავორიტების შესახებ



შეერთებულ შტატებში "გრემის" ნომინანტები დაასახელეს. სულ გამოცხადებულია ნომინაციები 107 კატეგორიაში. აშშ-ს ხმისჩამწერი ნაციონალური აკადემიის პრესტიჟული პრემიის ყველაზე ფავორიტი ახალგაზრდა რეპერი კევინ ვესტია. მუსიკოსი ალბომის - "სკოლიდან გაგდებულის" წყალობით "გრემის" ათამდე კატეგორიაშია წარდგენილი. მის გარდა, მუსიკალური ინდუსტრიის ავტორიტეტული პრემიის ნომინანტებს შორის ლიდერობენ: ალისია კეისი და 80-იანების კერპი - პრინცი.

კატეგორიის - "საუკეთესო სასაუბრო ალბომის" პრეტენდენტია ბილ კლინტონის წიგნის - "ჩემი ცხოვრების" ხმოვანი ვერსია. შეგახსენებთ, შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვთან და მსახიობ სოფი ლორენთან ერთად შარშან "გრემის" მფლობელი გახდა სერგეი პროკოფიევის მუსიკალური ზღაპრების ჩანაწერში მონაწილეობისთვის.




OPEL

ცნობილი გერმანული ჟურნალი "Auto- Bild "-ი ყოველწლიურად აქვეყნებს რა საუკეთესო ავტომწარმოებელი კომპანიების სიას ,19 ნოემბრის გამოცემით იუწყება, რომ 2004 წლის მაჩვენებლებით OPEL ის მარკა / ბრენდი მისი მოდელებით: (ახალი Vectra C, ახალი Astra, Signum, Meriva და სხვა) საუკეთესოა არა მარტო გერმანულ არამედ ევროპულ ავტობრენდებს შორის. ავტომფლობელთა, ავტომოყვარულთა და ცნობილი გერმანული ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს TUV ის ( 7 მლნ გამოკითხვით) მონაცემთა ბაზის გათვალისწინებით OPEL- ის მარკა ყველაზე ხარისხიანი ევროპული ბრენდია. მას ადასტურებს ის ,რომ OPEL ის ბრენდთა შორის :

- Meriva (მცირე კლასი) მისი გამოშვების 18 თვის განმავლობაში მუდმივ I ადგილს იკავებს
- New Astra (კომპაქტ - კლასი) საუკეთესოდ აღიარეს 9 კონკურენტ მოდელთა შორის.
- New Vectra C ( საშუალო/ბიზნეს/კლასი) 13 ძირითად კონკურენტ მოდელებს 100 000კმ- იან გარბენში ხარისხის მაჩვენებლით უკან იტოვებს.

ჟურნალი აკეთებს რა მონაცემთა ბაზის სრულ ანალიზს,გვამცნობს, რომ OPEL-ი ბოლო 3 წლის განმავლობაში მკვეთრ ნახტომს აკეთებს ხარისხისა და დიზაინის მიმართულებით. ჟურნალი ხაზს უსვამს OPEL-ის ხვალინდელი დღის ინოვაციურობასა და პერსპექტიულობას. სწორედ ეს არის გაყიდვების მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის მიზეზი ( მაგალითისთვის OPEL-ი I ადგილზეა ევროპული მანქანების რეალიზაციათა შორის რუსეთსა და უკრაინაში აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდ ბაზრებზე)

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ, OPEL-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში
შ.პ.ს."აუტოჰაუზი". ტელ: 53-07-14, 53-07-16 ფაქსი: 53-07-15

# "ქოლდპლეი" 1372 მეტრ სიმაღლეზე

ინგლისური როკ-ჯგუფი "ქოლდპლეი" საკონცერტო გამოცდილებას იმრავალფეროვნებს. კრის მარტინმა უკვე დაადასტურა, რომ "ქოლდპლეი" მონაწილეობას მიიღებს კონცერტში, რომელიც ნეპალში, ზღვის დონიდან 1372 მეტრზე, კატმანდუს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ეს იქნება ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი ადგილი, სადაც კი მათი მუსიკა აჟღერებულა.

კონცერტი საქველმოქმედოა, რამდენადაც მუსიკოსებმა უარი თქვეს ჰონორარებზე. მთელი შემოსავალი გადაერიცხება ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ოჯახის გარეშე დარჩენილ ბავშვებს დაეხმარება. რაც შეეხება მუსიკოსებს, ისინი ღელავენ, რადგანაც ამგვარ უნიკალურ ადგილებში იშვიათად უწევთ გამოსვლა.






თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.